საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№35 (459)
3 – 9 ოქტომბერი, 2018
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## უკრაინაში რელიგიური ომი დაიწყო
14

## რა აქვს საერთო მაიდანს ავტოკეფალიასთან?
15

## ეს ბიძინას ღირსების საქმეა!



რომ არა ნიკა გვარამიასა და ეკა კვესიტაძის «ნიჭიერი თარგმანი», რომლებიც ე.წ. ჩაკითხვებით ცდილობდნენ ზაზა ოქუაშვილის ნალუღლუღევიდან აზრის გამოტანას, საზოგადოებას დღესაც არაფერი გვეცოდინებოდა და, ფრუნზიკ მკრტიჩიანის გმირ რუბიკასავით, მხრებს ავიჩეჩავდით: КТО ОН ТАКОЙ ЭТОТ ПОТЕРПЕВШИЙ? КУДА ОН ПОШЁЛ?
4

მამა გიორგი (რაზმაძე):



## ვრჩები ისევ იმ აზრზე და მას ვერავინ შემაცვლევინებს, რომ შფოთი მართლმადიდებელ სამყაროში კონსტანტინოპოლის პატრიარქმა შეიტანა
3

2
## ივანიშვილის «დემოკრატურას» 6 წელი შეუსრულდა



## «პრემიერმა ბახტაძემ გაეროს ტრიბუნიდან აფხაზებსა და ოსებს თვალში ნაცარი შეაყარა»



6

## ჟურნალისტები, რომლებიც «წარმატებით» ართმევენ თავს «სახელოვან ტრადიციას» — ტყუილსა და ცილისწამებაზე დაყრდნობით ქვეყანაში არეულობების წაქეზებას
5



ქართული ჟურნალისტიკის „მზე“ ინგა გრიგოლია: კარგით რა, ბატონო მამუკა! საერთოდ, რა შუაშია მოტივი და მიზანი?

## აფხაზეთს სხვა გზა, სხვა პერსპექტივა არ აქვს
16



„შამბა და სხვებიც მიხვდნენ, რომ რუსეთს თავისი სერიოზული პრობლემები აქვს და აფხაზებისთვის ნაკლებად „სცხელათ“. რუსეთს, ცხადია, არ სჭირდება მშიერი და უპერსპექტივო აფხაზეთი“

11




საქართველოს ხელისუფლებას „სირაქლემის სტრატეგიის“ გადახედვა და რაიმე უფრო რეალისტურის მოფიქრება მოუწევს

## «ამერიკის ელჩის დანიშვნის ასე დაგვიანება მიუთითებს იმაზე, რომ, რომ ამერიკა ჩვენს საქმეებში აღარ ჩაერევა, ის ჩვენ აღარ დაგვეხმარება. ეს არის ტრამპის «იზოლაციონიზმი» 10

## «მოსკოვი საქართველოსა და რუსეთის პირველი პირების შეხვედრის შესაძლებლობას არ გამორიცხავს» 24

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**1992 წელს შვეიცარიელმა პოლიტოლოგმა მაქს ლინიჟერ-გუმამ თავის ახალ წიგნს უწოდა „დემოკრატურა: შენიღბული დიქტატურა, ჩანაცვლებული დემოკრატია“ და, შესაძლოა, ქართულ რეალობას ყველაზე კარგად სწორედ ეს ტერმინი აღწერს. ფორმალურად, საქართველოში არსებობს და ფუნქციონირებს ყველა დემოკრატიული ინსტიტუტი, რეალურად კი მმართველი ჯგუფი მათ საკუთარი გავლენის სფეროს გაფართოებისთვის იყენებს.**

# ივანიშვილის «დემოკრატურას» 6 წელი შეუსრულდა

**„ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში ზუსტად 6 წლის წინათ, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მოგების შემდეგ, მოვიდა. ამომრჩეველმა მას დაპირებების შესასრულებლად საკმარისზე მეტი დრო მისცა, გაითვალისწინა რა ძველი რეჟიმის წინააღმდეგობა და საქართველოში შექმნილი მდგომარეობის ზოგადი სიმძიმე.
საინტერესოა: რა მიიღო მან ამის სანაცვლოდ?**

„ხელისუფლებაში მოსული „ქართული ოცნება“... დაასრულებს ავტორიტარულ მმართველობას და პოლიტიკურ მესიანიზმს საქართველოში“, — ეწერა პარტიის 2012 წლის პროგრამაში. ამ საკითხზე მსჯელობისას ექსპერტები, როგორც წესი, გარკვეულ უხერხულობას გრძნობენ — **ისინი აცნობიერებენ, რომ სააკაშვილის რეჟიმი ივანიშვილის რეჟიმზე უფრო სასტიკი და არარაციონალური იყო, მაგრამ ხედავენ, რომ, მიუხედავად ამისა, ისინი ერთმანეთს ჰგვანან.** ერთსაც და მეორესაც „კლასიკური“ ავტორიტარული რეჟიმებისგან მთელი რიგი ნიშნები განასხვავებს, ამიტომ მკვლევარები თავს გაცილებით კომფორტულად გრძნობენ, როდესაც „ჰიბრიდულ“ ან „პერსონალისტურ“ რეჟიმებზე საუბრობენ. 1992 წელს შვეიცარიელმა პოლიტოლოგმა **მაქს ლინიჟერ-გუმამ** თავის ახალ წიგნს უწოდა **„დემოკრატურა: შენიღბული დიქტატურა, ჩანაცვლებული დემოკრატია“** და, შესაძლოა, ქართულ რეალობას ყველაზე კარგად სწორედ ეს ტერმინი აღწერს. ფორმალურად, საქართველოში არსებობს და ფუნქციონირებს ყველა დემოკრატიული ინსტიტუტი, რეალურად კი მმართველი ჯგუფი მათ საკუთარი გავლენის სფეროს გაფართოებისთვის იყენებს.

ტერმინოლოგიური პრობლემა „მესიანიზმსაც“ უკავშირდება, საქართველოში შესაბამის ფენომენს მჭიდროდ უკავშირებენ ლიდერის ფიგურას, მაშინ, როდესაც „დანარჩენ მსოფლიოში“ — იდეას. გამოჩენილი ისტორიკოსი **ჯეიკობ ტალმონი** მიიჩნევდა, რომ პოლიტიკური მესიანიზმი გამომდინარეობს პოსტულატიდან, რომ ისტორიას აქვს მიზანი და აუცილებელია მისი მიღწევა, ხოლო პოლიტიკაში ის „ჭეშმარიტების პრიმატსა და ექსკლუზიურობას ეყრდნობა“. ევროკავშირის ერთ-ერთი წამყვანი ექსპერტი სამართლის საკითხებში — **ჯოზეფ ვეილერი** წერს, რომ პოლიტიკური მესიანიზმის შემთხვევაში მოქმედებას „ამართლებს არა პროცესი, როგორც ეს კლასიკურ დემოკრატიაში ხდება, არა მისი შედეგი ან წარმატება, არამედ იდეალი, ისეთი, როგორიცაა აღქმული მიწა, რომელიც გზის ბოლოს გველოდება“. **პოლიტიკური მესიანიზმის ესოდენ განსხვავებული აღქმა საქართველოში შემთხვევითი, ალბათ, არა არის — ჩვენ, უბრალოდ, ვერ აღვიქვამთ იდეას ბელადის გარეშე; მაგალითად, არსებითად მესიანისტურ „მიშიზმს“ მიშასა და მისი წარმოსახვითი თვისებების გარეშე. თუმცა იმ გარემოებიდან, რომ ის გამაღიზიანებლად ხმაურიანი და ნაკლებად ინტელექტუალური იყო, სულაც არ გამომდინარეობს, რომ „ბიძინიზმს“, „მიშიზმისგან“ განსხვავებით, პოლიტიკურ მესიანიზმთან კავშირი საერთოდ არ აქვს.**

მთავარი ამ შემთხვევაში, ალბათ, შემდეგია: **ორი რეჟიმი ერთმანეთისგან განსხვავდება, მაგრამ ორივე არა მხოლოდ შორს დგას ნორმალური დემოკრატიისგან, არამედ მასთან მიახლოების შესაძლებლობასაც არ გვაძლევს. ამ მხრივ ივანიშვილის „დემოკრატურა“ წინამორბედის მსგავსად მოქმედებს, ხოლო მის ხელმძღვანელებს სწყინთ, როდესაც რეჟიმის ფარდობითი შერბილებისთვის მადლობას არ უხდიან.**

იგივე შეიძლება ითქვას 2012 წლის პროგრამის კიდევ ორ პუნქტზე, რომლებშიც ეწერა, რომ „ქართული ოცნება“ **„არ დაუშვებს ხელისუფლებაში მყოფი პარტიის შერწყმას სახელმწიფო ინსტიტუტებთან, რისთვისაც გაათავისუფლებს საჯარო სამსახურებს მმართველი ძალის წნეხისგან და გამიჯნავს მათ პარტიული ინტერესისგან“... „დაამკვიდრებს კანონის უზენაესობას, გაათავისუფლებს სასამართლოს და სამართალდამცავ ორგანოებს პოლიტიკური ზეწოლისგან“.** ამ შემთხვევაშიც შეიცვალა მხოლოდ კონტროლის ფორმა და არა რეჟიმის არსი.

თუმცა **მთავარი ინდიკატორი იმისა, რომ არსებითად არაფერი იცვლება, „ქართული ოცნების“ ამომრჩევლებისთვის, ალბათ, ის გახლდათ, რომ ახალმა ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, უარი თქვა პროგრამაში აღნიშნული კიდევ ერთი და, შესაძლოა, მთავარი დაპირების შესრულებაზე: „ყველა თანამდებობის პირი, რომლებსაც ჩადენილი აქვთ დანაშაული, პასუხს აგებენ სამართლიანი სასამართლოს წინაშე“. ამ შემთხვევაში ახალ ხელისუფლებას შეეძლო გაევლო მკაფიო ზღვარი, რომელიც მას წარსულისგან გამიჯნავდა; საამისო რესურსი მას ნამდვილად ჰქონდა.** ამის ნაცვლად ჩვენ მივიღეთ რამდენიმე ხმაურიანი პროცესი (პროკურატურისა და სასამართლოს ძალიან ცუდი მუშაობით), უამრავი დაუმთავრებელი გამოძიება და ცალკეული პირების მინიმალური დასჯა (ჩადენილი დანაშაულის მასშტაბებთან შედარებით). რეალურად კი, **„ქართულმა ოცნებამ“ გააძლიერა დაუსჯელობის სინდრომი** და ეს ნათლად აისახა ახალი ხელისუფლების წარმომადგენელთა მოქმედებაზე: თუ 2012-14 წლებში ისინი, ასე თუ ისე, ფრთხილობდნენ, დღეს სულ უფრო ხშირად გვესმის ელიტური კორუფციის, ბიზნესზე ზეწოლისა და საპოლიციო სახელმწიფოს მანკიერებათა შესახებ. ერთ-ერთმა კომენტატორმა ეს პროცესი უხეში, მაგრამ ძალიან ზუსტი ნეოლოგიზმის გამოყენებით აღწერა: „ოცნება გამონაცდა“. მოიხსნა უკანასკნელი ბარიერი, რომელიც ხელს უშლიდა მმართველი ელიტის ორი ნაწილის შერწყმას. **თუ ადრე საზოგადოებას უკვირდა ძველი რეჟიმების მსახურთა „პორტირება“ „ქართულ ოცნებაში“, დღეს ეს რუტინულ პროცესად გადაიქცა. ვანო ზარდიაშვილი** საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელია, შიდა ქართლის გუბერნატორად დაინიშნა **გიორგი ხოჯევანიშვილი**, რომელიც სასჯელაღსრულების სამინისტროში დეპარტამენტის უფროსი **ხათუნა კალმახელიძის** მინისტრობის პერიოდში იყო, ანუ მაშინ, როდესაც ეს უწყება სისტემური დანაშაულის ერთ დიდ კერად გადაიქცა და ა.შ.



> **ექვს წელიწადში «ქართული ოცნების» გამარჯვებიდან უარესი სიტუაცია მივიღეთ, ვიდრე გვქონდა: თუ ადრე ამომრჩევლები იმედოვნებდნენ, რომ ხმას უკეთეს მომავალს ან თუნდაც შესაბამის ილუზიას აძლევდნენ, დღეს მათი დიდი ნაწილი აცნობიერებს, რომ შეუძლია ხმა მხოლოდ «ნაკლებ ბოროტებას» მისცეს. ეს ვითარება ძალზე ტრაგიკულია, გამოსავალი ჯერჯერობით არ ჩანს, ხოლო ბიძინა ივანიშვილის «დემოკრატურა» ამ გარემოებას სათავისოდ იყენებს**

პროგრამის სოციალურ-ეკონომიკური ნაწილი ძირითადად ზოგად ხასიათს ატარებდა, თუმცა ცალკეული ლიდერები დაპირებებს არ იშურებდნენ. მაგალითად, **გუბაზ სანიკიძე** ამბობდა, რომ მინიმალური პენსია 220 ლარი გახდებაო. ბიძინა ივანიშვილი კი, უკვე პრემიერმინისტრის რანგში, ამომრჩევლებს ჰპირდებოდა, რომ 2013 წლის ბოლომდე შეძენილი (თუ არა დამონტაჟებული) იქნებოდა 60 ახალი ქარხანა. მოგვიანებით მმართველი პარტიის წარმომადგენლები თავს იმით იმართლებდნენ, რომ პენსიის გაზრდა ეტაპობრივი, დროში გაწელილი პროცესია, ხოლო ახალ საწარმოებს რაღაც უცნაური მეთოდების გამოყენებით ითვლიდნენ, ხანდახან კი მიუთითებდნენ ისეთ ობიექტებზე, რომლებსაც ახალ ქარხნას ხუმრობითაც კი ვერ უწოდებ.

ამასთანავე, იყო შესრულებული დაპირებებიც, რომლებმაც გაჭირვებულებს ცხოვრება ასე თუ ისე შეუმსუბუქა — იქნებოდა ეს საგადასახადო შეღავათები მცირე მეწარმეებისთვის, უფასო სამედიცინო დაზღვევის პროგრამა თუ დევნილების უზრუნველყოფა საცხოვრებელი ფართით. „ქართული ოცნების“ მომხრეები და მოწინააღმდეგეები ამ თემაზე ხშირად კამათობენ, თუმცა მთავარი, ალბათ, არა კონკრეტული მიღწევები და ჩავარდნებია, არამედ ის, რომ, ხელისუფლების შეცვლის მიუხედავად, მისი წარმომადგენლები კვლავინდებურად ცდილობენ, ყველაზე მომგებიანი ბიზნეს-სფეროების მონოპოლიზება მოახდინონ, უბრალოდ, ამას ისე ველურად არ აკეთებენ, როგორც 2003-12 წლებში. მშრომელების უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვა, ისევე, როგორც ადრე, თითქმის ნულოვანია, რასაც ნათლად ადასტურებს ტყიბულელ მეშახტეებთან დაკავშირებული ტრაგიკული ეპოპეა. რა შეიცვალა არსებითად 2012 წლის შემდეგ?

„უმოკლეს ვადებში განვახორციელებთ ტარიფების ხელახალ და სამართლიან გადაანგარიშებას ტარიფების მნიშვნელოვანი შემცირების მიმართულებით“, — წერდა „ოცნება“ 2012-ში და მართლაც გადაიანგარიშა, ოღონდ უკუღმა. პროგრამაში ნათქვამი იყო, რომ „მოხდება საწვავის, ფარმაცევტული პროდუქციისა და სხვა საქონლის ფასების კლება, რაც ჯანსაღი კონკურენციის შედეგად მიიღწევა და რასაც მოსახლეობა პრაქტიკულად დაუყოვნებლივ იგრძნობს“. რეალურად, ფასები სტაბილურად იზრდებოდა, მაგალითად, **გასულ კვირას „საქსტატის“ აღმასრულებელმა დირექტორმა გოგიტა თოდრაძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, რომ აგვისტოში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით „სასურსათო საქონელზე ფასები გაიზარდა 3,3%-ით, რაც შეეხება მედიკამენტებს, სახეზე გვაქვს 10,3%-იანი ზრდა, ხოლო ბენზინზე — 19,5%-იანი. რთულია იმის თქმა, ფასების ზრდის ტენდენციას უნდა ველოდოთ თუ არა“.**

**სხვა ქვეყანაში ყოველივე ამისთვის მმართველ პარტიას, ალბათ, სარზე გასვამდნენ, თუმცა „ქართულ ოცნებას“ ამის, როგორც ჩანს, არ ეშინია.** გასულ კვირას „რუსთავი 2“-მა გამოაქვეყნა „ედისონ რიზერჩის“ გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედვით გამოკითხულთა 22% აცხადებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ხმას **გრიგოლ ვაშაძეს** მისცემს, 18% — **დავით ბაქრაძეს** და მხოლოდ 15% — „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილ **სალომე ზურაბიშვილს** (8% — ნათელაშვილს, 3% — უსუფაშვილს). პარლამენტის თავმჯდომარემ **ირაკლი კობახიძემ** ამ მონაცემებს უნდობლობა გამოუცხადა და თქვა, რომ, მისი პარტიის შიდა კვლევების თანახმად, ზურაბიშვილი პირველსავე ტურში გაიმარჯვებს. მართლაც, ძნელი დასაჯერებელია, რომ ნაციონალმა კანდიდატებმა — ვაშაძემ და ბაქრაძემ, ჯამში, შეიძლება 40% მიიღონ (უმრავლესობა მათ სწორედ ნაციონალებად აღიქვამს, იმის მიუხედავად, რომ ფორმალურად პირველი წარმოადგენს კოალიციას „ძალა ერთობაშია“, ხოლო მეორე — „ევროპულ საქართველოს“), მაგრამ აქ გაცილებით მნიშვნელოვანია სხვა რამ: როდესაც ეს მონაცემები გამოქვეყნდა, სოციალურ ქსელებში მყისიერად გაჩნდა სამობილიზაციო სულისკვეთება და მოწოდებები, რომელთა მოკლე შინაარსი ძალიან მარტივია: **„არ დავუშვათ ნაციონალების დაბრუნება!“.** ეს არის პოლიტტექნოლოგია ინსტინქტების დონეზე — **უამრავი ადამიანი შინაგანად მზადაა, გააკეთოს ყველაფერი, ოღონდ ძველი შიში და ტკივილი არ დაუბრუნდეს და ხმა მისცეს არა იმდენად „ქართული ოცნებას“, რამდენადაც „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ. შესაბამისად, ბიულეტენში ხელისუფლების კანდიდატი შემოხაზოს, მიუხედავად იმისა, რა დამოკიდებულება აქვს მის მიმართ და რა პრეტენზიებს უყენებს „ქართულ ოცნებას“.** სავარაუდოდ, სწორედ ამის იმედი აქვს ირაკლი კობახიძეს, როდესაც საუბრობს გამარჯვებაზე პირველ ტურში, ხოლო „ედისონ რიზერჩის“ მონაცემები, რომელთაც, ალბათ, „ერთიანი ნაციონალური ელექტორატის“ საბრძოლო სულისკვეთება უნდა გაეძლიერებინა, პარადოქსულად, საპირისპიროსაც აკეთებს და ზურაბიშვილის პოტენციური ამომრჩევლების (უფრო სწორად — ნაციონალების მოწინააღმდეგეების) მობილიზაციას ახდენს.

ექვს წელიწადში „ქართული ოცნების“ გამარჯვებიდან უარესი სიტუაცია მივიღეთ, ვიდრე გვქონდა: თუ ადრე ამომრჩევლები იმედოვნებდნენ, რომ ხმას უკეთეს მომავალს ან თუნდაც შესაბამის ილუზიას აძლევდნენ, დღეს მათი დიდი ნაწილი აცნობიერებს, რომ შეუძლია ხმა მხოლოდ და მხოლოდ „ნაკლებ ბოროტებას“ მისცეს. ეს ვითარება ძალზე ტრაგიკულია, გამოსავალი ჯერჯერობით არ ჩანს, ხოლო ბიძინა ივანიშვილის „დემოკრატურა“ ამ გარემოებას სათავისოდ იყენებს.

**სიუჟეტში, რომლითაც „რუსთავი 2“-მა, ფაქტობრივად, დღის წესრიგი დაადგინა და წმინდა სინოდს რეაგირების გეგმა უკარნახა (კარნახში მხოლოდ მცდელობა იგულისხმება), ნათქვამი იყო, რომ მამა გიორგის ინტერვიუმ სამღვდელოება ერთობ გააოცა. თუმცა იმავე სიუჟეტში არც ერთი გაოცებული სასულიერო პირი, გარდა ისევ „რუსთავი 2“-ისა და მსგავსი პროპაგანდისტული (საინფორმაციო) საშუალებების მიერ თეოლოგად შერაცხილი პიროვნებებისა, ნაჩვენები არ ყოფილა. არც იმის ახსნა და გარკვევა უცდიათ, რატომ და რა მიზეზით აკრიტიკებს ესა თუ ის მღვდელმსახური მსოფლიო პატრიარქს...**

ხმა ბერისა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## მამა გიორგი (რაზმაძე): ვრჩები ისევ იმ აზრზე და მას ვერავინ შემაცვლევინებს, რომ შფოთი მართლმადიდებელ სამყაროში კონსტანტინოპოლის პატრიარქმა შეიტანა

**ბოლო პერიოდში ქართველი სასულიერო პირების ნაწილის მიერ „საქართველო და მსოფლიოსთან“ ინტერვიუში კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართოლომეოსის მიმართ გაკეთებულ კრიტიკულ განცხადებებს (რაც კონსტანტინოპოლის პატრიარქის მხრიდან სჯულის კანონის უხეშ დარღვევასა და უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის თვითნებურად მინიჭებას უკავშირდება) უკვე მოჰყვა ლიბერალური ისტებლიშმენტის ისტერიკა და კბილთა ღრჭენა.**

> **«პატრიარქის პოზიცია მიუღებელია იმდენად, რამდენადაც ის ეწინააღმდეგება სჯულის კანონს და ამაზე სასულიერო პირები, უკვე დიდი ხანია, საჯაროდ ლაპარაკობენ. ისე, მსოფლიო პატრიარქი რატომ გახდა დღეს ლიბერალებისთვის ასეთი მტკივნეული წერტილი, ცოტა გაუგებარია! «რუსთავი 2»-ს ბართოლომეოსი რომ არ აინტერესებს და რეალურად ეკლესიაში ვითარების დაძაბვითაა დაინტერესებული, ცხადია»**

როგორც ხდება ხოლმე, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა მამა **გიორგის (რაზმაძის)** ინტერვიუ (წინა, 34-ე ნომერში გამოქვეყნებული) მიჭრა-მოჭრა და ტექსტი სიუჟეტში ისე დაალაგა, რომ მასალის შესავალში მოყვანილი კონკრეტული სიტყვები, რომელიც რედაქციის პოზიციაა, რესპონდენტის ნათქვამ ფრაზად წარმოაჩინა. ამის შემდეგ ისევ გაისმა ყბადაღებული ბრალდებები იმის თაობაზე, რომ თურმე ნებისმიერი მსგავსი კრიტიკა ბართოლომეოსის თუ დასავლეთიდან მართული სხვა პირების მიმართ კრემლიდანაა ნაკარნახევი. პირდაპირ არა, მაგრამ ირიბად და მინიშნებებით ისიც ითქვა, რომ მსოფლიო პატრიარქის კრიტიკა წმინდა სინოდისა და პირადად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მხრიდან კონკრეტული რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს (სიუჟეტში ასევე ხაზგასმით ითქვა, რომ თითოეული სასულიერო პირი, რომელიც ბართლომეოსის მიმართ მწვავე განცხადებებს აკეთებს, მკაცრი საეკლესიო სასჯელით, ანუ განკვეთით უნდა დაისაჯოს). კიდევ უფრო მკაცრი და შეუვალი იყო კონკრეტული მაღალი იერარქის პოზიცია. კერძოდ, საგანგებო განცხადებაში, რომელიც წინა კვირას დმანისი-ტაშირისა და ირლანდია-ბრიტანეთის ეპისკოპოსმა **ზენონმა** გაავრცელა, გარკვეული გაფრთხილებებიც იკითხებოდა: **„თუ ვინმე ფიქრობს, რომ მსოფლიო საპატრიარქო არ იღებს ინფორმაციას საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელთა განცხადებებზე, ცდება...“ „ვინც მოსკოვს არ შეუშინდა, მისთვის გაცილებით მარტივი არის, პასუხი მოსთხოვოს თბილისს და მოუწოდოს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, წმინდა სინოდს რეაგირებისკენ...“**

რაც შეეხება ისევ კონკრეტულ მედიაპროპაგანდას, **ზემოაღნიშნულ სიუჟეტში, რომლითაც „რუსთავი 2“-მა, ფაქტობრივად, დღის წესრიგი დაადგინა და წმინდა სინოდს რეაგირების გეგმა უკარნახა (კარნახში მხოლოდ მცდელობა იგულისხმება), ნათქვამი იყო, რომ მამა გიორგის ინტერვიუმ სამღვდელოება ერთობ გააოცა. თუმცა იმავე სიუჟეტში არც ერთი გაოცებული სასულიერო პირი, გარდა ისევ „რუსთავი 2“-ისა და მსგავსი პროპაგანდისტული (საინფორმაციო) საშუალებების მიერ თეოლოგად შერაცხილი პიროვნებებისა, ნაჩვენები არ ყოფილა. არც იმის ახსნა და გარკვევა უცდიათ, რატომ და რა მიზეზით აკრიტიკებს ესა თუ ის მღვდელმსახური მსოფლიო პატრიარქს...**

**რამ გააღიზიანა კონკრეტულად ლიბერალური მედია და რატომაა მისთვის ბართოლომეოსის მიმართ დასაბუთებულად გამოთქმული კრიტიკა მიუღებელი, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, თქვენი ინტერვიუს დიდი ხმაური და მითქმა-მოთქმა მოყვა. როგორც ჩანს, ამ ამბავმა თვით მსოფლიო საპატრიარქომდეც მიაღწია. „რუსთავი 2“ ამტკიცებს, რომ ამ ინტერვიუმ სასულიერო პირები გააოცა, ზოგიერთი ვაილიბერალი კი უკვე განკვეთაზეც ლაპარაკობს. რას იტყვით ამ ყველაფერზე?**

— უწინარესად, მინდა, სწორედ ამ სკანდალს და, გარკვეულწილად, ხელოვნურად ატეხილ აჟიოტაჟს გამოვეხმაურო. მე ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ **არავის და, მათ შორის, არც მსოფლიო პატრიარქს, არ აქვს უფლება, ერთპიროვნულად მიანიჭოს რომელიმე ქვეყნის ეკლესიას ავტოკეფალია,** მაგრამ ეს ყველაფერი გარკვეული კამპანიის შემდეგ ცოტა სხვანაირად წარმოჩნდა. ანუ, მასალის შესავალში იყო სიტყვები, რომ მსოფლიო პატრიარქი არის მსოფლიო აფერისტი და ა.შ., მაგრამ კონკრეტულად ეს სიტყვები არა მე, არამედ თქვენ და თქვენს რედაქციას ეკუთვნოდა, ლიბერალურმა მედიამ კი ეს ყველაფერი სხვანაირად გააშუქა და ამით საზოგადოების გარკვეული ნაწილი შეიძლება შეცდომაშიც შეიყვანა; თუმცა მე კიდევ ვიმეორებ: **ჩემი პოზიცია არასოდეს დამიმალავს არც მსოფლიო პატრიარქის და არც სხვა რომელიმე სასულიერო პირის მიმართ და, თუ რამე არ მომეწონდა, ბევრისგან განსხვავებით, ყოველთვის პირდაპირ მითქვამს.**

რაც შეეხება ჩემ მიერ გამოთქმულ კრიტიკულ მოსაზრებებს ბართოლომეოსის მისამართით, ცხადია, **ვრჩები ისევ იმ აზრზე და ამ აზრს ვერავინ შემაცვლევინებს, რომ შფოთი მართლმადიდებელ სამყაროში კონსტანტინოპოლის პატრიარქმა შეიტანა.** ამას ამბობს ათონის მთა, რომელიც არის ბურჯი მართლმადიდებლობის და მეტიც, **ეს ამბები რომ დაიწყო, იქიდან პირდაპირ მოუწოდეს მონასტრის წინამძღვრებმა უკრაინელ ხალხს, რომ დედაეკლესიას დაუბრუნდნენ. გარდა ამისა, იყო იერუსალიმის პატრიარქის საუბარიც ამაზე გამოქვეყნებული და იქაც საკმაოდ მკაფიოდ გამოითქვა მოსაზრებები...** ანუ, მსოფლიო **პატრიარქის პოზიცია მიუღებელია იმდენად, რამდენადაც ის ეწინააღმდეგება სჯულის კანონს და ამაზე სასულიერო პირები, უკვე დიდი ხანია, საჯაროდ ლაპარაკობენ. ისე, მსოფლიო პატრიარქი რატომ გახდა დღეს ლიბერალებისთვის ასეთი მტკივნეული წერტილი, ცოტა გაუგებარია!“ „რუსთავი 2“-ს ბართოლომეოსი რომ არ აინტერესებს და რეალურად ეკლესიაში ვითარების დაძაბვითაა დაინტერესებული, ყველასთვის ცხადია.** დანარჩენი ადამიანის გონებისთვის მიმინდვია განსასჯელად. თუმცა კიდევ ვიმეორებ: ძალიან ცუდია და გულდასაწყვეტია სასულიერო პირებისგან, როცა ჯერ საქმის ვითარებაში არ არიან გარკვეულები და უკვე მიდის მსჯელობა, იმის მოსმენა, რომ ვიღაც უნდა დაისაჯოს...

**— ისე, „რუსთავი 2“-ის ეთერში გასულ სიუჟეტშიც ითქვა, რომ სასულიერო პირები გაოგნებული არიან ამ ინტერვიუთი.**

**— გაოგნებული იქნებიან ის სასულიერო პირები, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ ფრთა იყვნენ და დღესაც მზე და მთვარე მათზე ამოსდით.** მეტი რა უნდა ვთქვა, უკრაინის ეკლესიაზეც იმავეს გავიმეორებ: **ეკლესიის წიაღში სქიზმის შემოტანა, ეს არის მწვალებლობა და ამაზე დიდი დანაშაული არ არსებობს სჯულის კანონის მიხედვით.** თანაც ვიღაცას რომ ჰგონია, მსოფლიო პატრიარქს უფლება აქვს, ავტოკეფალია მიანიჭოს... **მსოფლიო პატრიარქობა იმას არ ნიშნავს, რომ რომის პაპივით ერთი ხელის მოსმით წყვეტდეს ყველაფერს.** რაც შეეხება ისევ უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობას, თავის დროზე, **როცა ამერიკამ და მთლიანად დასავლეთმა კოსოვო აღიარა, ვლადიმერ პუტინმა ძალიან მკაფიოდ განაცხადება, რომ პანდორას ყუთი მათ არ გაუხსნიათ და შემდეგ ამას მოჰყვა საქართველს ორი კონფლიქტური რეგიონის დამოუკიდებლობა.** მე არ მინდა, დღესაც დაახლოებით მსგავსი რამ განმეორდეს და კიდევ რაღაც დავკარგოთ... ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს პოლიტიკა გაცილებით მეტად ერევა ეკლესიის საქმიანობაში, ვიდრე პირიქით... ისე, ერთი რამ მაინტერესებს: **სასულიერო პირებს საპატრიარქომ მოგვიწოდა, გარკვეულ მედიასაშუალებებთან მოვრიდებოდით ურთიერთობას. ნუთუ ეს მხოლოდ რიგით მღვდლებს ეხება?!**

**— თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— სიმართლე გითხრათ, ჩემთვისაც გაუგებარია. მე ვემორჩილები საპატრიარქოს ლოცვა-კურთხევას და ინტერვიუს არ ვაძლევ კონკრეტულ მედიასაშუალებებს, მაგრამ მოწოდება ყველას უნდა ეხებოდეს და ყველა ერთნაირად უნდა დაემორჩილოს ამ მოწოდებას.

**— უკრაინის არაკანონიკურმა პატრიარქმა ფილარეტმა წინა კვირას იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს საპატრიარქო მათ დამოუკიდებლობას მხარს დაუჭერს და უკრაინის ეკლესიასთან ევქარისტულ კავშირს დაამყარებს. მოდი, კიდევ ერთხელ გასაგებად ავუხსნათ საზოგადოებას, რას ნიშნავს ევქარისტული კავშირი და რატომ არ შეიძლება ამ კავშირის დამყარება უკრაინის ეკლესიასთან.**

— არ შეიძლება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ უკრაინის ეკლესია დღეს არის სქიზმაში, ანუ განხეთქილებაში და პირადად ფილარეტი ანათემასაა გადაცემული. სხვათა შორის, ეს ანათემა ბართოლომეოსმა დაამტკიცა თავის დროზე. ...ფლორენციის უნიიდან სამასი წლის განმავლობაში ამაზე საუბარიც არ ყოფილა, მაგრამ მე ასე ვფიქრობ და ეს ჩემი სუბიექტური აზრია, რომ, **რადგან რუსეთის ეკლესიამ არ მიიღო მსოფლიო საეკლესიო კრებაში მონაწილეობა, რომელიც კიდევ გავიმეორებ, ამერიკისა და ისრაელის სპეცსამსახურების მიერ იყო მოწყობილი, დღეს დღის წესრიგში ისევ დადგა უკრაინის ეკლესიისთვის გარკვეული კანონიკური სტატუსის განსაზღვრის საკითხი, თუმცა ეს პროცესი გრძელდება და ხვალ-ზეგ მსგავსი პრობლემების წინაშე შეიძლება სხვა ადგილობრივი ეკლესიაც აღმოჩნდეს. სხვათა შორის, სააკაშვილმა ერთხელ აღიარა და ეს ცნობილი ფაქტია, საქართველოს ეკლესიის რეფორმის გეგმა რომ მაჩვენეს ბრიუსელში, თმები ყალყზე დამიდგაო. ახლა თქვენ ხომ წარმოგიდგენიათ, სააკაშვილს თმები ყალყზე რომ დაუდგა, რა შეიძლება ყოფილიყო.**

რაც შეეხება ევქარისტულ კავშირს, ეს არის საკრალური მნიშვნელობის მომენტი, როცა ადამიანი ქრისტეს სისხლისა და ხორცის თანაზიარი ხდება. კიდევ ვიმეორებ: სჯულის კანონში გარკვევით წერია, რომ **მართლმორწმუნე კაცს არ აქვს სხვა სჯულის ადამიანებთან და სქიზმაში მყოფებთან არც წირვის ჩატარების, არც მათი ლოცვებში მოხსენიებისა და არც სხვა რამ ლიტურგიკულ პროცესში მონაწილეობის უფლება. ამის დარღვევა სასულიერო პირის მიერ განკვეთით, ხოლო საერო პირის მიერ 25 წელი უზიარებლობით ისჯება.** ასე რომ, ეს ძალიან სათუთი და საფრთხილო თემაა. საერთოდ, მე მიმაჩნია, რომ ამ საკითხზე ყველა განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყოს. არ შეიძლება, სიმართლის თქმას მუდმივად მოვერიდოთ იმის გამო, რომ ვიღაცასთან დაპირისპირება არ გვინდა. საზოგადოდ, მტერი როცა გაქებს, კონკრეტულ შემთხვევაში „რუსთავი 2“-ს ვგულისხმობ, ესე იგი, ძალიან ცუდად ცხოვრობ; მაგრამ, როცა პირიქითაა — მტერი შენს რაღაც „დანაშაულზე“ საუბრობს და შენს მიმართ უარყოფითადაა განწყობილი, ესე იგი, სწორი კურსი გიჭირავს. დასასრულ იმასაც ვიტყვი, რომ დღეს **უძაღლო ქვეყანაში კატები ყეფენ...**

> **«რადგან რუსეთის ეკლესიამ არ მიიღო მსოფლიო საეკლესიო კრებაში მონაწილეობა, რომელიც, ამერიკისა და ისრაელის სპეცსამსახურების მიერ იყო მოწყობილი, დღეს დღის წესრიგში ისევ დადგა უკრაინის ეკლესიისთვის გარკვეული კანონიკური სტატუსის განსაზღვრის საკითხი, თუმცა ეს პროცესი გრძელდება და ხვალ-ზეგ მსგავსი პრობლემების წინაშე შეიძლება სხვა ადგილობრივი ეკლესიაც აღმოჩნდეს»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ავი მუსაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**გათენდა, მაგრამ მავანთა სასურველი არმაგედონი არ შედგა — ქუჩებში არ გაცვივდნენ ქართველები: არიქა, ზაზა ოქუაშვილი დაგვიჩაგრესო. სამაგიეროდ, ქუჩაში თუ არა, მიკროფონებთან მივარდნენ ე.წ.არასამთავრობო ორგანიზაციები (ასო-ები), ხელმოცარული ერთკაციანი პარტიების ლიდერები, გიგნაცები და მიშნაცები, სახალხო დამცველი და პრეზიდენტი მარგველაშვილიც კი, რომლებიც ყველანი ერთად და ცალ-ცალკე მოითხოვდნენ ზაზა ოქუაშვილის ნაბოდვარის გამო სისხლის სამართლის საქმის აღძვრას. 13-მა ასომ, ახალგაზრდა იურისტებისა და კაპიტან ეკა გიგაურის „თამადობით“, გააკეთეს ერთობლივი განცხადება, რომლითაც ისინი იმპერატიული ტონით პირდაპირ მოუწოდებდნენ ხელისუფლებას, — გონს მოდითო.**

# ორი ზაზა: ერთი — ქუჩაში მხარდაჭერის გარეშე, მეორე — ლონდონში ნაცების მხარდაჭერით

**საქართველოში 30 სექტემბრამდე განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, სულ სხვა თემაზე მინდოდა სტატიის დაწერა, მაგრამ , რუსთაველის პროსპექტზე მიმდინარე რამდენიმეკაციანი აქციისა და კომპანია „ომეგა ჯგუფის“ პრეზიდენტის ბლუკუნის სმენა-ცქერის შემხედვარემ, გადავწყვიტე, ორი ზაზასთვის შექმნილ (თუ მათ მიერ შექმნილ) პრობლემებზე დამეწერა. ერთი არის გიგა ბოკერიას ევრონაცებთან (გიგნაცებთან) პოლიტიკურ ალიანსში შესული შვილმოკლული ზაზა სარალიძე, ხოლო მეორე — „პატრიოტთა ალიანსიდან“ გრიგოლ ვაშაძესთან, ანუ მიშნაცებთან ალიანსში შესული ზაზა ოქუაშვილი — კომპანია „ომეგა ჯგუფის“ შეფი.**



ნიკა გვარამია



ეკა კვესიტაძე



ზაზა ოქუაშვილი



ზაზა სარალიძე

**ზაზა სარალიძეზე,** აბა, რა გითხრათ?! დიდი ხანია, რაც გაიშიფრა, რომ ფარული ნაცი იყო და შვილმოკლული მამა შვილის მკვლელს გიგნაცების მიერ დაწერილი სცენარის მიხედვით ეძებდა. სწორედ ამიტომ, ერთ დროს მრავალათასიანი საპროტესტო აქციებისგან განსხვავებით, დღეს ზაზა სარალიძეს 15-20 კაციღა თუ უდგას გვერდით რუსთაველზე უკვე კარიკატურულ აქციაზე...

რაც შეეხება **ზაზა ოქუაშვილს,** მიშნაცი ოქუაშვილი ახალი მოყიყინე ბაყაყია ქართულ პოლიტიკურ ჭაობში, მაგრამ ყიყინიც არის და ყიყინიც — როგორ თუ ვალის გადახდა მომთხოვეთო და ჯერ წინდახედულად ლონდონში „მოხია“ და შემდეგ ტემზის ნაპირებიდან ვრცელი ინტერვიუ მისცა სააკაშვილის ჯიბის ტელევიზიას — „რუსთავი2“-ს.

ინტერვიუდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ერთ მარტივ ჭეშმარიტებაში — **ფულით ყველაფერს ვერ იყიდი. ოქუაშვილის შემთხვევაში — ინტელექტს! შეიძლება 7 უნივერსიტეტის დიპლომი გედოს ჯიბეში და დისერტაციებიც დაიცვა, მაგრამ ინტელექტის გარეშე დიდი-დიდი „ნასტავლი“ კაცის სახელი დაიგდო ქვეყანაზე, მაგრამ ინტელექტი ან გაქვს ღვთისგან ბოძებული, ან არადა, თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ზაზა მიშნაცი მაინცდამაინც ვერც „ნასტავლობით“ დაიტრაბახებს, ადვილი წარმოსადგენია, რა საცოდაობა იყო „ომეგას“ პრეზიდენტის ბლუკუნის სმენა-ცქერა! რას ბოდავდა, რას მიედ-მოედებოდა, თავადაც არ უწყოდა და, რომ არა ნიკა გვარამიასა და ეკა კვესიტაძის „ნიჭიერი თარგმანი“, რომლებიც ე.წ. ჩაკითხვებით ცდილობდნენ ზაზა ოქუაშვილის ნალუღლუღევიდან აზრის გამოტანას, საზოგადოებას დღესაც არაფერი გვეცოდინებოდა და, ფრუნზიკ მკრტიჩიანის გმირ რუბიკასავით, მხრებს ავიჩეჩავდით: КТО ОН ТАКОЙ ЭТОТ ПОТЕРПЕВШИЙ? КУДА ОН ПОШЁЛ?** ზაზა ოქუაშვილის ნაცოდვილარის დეტალური განხილვა ზედმეტად მიგვაჩნია, რადგანაც მისი ინტერვიუს მიღმა გაცილებით მძიმე სურათი იმალება, რომელსაც ქვემოთ დავინახავთ. მანამდე კი ერთი რამის თქმა შეიძლება: გადაცემის წამყვანები სიამოვნებას ვერ მალავდნენ ბიძინა ივანიშვილის მიმართ ოქუაშვილის მიერ გაკეთებული მამხილებელი და ხშირად შეურაცხმყოფელი განცხადებების გამო. ხოლო, როდესაც „წამოაცდენინეს“ რესპონდენტს, რომ „პატრიოტთა ალიანსის“ დაფინანსება ბიძინამ დამავალაო, სიხარულისგან, უკაცრავად პასუხია და, ლამის ტანსაცმლიდან ამოხტნენ: ხომ ვამბობდით, პატრიოტები ბიძინას სატელიტები არიან, ახლა რაღას იტყვის **ირმა ინაშვილიო...** გადაცემის ბოლოს **კვესიტაძე-გვარამიამ დემონსტრაციულად განაცხადეს:** ხვალ ახალ რეალობაში გავიღვიძებთ, რადგანაც ხვალიდან იწყება ბიძინას დასასრულიო (ზუსტ ციტირებაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ შინაარსობრივად ეს ბრძანეს)...

**გათენდა, მაგრამ მავანთა სასურველი არმაგედონი არ შედგა — ქუჩებში არ გაცვივდნენ ქართველები: არიქა, ზაზა ოქუაშვილი დაგვიჩაგრესო. სამაგიეროდ, ქუჩაში თუ არა, მიკროფონებთან გავარდნენ ე.წ.არასამთავრობო ორგანიზაციები (ასო-ები), ხელმოცარული ერთკაციანი პარტიების ლიდერები, გიგნაცები და მიშნაცები, სახალხო დამცველი და პრეზიდენტი მარგველაშვილიც კი, რომლებიც ყველანი ერთად და თითოეული ცალ-ცალკე მოითხოვდნენ ზაზა ოქუაშვილის ნაბოდვრის გამო სისხლის სამართლის საქმის აღძვრას.**

13-მა ასომ, ახალგაზრდა იურისტებისა და კაპიტან ეკა გიგაურის „თამადობით“, გააკეთეს ერთობლივი განცხადება, რომლითაც ისინი იმპერატიული ტონით მოუწოდებდნენ ხელისუფლებას, გონს მოდითო. გარდა იმისა, რომ მსგავსი ლექსიკით არ უნდა საუბრობდნენ ასოები, ამის მორალური უფლებაც არ ჰქონდათ, რადგან ეს ის ასოებია, რომლებსაც კრინტი არ დაუძრავთ 7 ნოემბერის, 26 მაისის სისხლიან დარბევებზე, 9 წლის განმავლობაში ციხეებში ნაწამებ-გაუპატიურებული, ქუჩაში დახვრეტილი საქართველოს მოქალაქეების გამო.

ელიტური კორუფცია, ბიზნესის რეკეტი, სასამართლოზე ზეწოლა და ა.შ. — ყველა ის „სიკეთე“, რომლებიც ყვაოდა მიხეილ სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ 9-წლიანი ფაშისტური რეჟიმის პერიოდში, ახლა „ქართულ ოცნებას“ და პირადად **ბიძინა ივანიშვილს** ბრალდება და იქნებ არც მთლად უსაფუძვლოდ, მაგრამ ისიც ცხადზე ცხადია, რომ ყოველივე ზემოთ თქმული ერთი ჯაჭვის სხვადასხვა რგოლია და, თუ ბიძინას არაფორმალურ მმართველობაზე ვსაუბრობთ, ზაზა სარალიძით დაწყებული, ზაზა ოქუაშვილით გაგრძელებული და ასოებით დამთავრებული, მიმდინარე პოლიტიკური პროცესის ქვეყნის გარედან დირიჟორობაზეც უნდა ვთქვათ. ეს არის უმთავრესი, თორემ ვიმეორებ: რა თქმა უნდა, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება და, რბილად რომ ვთქვათ, „ქართული ოცნების“ მიმართ წაყენებული ბრალდებები არცთუ უსაფუძვლოა, მაგრამ ქოცების მხილება, საბედნიეროდ, არ ნიშნავს ევრო თუ „პროსტო“ ნაცების ქებას, რადგან ქოც-ნაცებს შორის ერთი „უმნიშვნელო“ სხვაობაა: ორივენი გაუმაძღარი მტაცებლებივით კი იქცევიან, მაგრამ ქოცები ციხეებში ხალხს არ აწამებენ, არ აუპატიურებენ; ქუჩებში ახალგაზრდებს არ ხვრეტენ, პატიმართა რაოდენობა 2012 წელთან შედარებით ორნახევარჯერ შემცირდა და ა.შ., რაც სულაც არ არის ცოტა, მაგრამ ის, რომ ცოტა არ არის, ბევრს აღარ ახსოვს. ამიტომ, აქედან გამომდინარე, ხმამაღლა ვაცხადებ — **ფეხებითაც რომ ჩამომკიდონ და ქვემოდან ცეცხლი შემინთონ, მაინც ვერავინ და ვერაფერი მათქმევინებს, რომ ბნედიანი მიშას ხელისუფლება ჯობდა დღევანდელ, თუნდაც უუნარო, ფარჩაკ, გაღორებულ ხელისუფლებას.** რაც შეეხება „პატრიოტთა ალიანსს“, ის კი არ არის მთავარი, რომ ვინმე პოლიტიკურ პარტიას აფინანსებს (ამის გარეშე პოლიტიკა არ არსებობს), არამედ ის, რომ ქართველი საზოგადოება, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, „პატრიოტთა ალიანსისგან“ ადეკვატურ ნაბიჯებს ელის. ვითარება კი ასეთია: **ზაზა ოქუაშვილი „პატრიოტთა ალიანსის“ წყალობით აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატია, ხოლო მისი მეუღლე ნატო ჩხეიძე — საქართველოს პარლამენტის დეპუტატი. ერთისა და მეორის საქციელი, უმადურობასთან ერთად, ელემენტალური ღალატი და ზურგში დანის ჩარტყმაა. სხვა რა უნდა უწოდო თუნდაც მხოლოდ იმას, რომ პარტიიდან გადიხარ, მაგრამ ერთადერთ ნამდვილ ოპოზიციად მიშნაცებს მიიჩნევ და მტერთან თანამშრომლობ?!**

ამ საქციელზე ადეკვატური ქმედება მხოლოდ უბრალო განცხადება ვერ იქნება. ჩემი აზრით, „პატრიოტთა ალიანსმა“ კინწისკვრით უნდა გააგდოს ფრაქციიდან ქალბატონი ნატო ჩხეიძე, მიუხედავად იმისა, რომ პატრიოტებს საპარლამენტო ფრაქცია დაეშლებათ, რადგან მხოლოდ დროის ამბავია ის, რომ ნატო ჩხეიძე თვითონ დატოვებს ფრაქციას, ისევე, როგორც უკვე დატოვა პარტიის რიგები... **თუ გავითვალისწინებთ მოცემულ დროსა და სივრცეში მიმდინარე პროცესების მთავარი აქტორების წარმომავლობას, რაოდენობას, „ბეგრაუნდს“, და რადგან იციან, რომ არჩევნებში გამარჯვების შანსი პრაქტიკულად ნულის ტოლი აქვთ, ყოველივე ზემოთქმული არეულობების პროვოცირების გზით ნაცების მიერ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაა.**

აქედან გამომდინარე, ქოცების ხელისუფლებას მოვუწოდებ, ახლა მაინც გამოიჩინონ სიმტკიცე, პრინციპულობა და, მიუხედავად ჩვენი დასავლელი „მეგობრების“ ზეწოლისა, ყველაფერს თავისი სახელი დაარქვან — დასაჭერი დაიჭირონ, გადასახდელი 50 მილიონი ზაზა ოქუაშვილს გადაახდევინონ, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნებათ ამ ეტაპზე ხალხის ისეთი მხარდაჭერა, რომ ნაცების ოკეანის გაღმა-გამოღმელი პატრონები ვერაფერს გახდებიან.

დიახ, ამ ეტაპზე, რადგან, როგორც ყოველთვის, ცუდსა და ძალიან ცუდს შორის გვაქვს არჩევანი გასაკეთებელი. ახლა მთავარია, მიშა სააკაშვილი თეთრ ცხენზე ამხედრებული არ დაბრუნდეს საქართველოში, თორემ ის სისხლიანი 9 წელიწადი მონაგონი იქნება... და, თუ საქართველოს გადარჩენა უწერია, უფლის ნებით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გამოჩნდება ჯერჯერობით უცნობი ეროვნული ძალა, რომელიც ქოცებსაც და ნაცებსაც — ორივეს ერთად გაუშვებს პოლიტიკურ მოუსავლეთში...

**დავით მხეიძე**



**საცოდაობა იყო «ომეგას» პრეზიდენტის ბლუკუნის სმენა-ცქერა! რას ბოდავდა, რას მიედ-მოედებოდა, თავადაც არ იცოდა და, რომ არა ნიკა გვარამიასა და ეკა კვესიტაძის «ნიჭიერი თარგმანი», რომლებიც ე.წ. ჩაკითხვებით ცდილობდნენ ზაზა ოქუაშვილის ნალუღლუღევიდან აზრის გამოტანას, საზოგადოებას დღესაც არაფერი გვეცოდინებოდა და, ფრუნზიკ მკრტიჩიანის გმირ რუბიკასავით, მხრებს ავიჩეჩავდით: КТО ОН ТАКОЙ ЭТОТ ПОТЕРПЕВШИЙ? КУДА ОН ПОШЁЛ?**

**წესით, ჟურნალისტი იმას უნდა ითხოვდეს, რომ, თუკი ვინმე არასამართლიანად ზის ციხეში, გამოუშვან, ანდა, თუკი ვინმეს მიმართ სამხილები არ არის საკმარისი, არ დაიჭირონ! ეს ადამიანის ელემენტარული უფლებებია, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ეტაპზე „ტვ პირველის“ ჟურნალისტების ამოცანა არის არა ადამიანის უფლებების დაცვა, არამედ სულ სხვა რამ — დაძაბონ, არიონ სიტუაცია ქვეყანაში და ცეცხლზე დიდი ულუფებით დაასხან ნავთი! ამას ისინი ყველაფრის ფასად, ჟურნალისტური თავმოყვარეობის დათმობის ფასადაც კი, აკეთებენ.**



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ისინი ადამიანის უფლებების დარღვევას ითხოვენ

## ჟურნალისტები, რომლებიც «წარმატებით» ართმევენ თავს «სახელოვან ტრადიციას» — ტყუილსა და ცილისწამებაზე დაყრდნობით ქვეყანაში არეულობების წაქეზებას

**გაუგონარი ფაქტია, რომ მედიის წარმომადგენლები საჯაროდ, უბოდიშოდ და მონდომებით მოითხოვდნენ ხელისუფლებისგან, დაარღვიოს ადამიანის ფუნდამენტური უფლებები. როგორც წესი, პირიქით ხდება ხოლმე — ჟურნალისტები მთავრობისგან ადამიანის უფლებების დაცვას ითხოვენ. საქართველოში კი უკვე თვალშისაცემია, რომ ერთობ უცნაური სიტუცია ჩამოყალიბდა — ქართველი ჟურნალისტები პირდაპირ მოითხოვენ სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოებისგან, რომ ყოველგვარი სამხილის, მტკიცებულებისა და ჩვენების გარეშე დაიჭირონ და ციხეში ჩასვან კონკრეტული ადამიანები, მით უფრო საოცარია ყოველივე ეს, როდესაც საქმე არასრულწლოვნებს ეხება.**



ქართული ჟურნალისტიკის „მზე“ ინგა გრიგოლია: კარგით რა, ბატონო მამუკა! საერთოდ, რა შუაშია მოტივი და მიზანი?

**ეჭვი კი არა, საფუძვლიანი რწმენა გამიჩნდა უკვე, რომ კონკრეტულად «ტვ პირველისა» და «იბერიას» მესვეურებს მიშა სააკაშვილისგან ძალიან მნიშვნელოვანი «გრანტი» აქვთ მიღებული იმ ავანტიურის ხელშეწყობაში, რომლის მცდელობასაც, უკვე რამდენიმე თვეა, ვადევნებთ თვალყურს**

თემა თავისთავად უმძიმესია და ამაზრზენიც — როგორ ცდილობენ ამ უმძიმესი თემით სპეკულირებას. თანაც ვინ? — ჟურნალისტები! ჯანდაბას, აიტანდა კაცი გაიძვერა და ყველაფერის მკადრებელი პოლიტიკოსებისგან ამას, ხოლო მოკლული არასრულწლოვნის მამის სრულიად მიუღებელ საქციელს „ამხელა ტკივილის გამო გონების დაბინდვას“ მიაწერდა, მაგრამ **რას შეიძლება მივაწეროთ ქართველი ჟურნალისტების ასეთი მოწადინება, როგორმე გაამძაფრონ სიტუაცია, ქუჩურ გარჩევაში მოკლული ბავშვის ამბავი რაღაც იდუმალი „სახელმწიფოებრივი მაფიის“ საბურველით შემოსონ და ხალხს, ფაქტობრივად, სახელმწიფო გადატრიალებისკენ უბიძგონ? როგორ შეიძლება ავხსნათ ეს საქციელი?**

პირდაპირ ვიტყვი: ამას არანაირი ახსნა არ აქვს, გარდა ფულისა! დიახ, ფული შეიძლება იყოს ერთადერთი ახსნა ყოველივე ამისა და ნამდვილად ვერავინ დამაჯერებს, რომ ქართველი ჟურნალისტების ეს ნაწილი ამ დონის დებილია და, უბრალოდ, ვერ ხვდება, რა წარმოუდგენელ შტერობებს ლაპარაკობს ხოლმე. **ეჭვი კი არა, საფუძვლიანი რწმენა გამიჩნდა უკვე, რომ კონკრეტულად „ტვ პირველისა“ და „იბერიას“ მესვეურებს მიშა სააკაშვილისგან ძალიან მნიშვნელოვანი „გრანტი“ აქვთ მიღებული იმ ავანტიურის ხელშეწყობაში, რომლის მცდელობასაც, უკვე რამდენიმე თვეა, ვადევნებთ თვალყურს. არც სხვა ჟურნალისტები აკლებენ ხელს, მაგრამ გასულ კვირაში ამ მხრივ ძალიან გამოირჩა ქართული ჟურნალისტიკის „მზედ“ მიჩნეული ინგა გრიგოლია.** მისი ინტერვიუ „ქართული ოცნების“ წარმომადგენელ **მამუკა მდინარაძესთან, სხვა გზა აღარ მაქვს, პირდაპირ უნდა ვთქვა: უვიცობის, უტიფრობის, ანტიჟურნალისტიკის ნამდვილი ნიმუში იყო.**

**გრიგოლია: — ბატონო მამუკა, თუკი მ.კ.-ს ეჭირა მოკლული სარალიძე და გ.ჯ. ურტყამდა მას დანას, ეს არ არის მკვლელობაში თანამონაწილეობა? რატომ არ აქვს წაყენებული ბრალი ამ მუხლით მ.კ.-ს?**

**მდინარაძე:** — ქალბატონო ინგა, მ.კ. თავის ჩვევენებაში ამბობს, რომ ის ეხებოდა და ურტყამდა სარალიძეს მუშტს მხოლოდ იმ მიზნით, რომ მოეშორებინა იგი თავისი მეგობრისთვის — გ.ჯ.-ისთვის, რომელიც მას მთელი ძალით ჰყავდა ჩაბღუჯული, წაათრია ფარდულში და სცემდა.

**გრიგოლია:** — **მერე ეგ არ არის, ბატონო მამუკა, მკვლელობაში თანამონაწილეობა? ერთ ადამიანს ჰყავს გაკავებული, მეორე კი ურტყამს დანას. ეს არ არის თანამონაწილეობა?**

**მდინარაძე:** — არა, ქალბატონო ინგა. ვერ მტკიცდება ის, რომ მ.კ-ს სარალიძე გაკავებული ჰყავდა. ის ჩვენებაში ამბობს, რომ მხოლოდ იმიტომ ეხებოდა და ურტყამდა, რომ იგი გ.ჯ.-ისთვის მოეშორებინა და არა იმიტომ, რომ მისთვის ვინმეს დანა დაერტყა. არ არის დამტკიცებული მ.კ.-ს მოქმედების მოტივი და მიზანი.

**გრიგოლია: — კარგით რა, ბატონო მამუკა! საერთოდ, რა შუაშია მოტივი და მიზანი? ბავშვი მოკლეს!..**

აი, ეს არის ძალიან მცირე მონაკვეთი ჟურნალისტ ინგა გრიგოლიასა და პარლამენტარ მამუკა მდინარაძის საუბრიდან. გრიგოლია ცდილობდა, როგორმე ეთქმევინებინა პარლამენტარისთვის, რომ მ.კ. არის დამნაშავე, მკვლელი ან, სულ ცოტა, მკვლელობაში თანამონაწილე პირი. ქალბატონი ინგას უთავმოყვარეობა იქამდეც კი მივიდა, რომ პირდაპირ წამოიძახა: რა შუაშია მოტივი და მიზანიო?! არადა, **„მრავალჭირნახულმა ჟურნალისტმა“ კი უნდა იცოდეს, რომ მოტივი და მიზანი სისხლის სამართლის სფეროს ანი და ბანია!**

სწორედ მოტივისა და მიზნის გარკვევისა და დაზუსტების შედეგად დგინდება, პიროვნებას ბრალი მკვლელობაში უნდა წაუყენო, მკვლელობის მცდელობაში თუ არაფერში, საერთოდ. პიროვნების მოქმედების მოტივისა და მიზნის დადგენის გარეშე სასამართლო განსახილველადაც კი არ მიიღებს პროკურატურის წარდგენილ საქმეს...

საბოლოო ჯამში, თუკი, უბრალოდ, ლოგიკურად მივყვებით ქართველი ჟურნალისტების, კერძოდ კი, ინგა გრიგოლიასა და მისი „კამანდის“ — **ვახო სანაიას, ნინო ჟიჟილაშვილისა** და სხვების საუბრის პათოსს, გამოდის, რომ ისინი, ფაქტობრივად, მოითხოვენ მ.კ.-ისა და კიდევ რამდენიმე არასრულწლოვნის დაპატიმრებას ყოველგვარი პირდაპირი სამხილის, რეალური მტკიცებულების გარეშე! **გადახვევის რეჟიმით შეგიძლიათ ხელახლა უყუროთ „ტვ პირველის“ ეთერში მყოფ ყველა იმ სტუმარს, რომლებიც ხელისუფლების წარმომადგენლები არიან და თავად დარწმუნდებით, რომ ამ ტელევიზიის ჟურნალისტების პათოსი ზუსტად ეს არის — ისინი არად დაგიდევენ სამხილების არარსებობას და პირდაპირ მოითხოვენ ხელისუფლებისგან, რომ დააპატიმრონ და მიუსაჯონ კიდეც იმ არასრულწლოვნებს, რომელთა დაპატიმრებაც სურს ზაზა სარალიძეს.** ფაქტობრივად, გამოდის, რომ, რაკი „ინგა გრიგოლია ასე მიიჩნევს“ და „ზაზა სარალიძეს ასე სურს“, ეს სრულიად საკმარისი საბაბი უნდა იყოს პიროვნებების ციხეში მრავალი წლით გამოსაკეტად. არადა, **წესით, ჟურნალისტი იმას უნდა ითხოვდეს, რომ, თუკი ვინმე არასამართლიანად ზის ციხეში, გამოუშვან, ანდა, თუკი ვინმეს მიმართ სამხილები არ არის საკმარისი, არ დაიჭირონ!** ეს ადამიანის ელემენტარული უფლებებია, მაგრამ, როგორც ჩანს, **ამ ეტაპზე „ტვ პირველის“ ჟურნალისტების ამოცანა არის არა ადამიანის უფლებების დაცვა, არამედ სულ სხვა რამ — დაძაბონ, არიონ სიტუაცია ქვეყანაში და ცეცხლზე დიდი ულუფებით დაასხან ნავთი!** ამას ისინი ყველაფრის ფასად, ჟურნალისტური თავმოყვარეობის დათმობის ფასადაც კი აკეთებენ! ინგა გრიგოლიაზე უკვე ვთქვით — იქამდეც კი მივიდა, რომ სისულელეც დააბრეხვა: **მოტივი და მიზანი, საერთოდ, რა შუაშიაო?!** აი, **ვახო სანაია** კი, როდესაც ვერ იღებს მისთვის სასურველ პასუხს და სტუმარიეუბნება, რომ არ არსებობს საკმარისი სამხილები მ.კ-ის ან სხვა რომელიმე არასრულწლოვნის მკვლელობის ბრალდებით პასუხისგებაში მისაცემად, გადადის ასეთ ფორმულირებაზე: **„კარგით, ეს გასაგებია, რომ ობიექტურად ასეთი სამხილი არ არსებობს, მაგრამ როგორია თქვენი შინაგანი რწმენა? ვინ მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა სარალიძეს?“**

დადექი და რამდენიც გინდა უმტკიცე, რომ ასეთ საკითხებზე **„შინაგანი რწმენის“ გამოტანა ტელეეთერში, მით უფრო მაშინ, როდესაც საქმე არასრულწლოვნებს ეხება, უბრალოდ, არასწორი და არაკანონიერიცაა.** მთავარია, რომ **მაყურებლის თვალში ხელისუფლება „უგულოდ“, „უსამართლოდ“, „დამნაშავეების დამცველად“ წარმოჩნდეს და კანონი და ადამიანის ფუნდამენტური უფლებები ვის აინტერესებს?** ნინო ჟიჟილაშვილი უფრო ემოციურ მეთოდს „აწვება“ და, როდესაც სხვა არგუმენტი აღარ რჩება, ასეთ კითხვებზე გადადის: **„აბა, თქვენი აზრით, რა უნდა ქნას შვილმოკლულმა მამამ? სახლში წავიდეს? რა უნდა გააკეთოს შვილმოკლულმა მამამ? — აი, ამ კითხვებზე გვიპასუხეთ!“** ყველა ვხვდებით, ეს ისეთი კითხვებია, ხელისუფლების წარმომადგენლის ნებისმიერი პასუხი აუცილებლად მოინათლება „არაადამიანობად“, „ცივსისხლიანობად“ და „დამნაშავეებისთვის ხელის დაფარებად“.

ვინაიდან არ ვარ ხელისუფლების წარმომადგენელი, ავდგები და უბრალოდ კითხვას შევუბრუნებ „ჟიჟისა“ და სხვებს: **აბა, რა უნდა ქნას შვილმოკლულმა მამამ, ქვეყანაში შეიარაღებული გადატრიალება დაიწყოს და სამოქალაქო ომი გამოიწვიოს?**

**რა ვქნა, თუკი მე მაქვს შინაგანი რწმენა (თქვენი საყვარელი ტერმინოლოგიით!), რომ თქვენ აი, ამ ემოციური მედიატერორის განსახორციელებლად სოლიდური თანხა გაქვთ აღებული და, უბრალოდ, გაყიდულები ხართ?** ახლა არ დამიწყოთ საუბარი „ჟურნალისტების შეურაცხყოფაზე“! თუკი შეიძლება თანატოლის მკვლელობის ბრალდება ადამიანს „შინაგანი რწმენის“ საფუძველზე აჰკიდო, ჩემი შინაგანი რწმენით, „პროფესიულ შეურაცხყოფასაც“ აიტანთ როგორმე!

**მსოფლიოში მკვლელობის უამრავი გაუხსნელი საქმეა და ამის გამო არსად არც ერთი ხელისუფლება არ გადამდგარა! ისევე, როგორც არც ერთი ხელისუფლება არ გადამდგარა ერთი კონკრეტული ბიზნესმენის გაურკვეველი ბჟუტურის გამო იმაზე, თუ როგორ სთხოვდნენ მას 4 მილიონს, 51 მილიონის ნაცვლად...**

აქაც თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის „ბობოქარმა სულმა“ იყივლა:

**— ეს იყო შოკის მომგვრელი ინტერვიუ. დარწმუნებული ვარ, ეს ინტერვიუ საქართველოში ახალ რეალობას დაუდებს საფუძველს.**

— კი, ნამდვილად, ხვალ უკვე სრულიად ახალ რეალობაში გავიღვიძებთ, ამ ინტერვიუს შემდეგ!

— პირადად ჩემთვის ეს იყო გადატრიალების დასაწყისი, ეს ინტერვიუ ძირეულად შეცვლის ჩვენს ქვეყანას!

— რა თქმა უნდა, ასეთი სკანდალი საქართველოს ჯერ არ ახსოვს.

— ეს ამ ხელისუფლებისთვის „ციხის კადრებია“, მეტიც — ციხის კადრებზე აუარესია ეს...

— გეთანხმები, ბევრად მძიმე იყო, ვიდრე ციხის კადრები.

— ხვალ ნამდვილად სხვა რელობა იქნება ჩვენს ქვეყანაში!

აი, ასე დაემშვიდობნენ მაყურებელს ნიკა გვარამია და ეკა კვესიტაძე **ზაზა ოქუაშვილთან** ინტერვიუს შემდეგ. მგონი, არავინ შემედავება, რომ „რეცეპტი“ ერთი და იგივეა — **მაყურებელი როგორმე დაარწმუნონ, რომ ქვეყანაში რაღაც განსაკუთრებული საშინელება ხდება და აუცილებელია ქუჩაში მრავალათასიანი გამოსვლების დაწყება, „ახალი რეალობის“ შექმნა და ა.შ.**

თუმცა „რუსთავი 2“-ისგან ეს არავის უკვირს, რადგან ჯერ კიდევ 2003 წლიდან ამ ტელევიზიის „სახელოვანი ტრადიციაა“ ქვეყანაში არეულობების წაქეზება ტყუილსა და ცილისწამებაზე დაყრდნობით და იგი, მრავალი წელია, „წარმატებით“ ართმევს ამას თავს. ამჯერად კი „გაშტერებული ხალხის ტელევიზია“ მარტო აღარ არის. თვეზე მეტია, 20-კაციან მიტინგსა და აქციებს კუდში დასდევს „ტვ პირველი“ და ცდილობს, ბუზი სპილოდ აქციოს... **ამ სიას შეუერთდა ტელეკომპანია „იბერიაც“ და ცდილობს, სწორედ ის ძალა, ის მთავრობა დააბრუნოს ხელისუფლებაში, რომელმაც თავის დროზე არათუ „4 მილიონის მოთხოვნით“, არამედ ავტომატებითა და ნიღბიანი სპეცრაზმელებით გადაუარა.**

მოკლედ, პირდაპირ რომ ვთქვათ, ქართული ჟურნალისტიკა, განსაკუთრებით ამ სამი ტელევიზიის სახით, „მარილზეა გასული“ და, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ამ ქვეყანაში მართლაც კიდევ ერთი დიდი არეულობა და შფოთია საჭირო, რომ პოლიტიკაშიც, საზოგადოებაშიც და ჟურნალისტიკაშიც, ერთხელ და სამუდამოდ ყველაფერი თავის ადგილზე დადგეს.

სხვა გამოსავალს თუ ვინმე ხედავთ, ძალიან გთხოვთ, არ დამიმალოთ!

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ხელისუფლებას თუ მართლა უნდა, საქართველო სასურველი და სამაგალითო ქვეყანა გახდეს ჩვენი კონფლიქტური რეგიონების მოსახლეობისთვის, იმაზე კი არ უნდა იფიქროს, როგორ აამოს და ასიამოვნოს დასავლეთს უმცირესობების უფლებებზე აქცენტირებით, არამედ სამუშაო ადგილები უნდა შექმნას, წარმოება განავითაროს, სოფელს მიხედოს... აი ამის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ მომავალსა და პერსპექტივებზე, თორემ, ქვეყანა რომ თავზე გემხობა და განსაკუთრებით ამ ვიზალიბერალიზაციის შემდეგ ხალხი გაქცევაზეა, რომელ სიკეთეზე ვსაუბრობთ?!“**

# პრემიერმა ბახტაძემ გაეროს ტრიბუნიდან აფხაზებსა და ოსებს თვალში ნაცარი შეაყარა

**27 სექტემბერს საქართველოს პრემიერმა მამუკა ბახტაძემ გაეროს გენერალური ასამბლეის 73-ე სესიაზე სიტყვით გამოსვლისას კონფლიქტური რეგიონების მოსახლეობას მიმართა და განაცხადა, რომ საქართველოს ყოველი წარმატება მათი წარმატებაა. ბახტაძის განცხადებით, აფხაზებმა და ოსებმა უნდა ისარგებლონ ყველა იმ სიკეთით, რომლებიც საქართველომ შექმნა, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის, ისე განათლებისა და სხვა მიმართულებებით: „თქვენ უნდა ისარგებლოთ ყველა იმ სიკეთით, რაც საქართველომ შექმნა, იქნება ეს ადამიანის უფლებები, განათლება, ჯანდაცვა, ევროპასთან უვიზო მიმოსვლა თუ სხვა. მინდა, მივმართო განსაკუთრებით ახალგაზრდებს: ჩვენ ერთად, ერთობლივი მონდომებითა და შესაძლებლობებით მივაღწევთ წარმატებასა და კეთილდღეობას“... იმავე გამოსვლაში ბახტაძემ ხაზი ვალდებულებებსაც გაუსვა და დასძინა, რომ საქართველო ყველა მოქალაქის უფლებების დაცვას თანაბრად უზრუნველყოფს.**

**შეგახსენებთ, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში „ადამიანის უფლებების დაცვის“ კუთხით გადადგმულ ნაბიჯებს მოსახლეობის უმრავლესობის პროტესტი და უკმაყოფილება მოჰყვა (გაიხსენეთ „ანტიდისკრიმინაციული კანონის“ მიღება). მიუხედავად ამისა, მმართველი გუნდი აღებულ კურსს არ ცვლის და მოსახლეობისთვის მიუღებელი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას განაგრძობს.**

**არის კი დღეს კონფლიქტური რეგიონების მოსახლეობისთვის ეს ცვლილებები სასიკეთო და აქვს ან შეიძლება ჰქონდეს ამ რეგიონების მოსახლეობას აღნიშნული „სიკეთეებით“ სარგებლობის სურვილი? — „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**— ბატონო დიმიტრი, პრემიერმა ბახტაძემ გაეროს ტრიბუნიდან განაცხადა, რომ აფხაზებმა და ოსებმა უნდა ისარგებლონ იმ სიკეთეებით, რომლებიც საქართველომ შექმნა ადამიანის უფლებების, განათლებისა და სხვა მიმართულებებით. მოდი, თანმიმდევრულად მივყვეთ: რა სიკეთეები შექმნა ხელისუფლებამ და რამდენად მიმზიდველი შეიძლება იყოს ეს ყველაფერი აფხაზების ან ოსებისთვის?**

— ამას წინათ ყარაჩაი-ჩერქეზეთში დავესწარი კონფერენციას „კავკასიური დიალოგი 2018“ და იქ შესაძლებლობა მქონდა, პირისპირ შევხვედროდი, როგორც აფხაზებს, ისე ოსებს. მათ ძირითადი ყურადღება მათთვის პრობლემურ საკითხებზე გაამახვილეს და ბუნებრივია, ჩემთვის, როგორც საქართველოს მოქალაქისთვის, ეს განსაკუთრებით საინტერესო იყო. როდესაც ისმის შეკითხვა, რა სიკეთეები შექმნა საქართველოს ხელისუფლებამ საკუთარი მოსახლეობისთვის, მათ შორის, აფხაზებისა თუ ოსებისთვის, მე შემიძლია მათი პირით გიპასუხოთ: ის ნაბიჯები, რომლებიც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დემოკრატიის სახელით გადაიდგა, აქ განსაკუთრებით იგულისხმება ადამიანის უფლებების კუთხით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, მათთვის არის პირდაპირ სიგნალი, რომ **არაფერი კარგი და სასიკეთო ამ ადამიანებს საქართველოში არ ელოდებათ.** პირველ რიგში, მხედველობაში მაქვს ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი და, **თუ ვინმეს ჰგონია, რომ მსგავსი ქმედებებით ეს ქვეყანა უფრო მიმზიდველი და სასურველი ხდება ან აფხაზებისთვის, ან ოსებისთვის, ძალიან ცდება.** თითოეული ასეთი ნაბიჯი ამ რეგიონის მოსახლეობისთვის აღქმულია, როგორც მკვეთრად უარყოფითი და ერისთვის დიდი ზიანის მომტანი მოვლენა. ასე რომ, რას გულისხმობდა პრემიერი სიკეთეებში, არ ვიცი, მაგრამ **ის, რასაც დღეს ლიბერალები ადამიანის უფლებებს ეძახიან, სიკეთედ ნამდვილად არ აღიქმება არც აფხაზეთში და არც ოსეთში, ისევე, როგორც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობაში.** სხვათა შორის, ნარკომანია დღეს აფხაზებისთვის უპირველესი პრობლემა და თავსატეხია, იმიტომ, რომ ის, რაც ბოლო პერიოდში ხდება მათ რეგიონში, ეროვნული მასშტაბის ტრაგედიაა. ახლა ამას ლეგალიზაცია რომ დაემატოს, რა თქმა უნდა, არ დაუშვებენ და მართალიც იქნებიან. შესაბამისად, ამ საკანონმდებლო ქოლგის ქვეშ ისინი არ ისურვებენ არავისთან თანაცხოვრებას.

## «ყარაჩაი-ჩერქეზეთში გამართულ კონფერენციაზე ოსებმა განმიცხადეს: სად არის დაპირება ერგნეთის ბაზრობის აღდგენაზეო»



**«ქვეყანაში, სადაც წლიდან წლამდე იზრდება საგარეო ვალი და ის დღეს უკვე 15 მილიარდს გადასცდა, საუბარი წინსვლასა და ეკონომიკურ განვითარებაზე ზედმეტია»**

**— სხვა „სიკეთეებზე“ რას იტყვით?**

— პრემიერმა თავის გამოსვლაში ჯანდაცვა და განათლება ახსენა, რაც შემთხვევითი არ ყოფილა. ვთქვათ სიმართლე პირდაპირ: ბოლო ორი წლის განმავლობაში აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებმა დაახლოებით 2600-მა ეთნიკურმა აფხაზმა ისარგებლა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში უფასო ჯანდაცვის სერვისით. სხვათა შორის, ამ სტატისტიკას არც აფხაზები გაურბიან და ისინი, ისევე როგორც ოსები, აცხადებენ, რომ საქართველოში არსებული მაღალტექნოლოგიური სამედიცინო სერვისები ნამდვილად არის მათთვის შეღავათი. ამით იმის თქმა მინდა, რომ ძნელია, ამ საკითხში პრემიერს არ დაეთანხმო, მაგრამ არის სხვა საკითხები, რომლებიც არათუ მოგვარებულია, მათი მოგვარების პერსპექტივაც არ ჩანს.

**— მაგალითად?**

— მაგალითად, ყარაჩაი-ჩერქეზეთში ოსებმა განმიცხადეს: სად არის დაპირება ერგნეთის ბაზრობის აღდგენაზეო? შეგახსენებთ, რომ 2012 წლის არჩევნებამდე ერთი თვით ადრე „ქართული ოცნება“ გამოდიოდა დაპირებით, რომ ასეთი ტიპის სავაჭრო ზონები აუცილებლად აღდგებოდა, როგორც ხალხთა დაახლოების ერთ-ერთი ბუნებრივი ინსტრუმენტი და სახალხო დიპლომატიის პირდაპირი განხორციელება. აი, ეს არის ზუსტად ის გარემოებები, რომლებიც ეჭვს იწვევს და, ბუნებრივია, ხელისუფლების სანდოობა, როცა ის სიკეთეზე თუ სიკეთეებზე საუბრობს, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება: ერთი მხრივ, როცა ხდება იმის დეკლარირება, რომ მათი მიზანი არის მოქალაქეებისთვის თანაბრად ხელსაყრელი და სასურველი გარემოს შექმნა; ხოლო, მეორე მხრივ, აშკარაა სრული უმოქმედობა, სიცრუე და საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრის მცდელობა ყველასთვის დასანახი ხდება.

რაც შეეხება ეკონომიკას, ამ თვალსაზრისით საქართველო კატასტროფის ზღვარზე რომ არის, აფხაზებიც კარგად ხედავენ, ოსებიც და მსოფლიოც. ხალხი საზღვარგარეთ მიდის ლუკმაპურის საშოვნელად. **დღეს აფხაზებისთვის, რომლებსაც დემოგრაფიული პრობლემა მიაჩნიათ უმთავრესად, შეიძლება მათთვის რამე თვალსაზრისით მიმზიდველი იყოს დემოგრაფიულად მომაკვდავი ქვეყანა?!** შეიძლება ეკონომიკურ სიკეთესა და პერსპექტივაზე ესაუბრო ამ ხალხს მაღალი ტრიბუნიდან, როცა ის, ვინც რეალურად დღეს შენი მოქალაქეა და შენს კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ცხოვრობს, შიმშილით კვდება?! **ხელისუფლებას თუ მართლა უნდა, საქართველო სასურველი და სამაგალითო ქვეყანა გახდეს ჩვენი კონფლიქტური რეგიონების მოსახლეობისთვის, იმაზე კი არ უნდა იფიქროს, როგორ აამოს და ასიამოვნოს დასავლეთს უმცირესობების უფლებებზე აქცენტირებით, არამედ სამუშაო ადგილები უნდა შექმნას, წარმოება განავითაროს, სოფელს მიხედოს... აი ამის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ მომავალზე და პერსპექტივებზე, თორემ, ქვეყანა რომ თავზე გემხობა და განსაკუთრებით ამ ვიზალიბერალიზაციის შემდეგ ხალხი გაქცევაზეა, რომელ სიკეთეზე ვსაუბრობთ?!** საერთოდ, ეს ვიზალიბერალიზაცია ჩვენთვის, უკვე დიდი ხანია, ერთგვარი თავსატეხი გახდა იმ კუთხით, რომ მოსახლეობის გადინების ასეთი მაღალი ტემპი, როგორიც დღესაა, არასოდეს ყოფილა. თუმცა იმის ნაცვლად, რომ ამ ხალხის დასაბრუნებლად დღეს აქ იქმნებოდეს ეკონომიკური ბერკეტი, პირიქით — ვხედავთ მცდელობას, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მეთაურებთან შეთანხმებით მოხდეს ჩვენი მოსახლეობის ნაწილის დასაქმება ევროპის კონტინენტზე, რაც, რა თქმა უნდა, ასიმილაციას უწყობს ხელს და რეალურად აქედან კიდევ უფრო მეტი ადამიანის გასვლის ხელშემწყობი ფაქტორია. ამ დროს უცხოეთში გადახვეწილ ჩვენს თანამემამულეებს პარალელურ რეჟიმში ანაცვლებენ აზიელი მიგრანტები, რომელთათვისაც საკანონმდებლო დონეზე სრულიად ნოყიერი ნიადაგია შექმნილი. რა თქმა უნდა, ეს აფხაზებისთვისაც და ოსებისთვისაც მკაფიო სიგნალია, რომ საქართველოს ეკონომიკა არ ვითარდება და სიღარიბის დონე იზრდება.

**— ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპი მაღალია.**

— ერთია, რას ამტკიცებს ხელისუფლება, მაგრამ ჩვენ ხომ ამ ქვეყანაში ვცხოვრობთ. ნებისმიერი მოქალაქე გააჩერეთ ქუჩაში და ჰკითხეთ: აქვს დღეს იმაზე უკეთესი პირობები, ვიდრე შარშან ან იმის წინათ ჰქონდა? გაუმჯობესდა მისი ცხოვრება? მხოლოდ ის ფაქტი რად ღირს, რომ ჩვენი პენსიები დღეს ნახევარიც კი არ არის საარსებო მინიმუმით გათვალისწინებული თანხისა და 840 ათასი ბენეფიციარი გვყავს პენსიონერი, რომელიც, ფაქტობრივად, ბედის ანაბარაა მიტოვებული. სხვა მხრივ კიდევ რა სიდუხჭირეა ქვეყანაში, აღარაფერს ვამბობ, რომელ ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზეა საუბარი?

**— გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე ბახტაძემ რუსეთსაც მიმართა, ხელი არ შეუშალოს აფხაზებისა და ოსების საქართველოსთან ინტეგრაციის პროცესს. რუსეთის ფაქტორი მართლა რომ გამოირიცხოს, ჩვენი ხელისუფლების დღევანდელი პოლიტიკის პირობებში რეალურად შესაძლებელია ამ რეგიონების მოსახლეობის ინტეგრაცია?**

— მოდი, ვიყოთ რეალისტები: აფხაზებისა და ოსების პრობლემა დღეს არის მათი ეთნოსის შენარჩუნება. ოსები ამბობენ, რომ ისინი სულ 400 ათასი დარჩნენ და ეს საგანგაშოა. ამასთანავე, ისინი საკმაოდ აგრესიულ გარემოცვაში ცხოვრობენ — დიდი ხანია, დაპირისპირებულები არიან კავკასიაში მცხოვრებ სხვა ხალხებთან, მაგალითად, ინგუშებთან. ამ ყველაფრის ფონზე არ მალავენ, რომ ქართველები ბუნებრივად უნდა იყვნენ მათი მოკავშირეები, მაგრამ, ვინაიდან საქართველოსთან ურთიერთობის მხრივ მუდმივად აქვთ პრობლემები, გადარჩენის გზებს ეძებენ რუსეთის ფედერაციაში. აი, ეს საკითხი, ვფიქრობ, ღრმა და ყოვლისმომცველი შესწავლის საგანი უნდა გახდეს, მაგრამ დღევანდელ ვითარებაში ეს რამდენად გაკეთდება, არ ვიცი. კიდევ ვიმეორებ: ამ ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში, როცა საქართველო დაქცეულია, დაპირება მაღალი ტრიბუნიდან, რომ ინტეგრირების შემთხვევაში საამური იქნება მათთვის ცხოვრება, უბრალოდ, თვალში ნაცრის შეყრაა და სხვა არაფერი, რასაც აფხაზებიც და ოსებიც, ბუნებრივია, კარგად ხვდებიან; ასე რომ, დაპირებას უნდა ამყარებდეს, ერთი მხრივ, იდეოლოგია და, მეორე მხრივ, კონკრეტული ციფრები, რომლებიც უტყუარი მაჩვენებელია რეალური მდგომარეობისა, მაგრამ **ქვეყანაში, სადაც წლიდან წლამდე იზრდება საგარეო ვალი და ის დღეს უკვე 15 მილიარდს გადასცდა, საუბარი წინსვლასა და ეკონომიკურ განვითარებაზე ზედმეტია.** არაფერს ვამბობ იმაზე, რომ, მიუხედავად „ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებებისა წარმოების განვითარების შესახებ, დღემდე ეს მიმართულება ერთ-ერთი სუსტი რგოლია ეკონომიკაში. ასევე არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ქვეყანას არ აქვს მცირე და საშუალო მეწარმეობის შესახებ კანონი, არ გააჩნია საფონდო ბირჟა, ფასიანი ქაღალდების ბაზარი, მუნიციპალური ობლიგაციების თანამედროვე სისტემა და აშ.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„ხელისუფლება ოქუაშვილის ბრალდებების საპასუხოდ სირაქლემის პოზიციაში ჩადგა, რაც ფატალური შეცდომაა. მეტიც, ეს ამ ხელისუფლების ბოლო, კატასტროფული შეცდომაა. თუკი ოქუაშვილის მონაყოლის შემდეგ ესენი მხოლოდ ამ განცხადებებით შემოიფარგლებიან, ამ პოლიტიკურ ძალას არანაირი პერსპექტივა არ აქვს“.

ჩაკურსი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



გია ხუხაშვილი:

# «ქართული ოცნების» მთავარი პრობლემა არის ურჩხული, რომელიც გამოზარდეს და მზად არის, მშობელი შეჭამოს

**საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად ქვეყანაში ვითარება იძაბება, უფრო ზუსტად, გარკვეული ძალები ცდილობენ, დაძაბონ წინასაარჩევნო სიტუაცია — ყოველდღიურად აქვეყნებენ სკანდალურ ინფორმაციას ამა თუ იმ მინისტრის მიერ ფულის დატაცებაზე, უფლებამოსილების გადამეტებაზე, წილების გადანაწილებაზე, დაშინებაზე და ა.შ. ერთ-ერთი ხმაურიანი ისტორია კომპანია „ომეგა ჯგუფის“ პრეზიდენტის, ზაზა ოქუაშვილის, საქმე აღმოჩნდა, რომლის შესახებაც ჯერ ნაწილ-ნაწილ აწვდიდნენ ჩანაწერებს საზოგადოებას, შემდეგ კი ვრცელი ინტერვიუ ჩაწერა „რუსთავი 2“-მა. ლონდონში მყოფმა ზაზა ოქუაშვილმა ამ ინტერვიუში ისაუბრა, როგორ სძალავდნენ მას ფულს ბიძინა ივანიშვილი და მისი ე.წ. ხელის ბიჭები, როგორ აჩვენებდა ოთხ თითს ბიძინა ივანიშვილი, როგორ აწამეს სარდაფში სპორტისა და ახალგაზრდობის ყოფილი მინისტრი ლევან ყიფიანი და სხვ. აღმოჩნდა, რომ ხელისუფლება, რომელიც ხალხმა ხელისუფლების სათავეში ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის მოიყვანა, წინა ხელისუფლებისგან დიდად არ განსხვავდება. ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე გვესაუბრება ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში — გია ხუხაშვილი.**



> **«ვფიქრობ, ივანიშვილი დასჯის ყველას, ვინც მის სახელს თაღლითურად იყენებს, ჩირქს სცხებს და კეთილდღეობას იწყობს, მაგრამ ეს ძალიან სწრაფად უნდა გააკეთოს და, თუ ასე არ მოხდა, საზოგადოებას დარჩება განცდა, რომ მართლა ივანიშვილი დგას იმ ყველა სიბინძურის უკან, რომლებიც ქვეყანაში ხდება»**

**— ბატონი გია, ჩანაწერები, რომლებზეც, ბოლო რამდენიმე დღეა, საუბრობს მედიაც და საზოგადოებაც, უფრო სკანდალური აღმოჩნდა, ვიდრე ვვარაუდობდით. ზაზა ოქუაშვილმა ბევრი, ერთი შეხედვით, საინტერესო და საყურადღებო რამ ილაპარაკა. როგორ ფიქრობთ, მას ფანტაზიის დიდი უნარი აქვს თუ მართლაც სიმართლე თქვა?**

— ოქუაშვილის გამოსვლა ორ ნაწილად უნდა დავყოთ: ერთი ფაქტობრივი, ხოლო მეორე — შეფასებითი. ფაქტობრივი ნაწილის შეფასება არ არის რწმენის საკითხი, ვის სჯერა და ვის — არა, ეს გამოძიების თემაა. ოქუაშვილმა უმძიმეს ბრალდებებზე ისაუბრა — ბანკიდან ფულის გატანაზე, სარდაფში ადამიანის გამომწყვდევაზე, მანქანების შეწერაზე, წილების გადანაწილებაზე და ა.შ. უპირველესად, ხელისუფლება უნდა დაინტერესდეს ამ ბრალდებების გამოძიებით. თუ ხელისუფლება შეეცდება, სირაქლემის პოზაში ჩადგეს, მისთვის ძალიან მძიმედ დამთავრდება ყველაფერი. საზოგადოებაში ეს გაამყარებს იმის განცდას, რომ ხელისუფლება რაღაცას მალავს. ამ საქმეზე სასწრაფოდ უნდა დაიწყონ გამოძიება და დასკვნა დადონ. **ხელისუფლებები უდანაშაულობის პრეზუმპციით არ სარგებლობენ, მათ აკისრიათ ვალდებულება, დაამტკიცონ სიმართლე. ხელისუფლებას, რომელიც ამას არ აკეთებს, ადრე თუ გვიან, პასუხისგება მოუწევს.**

**ლევან ყიფიანი** გააშიშვლეს თუ არა, ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს და თვითონ ლევანი უნდა დაინტერესდეს გამოძიებით.

**— თქვენ კარგად იცნობთ ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს. შეეძლოთ თუ არა მათ ასეთი საქმის ჩადენა? შეეძლო ბიძინა ივანიშვილს, რომ ოქუაშვილისთვის 4 მილიონი დოლარი მოეთხოვა?**

— ბიძინა ივანიშვილის მიერ თავისი ჯიბისთვის ვიღაცისთვის ფულის მოთხოვნა ფანტასტიკის სფერო მგონია, მაგრამ ვერ გამოვრიცხავ, რომ მომრავლებული თაღლითები პირადი გამორჩენის მიზნით ბიძინას სახელს ბოროტად იყენებდნენ და გამოსაძიებელიც სწორედ ეს არის.

**— ოქუაშვილი გაერთიანებული ოპოზიციის მიერ წამოყენებული პრეზიდენტობის კანდიდატის, გრიგოლ ვაშაძის, მხარდამჭერი აღმოჩნდა. „რუსთავი 2“-ის გენდირექტორი ნიკა გვარამია ინტერვიუთი აღფრთოვანებას ვერ მალავდა და გამუდმებით გაიძახოდა: ხვალ საქართველო ახალ რეალობაში გაიღვიძებსო. ეს ინტერვიუ ნაციონალების დადგმული ხომ არ იყო?**

— **ოქუაშვილს თავისი პრობლემები აქვს, მაგრამ მას წამებულად ვერ წარმოვაჩენთ, ის არც საზოგადო მოღვაწეა, მაგრამ არც წყალწაღებული აფერისტი...** ჭეშმარიტება სადღაც შუაშია, რაც, კიდევ ვიმეორებ, დასადგენია.

ვინც ხელისუფლებას გააკრიტიკებს, ყველა ნაცი არ არის. ოქუაშვილი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ლაპარაკობს, მას არ ამოძრავებს სახელმწიფო ინტერესები, თვლის, რომ დაზარალებულია და უპირისპირდება ხელისუფლებას. **ზაზა ოქუაშვილი ასე იქცეოდა წინა ხელისუფლების დროსაც, მაშინაც ჩათვალა, რომ იყო დაზარალებული და დაუპირისპირდა ნაცებს. ოქუაშვილი იცავს თავს და საკუთარ ინტერესებს, რაც კრიმინალი არ არის.**

მთავარი მახე, რომელშიც ქართველი საზოგადოება გაება, არის ის, რომ „ქართული ოცნება“ დღემდე ფიქრობს, თავისი პოლიტიკური კეთილდღეობა ააგოს წინა ხელისუფლების სისხლიან ცხრა წელზე, სხვა არგუმენტზე არც ფიქრობს, რაც სახელმწიფოსთვის დამანგრეველია. წარსულზე აგებული მარაზმი არ გვინდა, ჩვენ ნათელი, რეალური მომავალი გვინდა, რომელიც ჯანსაღ ფუნდამენტზე შენდება და არა სისხლზე.

**— თქვით, სირაქლემის პოზაში არ უნდა დადგნენო... „ქართული ოცნების“ შტაბში პოლიტსაბჭო და მთავრობა შეიკრიბა, ივანიშვილიც იქ იყო, მაგრამ ოქუაშვილის ბრალდებებზე არაფერი უთქვამთ...**

— დიახ, სამწუხაროდ, ასეა. მათი განცხადებები მომხდარზე ტვინის გამორეცხვაა და სხვა არაფერი. ისინი კვლავ სისხლიან წარსულსა და მიშაზე ლაპარაკობდნენ; აღმოჩნდა, რომ კარგი მეხსიერება აქვთ, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რა ქვეყანას აშენებენ.

**ხელისუფლება ოქუაშვილის ბრალდებების საპასუხოდ სირაქლემის პოზიციაში ჩადგა, რაც ფატალური შეცდომაა. უფრო მეტიც, ეს ამ ხელისუფლების ბოლო, კატასტროფული შეცდომაა. თუკი ოქუაშვილის მონაყოლის შემდეგ ესენი მხოლოდ ამ განცხადებებით შემოიფარგლებიან, ამ პოლიტიკურ ძალას არანაირი პერსპექტივა არ აქვს.** ოქუაშვილს თუ პასუხგასაცემ ფიგურად არ თვლიან, ეს არაფერს ნიშნავს, რადგან საზოგადოებისთვისაც არაფერს ნიშნავს ის. „ქართულ ოცნებაშია“ პრობლემა.

**ძალაუფლება ადამიანებს რყვნის, განსაკუთრებით გამოუცდელებს, რომლებიც შემთხვევით მოხვდნენ თანამდებობებზე. გამოუცდელები ადვილად ცდუნდებიან.**

დღევანდელმა ხელისუფლებამ სისტემურად არაფერი შეცვალა, მათ გადმოიტანეს თუ გადმოიყვანეს კოლექტიური **მურუსიძე** და გააზავეს არსაიდან მოსული ფიგურებით, ამიტომ, რაც დღეს ხდება, კანონზომიერი და ლოგიკურია.

**— როგორ ხვდებოდნენ ეს, ასე ვთქვათ, არსაიდან მოსული ადამიანები თანამდებობებზე? რიგითმა მოქალაქეებმა მათ შესახებ თითქმის ყველაფერი იციან, მაგრამ მთავრობის ხელმძღვანელებმა — რატომღაც არა...**

— **ქუმსიშვილს** ახსენებენ ძალიან ხშირად, მაგრამ მე პერსონებზე არ დავიწყებ საუბარს, რადგან სისტემურ დანაშაულებზეა საუბარი. სისტემა სულ მუშაობდა, ეს არ არის ამ ხელისუფლების მოგონილი. მაგალითად, **სააკაშვილი ყოველთვის ამბობდა, რომ კორუფცია დაამარცხა, მაგრამ ჩვენ ვიცით, როგორ „პარსავდა“ ბიზნესს მისი ხელისუფლება. ამჟამინდელმა ხელისუფლებამ კი ამ მეთოდის შეცვლა არ მოინდომა და ძალიან წარმატებით გადმოიბარა ეს მანკიერი ჩვევა.** ადამიანი, რაც უფრო დაუმსახურებლად ხვდება თანამდებობაზე, მით მეტად იქცევა უტიფარივით. ისინი ჩადენილის დაფარვასაც აღარ ცდილობენ ან, თუ ცდილობენ, უხარისხოდ.

**— სააკაშვილის მმართველობის პერიოდში გვახსოვს, რომ მექრთამეებს ძალიან მკაცრად სჯიდნენ, თუკი ვინმეს რაიმე ამბავი გაუხმაურდებოდა, აუცილებლად მოჰყვებოდა მძიმე სასჯელი...**

— დღეს უკვე მივედით ისეთ კრიტიკულ ზღვართან, როდესაც ხელისუფლებას აღარ აქვს სერიოზული მანევრის საშუალება. ვხედავთ, რომ ყველა ვექტორი ბიძინა ივანიშვილამდე მიჰყავთ, თითქოს მის ინტერესებშია ყველაფერი, რაც ხდება. რამდენიმე დღეა, ჩანაწერები ვრცელდება, რომლებშიც მისი სახელი წაღმა-უკუღმაა ნახსენები და ბოლოს ოქუაშვილის დამაგვირგვინებელი ინტერვიუა... **ეს ივანიშვილის ღირსების საკითხია, მისი სასიცოცხლო ამოცანაა, ამიტომ ის, რაც ხელისუფლებაში ხდება, ბიძინამ უნდა აღკვეთოს უმკაცრესი მეთოდებით — ვინც დასასჯელია, უნდა დაისაჯოს.** ხელისუფლებამ უნდა აჩვენოს ხალხს, რომ მის არეალში კორუფციამ არ შეიძლება იარსებოს, სირაქლემის პოზაში ჩადგომა არ ეგების, რადგან ფატალური შედეგი მოჰყვება. **ვფიქრობ, ივანიშვილი დასჯის ყველას, ვინც მისი სახელით სარგებლობს, თაღლითურად იყენებს, ჩირქს სცხებს მას და კეთილდღეობას იწყობს, მაგრამ ეს ძალიან სწრაფად უნდა გააკეთოს და, თუ ასე არ მოხდა, საზოგადოებას დარჩება განცდა, რომ მართლა ივანიშვილი დგას იმ ყველა სიბინძურის უკან, რომლებიც ქვეყანაში ხდება.**

„ქართული ოცნება“ ცხოვრობს კომფორტში, ყველაფერი კი ივანიშვილს ეტენება. ხვალ ხელისუფლება რომ შეიცვალოს, ეს ადამიანების დასხდებიან და იტყვიან: ჩვენ პატიოსანი ხალხი ვიყავით, მაგრამ ივანიშვილი გვაძალებდა ყველაფერსო. ვერ ვიტყვი, რომ ბიძინამ რაიმე არ იცის, მაგრამ ხანდახან არ თვლის საჭიროდ, ილაპარაკოს და თავისი აზრი გამოთქვას.

**— ბიძინა ივანიშვილის დარწუნება ადვილია?**

— ადვილი არ არის, მაგრამ, თუკი ვინმე ამბობს, რომ თავის თავზე იღებს ამა თუ იმ საკითხზე პასუხისმგებლობას, მაშინ ის თანხმდება, შანსს აძლევს, რაც ცუდია. კანაფის თემაც, ოქუაშვილის ამბავიც — ეს ყველაფერი ხვალ ივანიშვილს პრობლემებს შეუქმნის, გაუჭირდება ამდენი ჭუჭყის ჩამორეცხვა. ბიძინამ უნდა იმოქმედოს და თანაც სწრაფად, ცუდად რომ არ დაასრულოს.

**— ნაციონალები თითქოს პოლიტიკური ცეცხლის კერებს აჩენენ. როგორ ფიქრობთ, მშვიდად ჩაივლის საპრეზიდენტო არჩევნები?**

— ნაციონალები ყოველთვის ცდილობენ ცეცხლის კერების გაჩენას, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ „ქართული ოცნების“ მთავარი პრობლემა „ნაციონალური მოძრაობაა“. მათი მთავარი პრობლემა ისევ საკუთარი თავია — ურჩხული, რომელიც შიგნით გამოზარდეს, სისტემა, რომელიც არ შეცვალეს. ეს ურჩხული მზად არის, მშობელი შეჭამოს. „ქართული ოცნება“ პრობლემებს სწორედ იქ იქმნის, სადაც ყველაზე მეტად გაამართლებს მიზანს. მაგალითად, სალომე ზურაბიშვილის ამოქექვა ასეთი პრობლემაა... ასე რომ, პრობლემები შიგნით ეძებონ, „ნაციონალურ მოძრაობას“ თავისი უბედურებაც ეყოფა.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ავტომობილი და ადამიანი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროპა, აზია, აფრიკა და ამერიკა თავიანთი მოქალაქეების სიცოცხლეს უფრთხილდებიან, საქართველოში კი კვარტალში ას კაცზე მეტი გვიკვდება, ანუ დღეში სულ ცოტა ერთი კაცი და ამას ვეგუებით. ვეგუებით იმიტომ, რომ თურმე გადახდის უუნარო მძღოლები გვყავს და უუნარობის გამო მზად ვართ, ადამიანების სიცოცხლით გავრისკოთ... შეიტანოს იმავე მთავრობამ ახალი კანონპროექტი ამ მიმართულებით, ნასვამობაზე დააწესოს ასტრონომიული ჯარიმა, თუ ვერ გადაიხდის, ქონებით აგებინოს პასუხი და ნახეთ მერე, როგორ შემცირდება ნასვამი მძღოლების რაოდენობა.**

# სიკვდილთან თამაში საქართველოს გზებზე

**საქართველოს შსს-ს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემებით ირკვევა, რომ იანვარ-აგვისტოში მძღოლებისთვის ჯარიმების გამოწერის შედეგად ბიუჯეტში 52 მილიონი ლარი შევიდა. ამის მიუხედავად, მხოლოდ გასულ კვირაში 17 ადამიანი დაიღუპა ავარიით, მათ შორის 4 ბავშვი.**

საგანგაშო სიტუაციაა კვარტლების მიხედვით. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ავტოსაგზაო შემთხვევებს 107 ადამიანი ემსხვერპლა. საგზაო მოძრაობის ექსპერტები (ასეთებიც გვყავს) ამბობენ, რომ სახელმწიფო გზებზე არ იცავს უსაფრთხოებას და ავტომაგისტრალები მოსაწყობ-მოსაწესრიგებელია. რა თქმა უნდა, არც უამისობაა, მაგრამ ძირითადი მიზეზი მაინც ის გვგონია, რომ საქართველოში ავტოსაგზაო წესების დარღვევის გამო დაწესებული ჯარიმები ლოიალურია. დიახ, ლოიალური და ამას ფაქტებით დაგიმტკიცებთ. მაგალითად, იმავე შსს-ს მონაცემებით, ათ მძღოლზე, საერთო ჯამში, 800 ათასზე მეტი ჯარიმა გამოიწერა. კონკრეტულად **ერთი მძღოლი 127-ჯერ დააჯარიმეს და აქედან 120-ჯერ სიმთვრალის გამო.** ჯარიმების საფასურმა 323 ათასი ლარი შეადგინა, ანუ ამ ადამიანს 323 ათასი უნდა გადაეხადა, მაგრამ მხოლოდ 870 ლარი აქვს გადახდილი. **როგორ გგონიათ, რას აკეთებს ამ დროს საპატრულო პოლიცია?! — ვერაფერს და ეს იმის მიუხედავად, რომ ამ კონკრეტულ მძღოლს საპატრულო ეკიპაჟმა ჯარიმა სიმთვრალეზე 11-ჯერ(!) გამოუწერა.**

„ჩვენ აღსრულებაზე გადავეცით აღნიშნული ჯარიმები და ქვითრები, მაგრამ ჯერჯერობით შედეგი არ გვაქვს. მძღოლი ჯარიმებს არ იხდის, კანონით კი მისი დაკავების უფლება არ გვაქვს“, — ასეთია სამართალდამცავთა ოფიციალური პოზიცია.

**ადამიანი 120-ჯერ რომ დაჯდება საჭესთან ნასვამი და ერთი და იგივე ეკიპაჟი 11-ჯერ დააჯარიმებს, ამ ადამიანს რომ ვერ დააკავებ, გამოდის, რომ ქუჩაში პოტენციურ მკვლელს უშვებ და ვერაფერს უხერხებ. მთვრალ მძღოლებს შეწირული არაერთი სიცოცხლე გვახსოვს და, სამწუხაროდ, კიდევ ბევრს შევიტყობთ.**

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ავარიებს ძალიან ხშირად ახდენენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები — ირანელი თუ თურქი მძღოლები, ე.წ. „დალნაბოიშიკები“, რომლებიც უზარმაზარ ტრაილერებს დააქროლებენ, არაერთხელ ყოფილან ავარიის ფატალური შედეგის მიზეზი. თურქეთშიც და ირანშიც ავარიის შედეგად ადამიანის დაღუპვა უმკაცრესად ისჯება — სოლიდური ჯარიმის გარდა, თავისუფლების აღკვეთა ირანში 8 წლიდან იწყება, თურქეთში — 6 წლიდან, მაგრამ...

**„100-დან, სულ ცოტა, 90 შემთხვევაში, ქართული მხარე ავარიაში დამნაშავე მძღოლებს იმ ქვეყანას გადასცემს, რომლის მოქალაქეც არის, და იქ მათ, უბრალოდ, უშვებენ, რადგან მათ ტერიტორიაზე დანაშაული არ ჩაუდენიათ. შესაბამისად, არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, რომ ავარიაში მონაწილე თურქი თუ ირანელი მძღოლი საქართველოში ორი თვის შემდეგ ისევ ყოფილა ავტოავარიის მონაწილე“,** — გვითხრა შსს-ს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა.

რა გამოდის? — **თურქ და ირანელ მძღოლებს ქართველების ქლეტა „გაპრავებული“ აქვთ და ამისთვის თავზე ხელს ვუსვამთ?! რატომ არ ასამართლებენ მათ საქართველოში, რატომ არ უსჯიან შესაბამის სასჯელს, რატომ მიუტევებენ დანაშაულს?!**

სხვათა შორის, როცა სასჯელის გამკაცრებაზეა საუბარი, ბევრი ამბობს, რომ მოსახლეობა გადახდისუუნაროა და გაზრდილ ჯარიმებს ვერ გადაიხდის, ანუ ვზოგავთ სიცოცხლეზე, ჩვენს სიცოცხლეზე, ჩვენი შვილების სიცოცხლეზე და ეს მაშინ, როცა ევროპაში, იმ ევროპაში, რომელიც ეტალონად გვაქვს აღებული, საინტერესო ჯარიმებია. ჩვენც რამდენიმე მათგანს გაგაცნობთ:

* **ფინეთში** სიჩქარის გადაჭარბებისთვის ყველაზე მაღალი ჯარიმაა 200 ათასი დოლარი. ჯარიმის მაქსიმალური თანხა შეზღუდული არ არის, იგი განისაზღვრება დამრღვევის წლიური შემოსავლის მიხედვით. გასულ წელს, ერთ-ერთი დამრღვევის წლიურმა შემოსავალმა 11 მილიონი დოლარი შეადგინა, რის გამოც ჯარიმის თანხა სწორედ 200 ათასი აღმოჩნდა. რაც შეეხება მინიმალურ თანხას, ჯარიმა 1 500 ევროს შეადგენს. წითელზე გავლისთვის 90 ევროა, სიმთვრალე კი 4 500 ევროდ ისჯება.

* **იტალიაში** ყველაზე მკაცრი სასჯელი არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ მძღოლებს ეკისრებათ. ჯარიმის ოდენობა 6 ათას ევროს აღწევს და პარალელურად, სამართალდამრღვევს მართვის მოწმობა 2 წლით ჩამოერთმევა.

* **ინგლისში** წითელზე გავლა 1800 ფუნტი ღირს, სიმთვრალე — 3 000 ფუნტი და მართვის მოწმობის ჩამორთმევა სამი წლით.

* ძალიან საინტერესო პრაქტიკაა **პორტუგალიაში.** პოლიციელებს თან აქვთ მობილური ბანკომატები და დამრღვევებს ჯარიმას ადგილზევე ახდევინებენ. აჯარიმებენ ნებისმიერი დარღვევისთვის — მობილურზე საუბრით დაწყებული, სიჩქარის რეჟიმის დარღვევით დამთავრებული.



**ადამიანი 120-ჯერ რომ დაჯდება საჭესთან ნასვამი და ერთი და იგივე ეკიპაჟი 11-ჯერ დააჯარიმებს, ამ ადამიანს რომ ვერ დააკავებ, გამოდის, რომ ქუჩაში პოტენციურ მკვლელს უშვებ და ვერაფერს უხერხებ. მთვრალ მძღოლებს შეწირული არაერთი სიცოცხლე გვახსოვს და, სამწუხაროდ, კიდევ ბევრს შევიტყობთ**

ღვედი უკანა სავარძელში მსხდომებმაც უნდა გამოიყენონ. თუკი მძღოლი ჯარიმას ადგილზევე არ გადაიხდის, მას უფლება არ აქვს, გზა განაგრძოს. სიჩქარის გადაჭარბებისთვის დამრღვევი 1800 ევროს იხდის, სიმთვრალე კი 2500 ევროდ ფასობს. ავტომობილის მართვისას მობილურ ტელეფონზე საუბარი პორტუგალიაში ყველაზე ძვირად ჯარიმდება — 500 ევროთი.

* **გერმანიაში** სიჩქარის გადაჭარბებით მოძრაობისთვის აშკარად რბილი სასჯელია. სიჩქარის ყველაზე უხეში დარღვევა 600 ევროთი ისჯება, სიმთვრალე კი 3000 ევრო ღირს.

* **იაპონიაში** საგზაო წესების ყველაზე სერიოზულ დარღვევად სიმთვრალე ითვლება, რომლისთვისაც მძღოლი 8 700 დოლარით ისჯება და ჯარიმის პარალელურად, კანონდამრღვევს 6-თვიანი პატიმრობა ემუქრება. იაპონიაში ღვედის გამოუყენებლობა მსოფლიოში ყველაზე ძვირად, 450 დოლარად, ჯარიმდება.

* **აშშ-ის** უმეტეს შტატში სიჩქარის გადაჭარბება 1000 დოლარით ისჯება. ზოგიერთ შტატში კი მსგავსი დარღვევისთვის მეტად მკაცრი ჯარიმებია დაწესებული. მაგალითად, ვირჯინიაში საკმარისია 15 კმ/სთ-ით გადააჭარბოთ სიჩქარეს, რომ 2500 დოლარის ოდენობის ჯარიმა მიიღოთ და პატიმრობაც გელით.

* **მალაიზიაში** ნასვამ მძღოლს აპატიმრებენ და, თუ დაქორწინებულია, მეორე ნახევარსაც ციხეში სვამენ.

* **სამხრეთი აფრიკა:** 10-წლიანი პატიმრობა და ჯარიმა 10 000 დოლარი.

* **ნორვეგია:** სამი კვირა ციხეში მძიმე სამუშაოები, ერთი წლით მართვის მოწმობის ჩამორთმევა. თუ ნასვამი მძღოლი მეორედ აღმოჩნდება მსგავს მდგომარეობაში, მართვის მოწმობას ცხოვრების ბოლომდე კარგავს.

* **რუსეთი:** მართვის მოწმობა მძღოლს სიცოცხლის ბოლომდე ჩამოერთმევა.

* **ტაივანი:** თუ მთვრალი მძღოლი გამოიწვევს ადამიანის სერიოზულ დაზიანებას ან სიკვდილს, მართვის მოწმობა სამუდამოდ ჩამოერთმევა და შესაძლოა, საქმე სიკვდილით დასჯამდეც კი მივიდეს.

რა გამოდის? — **ევროპა, აზია, აფრიკა და ამერიკა თავიანთი მოქალაქეების სიცოცხლეს უფრთხილდებიან, საქართველოში კი კვარტალში ას კაცზე მეტი გვიკვდება, ანუ დღეში სულ ცოტა ერთი კაცი და ამას ვეგუებით. ვეგუებით იმიტომ, რომ თურმე გადახდის უუნარო მძღოლები გვყავს და უუნარობის გამო მზად ვართ, ადამიანების სიცოცხლით გავრისკოთ. როგორ შეიძლება, კაცი 120-ჯერ ნასვამი გამოავლინო, 120 ჯარიმა დაუწერო და ისევ თავისუფალი დადიოდეს?!** სააღსრულებო თუ ვერაფერს აკეთებს, ხომ შეიტანა მთავრობამ კანაფის კულტივაციაზე კანონპროექტი? შეიტანოს იმავე მავრობამ ახალი კანონპროექტი ამ მიმართულებით, ნასვამობაზე დააწესოს ასტრონომიული ჯარიმა, თუ ვერ გადაიხდის, ქონებით აგებინოს პასუხი და ნახეთ მერე, როგორ შემცირდება ნასვამი მძღოლების რაოდენობა. დააწესეთ სიჩქარის გადაჭარბებაზე ორ და სამათასლარიანი ჯარიმა და ნახეთ, როგორ მშვიდად ივლიან მძღოლები.

სხვათა შორის, კანონის გამკაცრებაზე საუბარი რამდენჯერმე იყო, მაგრამ იმის გამო, რომ თურმე დიდი ჯარიმები მძღოლების უკმაყოფილებას გამოიწვევდა, კანონპროექტი დაიბლოკა. ვერ გეტყვით, ვინ თქვა, რომ მძღოლები წინააღმდეგი იქნებოდნენ მკაცრი რეგულაციების, რადგან არაერთხელ მოგვისმენია, როგორ ამბობენ სწორედ მძღოლები, რომ რეგულაციები უნდა გამკაცრდეს და ასეთ შემთხვევაში საცობებიც მოწესრიგდება ნაწილობრივ მაინც და მძღოლს ზუსტად ეცოდინება, რომ წინ მიმავალი ავტომობილი ისეთ რამეს არ იზამს, რაც ლოგიკას არ ექვემდებარება.

„ვერ გეტყვით, მოგცემენ თუ არა ამ სტატისტიკას, მაგრამ ათასობით შემთხვევაა, როცა დაჯარიმებული და ექვსი თვით მართვის მოწმობაჩამორთმეული მძღოლი მიდის საპატრულოში და მართვის მოწმობას დაახლოებით ორ კვირაში იბრუნებს. ვიღაცას ნათესავი ჰყავს, ვიღაცას — ძმაკაცი და ასე მარტივად ხდება ყველაფერი. არადა, თუ ექვს თვეს ვერ ივლის მანქანით, მიხვდება, რომ არ უნდა დალიოს, ასე კი, ორ კვირაში 700 ლარს იხდის ოფიციალურად და მართვის მოწმობა ისევ ჯიბეში აქვს. ასე არ ხდება სხვაგან და, თუ ხდება, არა იმ ოდენობით, როგორც ჩვენთან. კორუფციის ჭაობშიაო რუსეთი, რომ იძახიან, აბა მიდი და, სცადე, ჩამორთმეული მართვის მოწმობა დაიბრუნე, რა ამბავი ატყდება. ადამიანის სიცოცხლე ყველგან წმინდა და ხელშეუხებელია, **მხოლოდ ჩვენ ვეთამაშებით გზებზე სიკვდილს და ოჯახებიც კი წყდება ავტოავარიების შედეგად“,** — გვითხრა საპატრულო პოლიციის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა.

ფაქტია: საქართველოში გზებზე სიკვდილი დადის და ამას ჯერჯერობით ვერაფერს ვუხერხებთ.

**„ქართული მხარე ავარიაში დამნაშავე მძღოლებს იმ ქვეყანას გადასცემს, რომლის მოქალაქეც არის და იქ მათ, უბრალოდ, უშვებენ, რადგან მათ ტერიტორიაზე დანაშაული არ ჩაუდენიათ. შესაბამისად, არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, რომ ავარიაში მონაწილე თურქი თუ ირანელი მძღოლი საქართველოში ორი თვის შემდეგ ისევ ყოფილა ავტოავარიის მონაწილე... თურქ და ირანელ მძღოლებს ქართველების ქლეტა „გაპრავებული“ აქვთ და ამისთვის თავზე ხელს ვუსვამთ?! რატომ არ ასამართლებენ მათ საქართველოში, რატომ არ უსჯიან შესაბამის სასჯელს, რატომ მიუტევებენ დანაშაულს?**

**ბესო ბარბაქაძე**

**კარგი იქნება, თუ კანონმდებლები იმაზე კი არ დაიწყებენ ზრუნვას, როგორ იხეირონ საქართველოში აზარტული თამაშების საქმოსნებმა, არამედ იმაზე, როგორ მოხდეს მათი შეზღუდვა, ქალაქგარეთ გატანა ან თუნდაც აკრძალვა ზუსტად ისე, როგორც ეს ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანშია.**

საზიფათო თამაშები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დედაქალაქის ცენტრში კვლავ ათასფერად ბრჭყვიალებს კაზინოების აბრები

**ქართველი ახალგაზრდების (და არამხოლოდ) ერთ-ერთი დიდი პრობლემა აზარტული თამაშებია. სამწუხაროდ, აზარტული თამაშების გამო არაერთ ადამიანს დაუსრულებია სიცოცხლე თვითმკვლელობით, არაერთი დარჩენილა უბინაოდ, ათასობით ოჯახი დანგრეულა და საშველიც თითქოს არ ჩანს.**

## ყველა დიდ რაიონულ ცენტრში მთავარი ბიზნესი აზარტული თამაშებია



წინა ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა აზარტული თამაშების პოპულარიზაციას, რადგან ამ სფეროდან ბიუჯეტშიც დიდძალი თანხა შედიოდა და შავ სალაროშიც. ყველაზე დიდი კაზინოს, „აჭარის“, მეწილე **დავით კეზერაშვილი** გახდა, საქართველოს თავდაცვის იმჟამინდელი მინისტრი და მას დღესაც ისევ კეზერაშვილი აკონტროლებს. მართალია, ოფიციალურად საკონტროლო პაკეტი რუსეთში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენ **დავით იაკობაშვილს** ეკუთვნის, მაგრამ ის არ უარყოფს, რომ კეზერაშვილთან საქმიანი ურთიერთობა აქვს.

მოქმედი ხელისუფლების ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება იყო ის, რომ სათამაშო ბიზნესი ქალაქგარეთ გადაინაცვლებდა და, გარდა იმისა, რომ რეგიონები განვითარდებოდა, დედაქალაქში ყველასთვის ხელმისაწვდომი ფიზიკურად აღარ იქნებოდა. დაპირება დაპირებად დარჩა, **დედაქალაქის ცენტრში კვლავ ათასფერად ბრჭყვიალებს კაზინოების აბრები და არამხოლოდ დედაქალაქში — ყველა დიდ რაიონულ ცენტრში მთავარ ბიზნესად სწორედ აზარტული თამაშებია ქცეული. იოლად გამდიდრების მსურველთა რიგი კი უზარმაზარია, მაგრამ, რამდენი ათეული წელია, ეს ბიზნესი საქართველოშია და გამდიდრებული არავინ გვინახავს, დაღუპული — ათასობით.**

„სათამაშო ბიზნესი იმდენად მომგებიანია, რომ ვერც ერთი ხელისუფლება ვერ გაბედავს, აკრძალოს. ბიუჯეტში შეტანილი თითქმის მილიარდის გარდა, მილიონები შავ სალაროში ირიცხება და ამიტომ ხმამაღლა ბევრს იყვირებენ პოლიტიკოსები, საქმით კი ისევ სათამაშო ბიზნესის სასარგებლო გადაწყვეტილებებს მიიღებენ“, — გვითხრა კაზინოს ერთ-ერთმა მენეჯერმა, რომელიც, აგერ უკვე მე-17 წელია, ამ ბიზნესშია.

მისი სიტყვები მაშინ გაგვახსენდა, როცა ქართულმა საკანონმდებლო ორგანომ ახალი ინიციატივა წამოაყენა. **კანონპროექტის თანახმად, ტელევიზიის, რადიოს, ინტერნეტისა და კომუნიკაციის სხვა საშუალებებით აზარტული თამაშების რეკლამა აიკრძალება.** გამონაკლისი მხოლოდ სპონსორობის შემთხვევაზე ვრცელდება, თუმცა ამ დროს მხოლოდ დასაშვები იქნება თამაშის ორგანიზატორი მეწარმის დასახელება და ლოგოტიპის გავრცელება. აზარტული და მომგებიანი თამაშის რეკლამის აკრძალვა არ გავრცელდება წამახალისებელი გათამაშების რეკლამაზე, გარდა აზარტული ან მომგებიანი თამაშის წამახალისებელი რეკლამისა. ამავე დოკუმენტით, აზარტული თამაშების რეკლამა აიკრძალება რელიგიურ, საბავშვო, სასწავლო და სამედიცინო დაწესებულებებში, კულტურისა და სპორტის ორგანიზაციებში (გარდა სპორტულ ეკიპირებაზე გამოსახვისა), ასევე, მათგან 200 მეტრის რადიუსში. აგრეთვე, აიკრძალება აზარტული თამაშებისთვის განკუთვნილ შენობა-ნაგებობაზე დაწესებულების შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის განთავსება, რომელიც აღემატება 10 კვ.მ ფართობს. ერთი შეხედვით ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან იმავე კანონპროექტში გარკვევით წერია, რომ კომერციულმა ბანკებმა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა და სხვა პროვაიდერებმა უცხოური სათამაშო ბიზნესის კომპანიებთან გადასახადების განხორციელების მიზნით ურთიერთობის დამყარება უნდა აკრძალონ, ანუ ამ კომპანიებმა მათი საგადასახადო ბარათით უცხოური სათამაშო კომპანიის სასარგებლოდ გადახდის განხორციელება არ უნდა დაუშვან. რეგულაცია ეხება ყველა საგადასახადო პროვაიდერს, მათ შორის კომერციულ ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს.

შესაბამისად, მივიღეთ შემდეგი მოცემულობა: **საქართველოს ვერც ერთი მოქალაქე უცხოურ ინტერნეტთამაშებს ვერ ითამაშებს, რადგან ქართული კომერციული ორგანიზაციები მათ ბარათებს დაბლოკავენ, ანუ, ვისაც უცხოურ კაზინოებში ინტერნეტით თამაშის სურვილი ექნება, კეთილი უნდა ინებოს, ანგარიში სხვა ქვეყანაში გახსნას, ფული იქ დარიცხოს და ისე ითამაშოს, რაც პრაქტიკულად გამორიცხულია და ამას მხოლოდ ერთი პროცენტი თუ მოახერხებს. რას ნიშნავს ეს?! კანონპროექტის „სიკეთეს“ ისევ კაზინოს გამოცდილი მენეჯერი გვიხსნის.**

„არაერთი ქართველი არ თამაშობს ინტერნეტით უცხოურ კაზინოებში და ამას თავის მიზეზი აქვს. საქმე ისაა, რომ უცხოური კაზინოები კანონს იცავენ და მოთამაშის მოგების მარჟა 30%-ია. ასე გვიწერია საქართველოში არსებულ კანონშიც, მაგრამ აქ მოგების მარჟა იდეალურ შემთხვევაში 10%-ზეა დაყვანილი, ანუ, თუ თამაშობ ას ლარს, მოგების ალბათობა ათი ლარია, უცხოეთში კი იგივე ასი დოლარის შემთხვევაში, მოგების ალბათობა 70 დოლარია. ეს აკრძალვა აქაურ კაზინოებსა და სლოტკლუბებს ძალიან მომგებიან სიტუაციაში ჩააყენებს, იმიტომ, რომ ყოველწლიურად უცხოურ კაზინოებში საქართველოდან ასეული მილიონობით თანხა ირიცხება და ეს ქართულ კომპანიებზე გადანაწილდება. **ვისაც სჯერა, რომ ეს ქართველი მოსახლეობის სასიკეთოდ კეთდება, კარგად დაფიქრდეს და მიხვდება, რომ რეალურად ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ გვაძლევს ხელს. არ გათამაშებენ უცხოურ აზარტულ თამაშებს და სად მიდიხართ?! რა თქმა უნდა, ჩვენთან!“ — ასე მარტივად აგვიხსნა კაზინოს მენეჯერმა კანონპროექტის „სიკეთე“.**

ახლა რაც შეეხება კონკრეტული კაზინოს მაგალითზე მიღებულ ციფრებს. ჩვენ კაზინო **„აჭარის“** ერთ-ერთ თანამშრომელს ვესაუბრეთ, რომელიც ფინანსურ საკითხებში ბოლომდე ერკვევა და საოცარი ციფრები მივიღეთ.

„დავიწყოთ გადასახადებით: **კაზინოს დღიური გასავალი 254 ათასი ლარია.** ამაში შედის თანამშრომლების ხელფასები, კომუნიკაციები, კვება, გადასახადები. მოკლედ, ყველაფერი ერთად აღებული დღეში შეადგენს 254 ათას ლარს. ეს იმას ნიშნავს, რომ კაზინო მოგებაზე მას შემდეგ გავა, რაც დღეში იქ შესული სტუმრები 254 ათას ლარს წააგებენ. ვილაცისთვის ეს წარმოუდგენელი ციფრია, მაგრამ რეალურად **ეს არის იმ თანხის ათი პროცენტი, რომელსაც, სულ ცოტა, დღეში აგებენ, ანუ კაზინოში დღეში ქეშად ორ მილიონზე მეტი რჩება. იმის გამო, რომ მეზობელ აზერბაიჯანში აკრძალულია კაზინოები, აზერბაიჯანელებიც ჩვენთან ჩამოდიან. არ ვიცი, მოგცემენ თუ არა თქვენ ამ ინფორმაციას, მაგრამ „ჰოლიდეი ინ“-ში, ანუ სასტუმროში, რომელიც მიბმულია ჩვენს კაზინოზე, ათობით ნომერია, რომლებიც სწორედ ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანელებს აქვთ დაჯავშნილი და ისინი, შეიძლება ითქვას, მათ მფლობელობაშია. დღეში 200-300 დოლარის გადახდა ნომრის დასაჯავშნად არაფრად უღირთ, რადგან თითო ჩამოსვლაზე, სულ ცოტა, ნახევარი მილიონი ჩამოაქვთ სათამაშოდ და ამ თანხას, ძირითადად, ჩვენთან ტოვებენ.** ვერავინ გააკონტროლებს, რა თანხას იღებს კაზინო, იმიტომ, რომ თამაში მიდის ქეშზე. თუ აპარატებზე მრიცხველი წერს ნათამაშებ თანხას, „რულეტკაზე“ ე.წ. ფიშკებით იხდიან და შესაბამისად, იქ წაგებული თანხა, პრაქტიკულად, მთლიანად შავი სალაროა. არსებობს ე.წ. აპარატის შენახვის სერვისი. რას ნიშნავს ეს? მოდის ადამიანი, თამაშობს აპარატზე და, ვთქვათ, წააგო 4-5 ათასი ლარი. ის სთხოვს კაზინოს, რომ აპარატზე სხვა არ დასვან, რადგან ფულს მოიტანს და კიდევ ითამაშებს. წესით, აპარატმა მოგება უნდა გასცეს, მაგრამ, როცა პირი მიდის ფულის მოსატანად, ათიდან ცხრა შემთხვევაში, კაზინო აპარატს ანულებს, ანუ უკან დაბრუნებული ადამიანი ისევ განულებულ აპარატთან ჯდება და მეორედ აგებს იმავე თანხას. შემდეგ ვილაც იგებს და ეს ამბობს, რომ ცოტა დააკლდა. ყველა აპარატმა უნდა ჩამოაგდოს ჯეკპოტი და ამის აღმნიშვნელი ციფრიც წერია აპარატზე, მაგრამ ესეც ჩასწორებულია და ჯეკპოტს გვიან აგდებს, ანუ, თუ აპარატმა უნდა გასცეს 20 ათასი, ამ თანხას გასცემს მაშინ, როცა 200 ათასს „შეჭამს“. ჩემი რჩევაა, თუ ვინმეს კაზინოში მოგება სურს, თავის კაზინო უნდა ჰქონდეს“, — გვითხრა კაზინოს თანამშრომელმა. სწორედ ამის გამო, **თამაშდამოკიდებული პირები იძულებულნი არიან, ისესხონ ყველასგან, ვისთანაც მიესვლებათ, აგირავებენ ბინებს, სახლიდან გააქვთ ძვირფასეულობა და მერე, როცა ყველაფერს კაზინოში ტოვებენ, ან დანაშაულს სჩადიან, ან რჩება ერთადერთი გზა — სუიციდი. ყოფილა შემთხვევა, როცა კაზინოში შესულ ადამიანს მოუგია 20 და 30 ათასი, თუმცა იმ იმედით, რომ იღბალი მის მხარეს არის, ის თანხა იქვე წაუგია და გაწბილებული წამოსულა. სტატისტიკური მონაცემებით, ქართულ კაზინოში მოგებული ადამიანი მოგებული თანხის 100%-ს ათიდან ცხრა შემთხვევაში იქვე ტოვებს და შინ ცარიელი მიდის.**

სწორედ ამიტომ, **კარგი იქნება, თუ კანონმდებლები იმაზე კი არ დაიწყებენ ზრუნვას, როგორ იხეირონ საქართველოში აზარტული თამაშების საქმოსნებმა, არამედ იმაზე, როგორ მოხდეს მათი შეზღუდვა, ქალაქგარეთ გატანა ან თუნდაც აკრძალვა ზუსტად ისე, როგორც ეს ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანშია.** რაღაც არ გვსმენია, ამ აკრძალვის გამო აზერბაიჯანში ვინმეს უკმაყოფილება გამოეთქვას ან აქციები გაემართოს, უფრო პირიქით — მოსახლეობის 99% ამ აკრძალვით კმაყოფილია. ესეც არ იყოს, **ყველა ქვეყანაში, სადაც აზარტული თამაშები აკრძალული არ არის, არსებობს სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელშიც თამაშდამოკიდებულ ადამიანებს მკურნალობენ, რადგან თამაშდამოკიდებულება ნარკოდამოკიდებულებას უტოლდება და დაავადებად ითვლება. იქნებ სჯობდეს, ასეთი ცენტრის შექმნაზე ვიფიქროთ და იმ თაობას ვუშველოთ, რომელსაც საქართველოს მომავალი ჰქვია.**

**თამაშდამოკიდებული პირები იძულებულნი არიან, ისესხონ ყველასგან, ვისთანაც მიესვლებათ; აგირავებენ ბინებს, სახლიდან გააქვთ ძვირფასეულობა და მერე, როცა ყველაფერს კაზინოში ტოვებენ, ან დანაშაულს სჩადიან, ან რჩება ერთადერთი გზა — სუიციდი. ყოფილა შემთხვევა, როცა კაზინოში შესულ ადამიანს მოუგია 20 და 30 ათასი, მაგრამ იმ იმედით, რომ იღბალი მის მხარეს არის, ის თანხა იქვე წაუგია და გაწბილებული წამოსულა. სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში კაზინოში მოგებული ადამიანი მოგებული თანხის 100%-ს ათიდან ცხრა შემთხვევაში იქვე ტოვებს და შინ ცარიელი ბრუნდება**



**ბესო ბარბაქაძე**

## ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„არ გვყავს მოკავშირე, რაც სამხედრო დახმარების ხელშეკრულებაში გამოიხატება. ამერიკა ასეთ ხელშეკრულებას არ გვიდებს; პარტნიორი ჰქვია, მაგრამ ეს მას არაფრით ავალდებულებს. მაგალითად, რა ურთიერთობაც აქვს ამერიკას ისრაელთან, ას ხელშეკრულებაზე ძლიერია. ამერიკას საქართველოსთან მხოლოდ კონგრესის რეზოლუციები აქვს, რომელიც მთავრობას არ ავალებს კონკრეტული სამხედრო დახმარების აღმოჩენას. მოკლედ, ე.წ. მხარდამჭერები და პარტნიორები გვყავს, მაგრამ მოკავშირეები — არა. ეს კი აუცილებელია ნებისმიერი ქვეყნისთვის, მით უმეტეს, ჩვენისთანა პატარა ერისთვის“.**



### სოსო ცინცაძე:

# საქართველო სტრატეგიული მოკავშირის გარეშე რჩება. ყველა რეზოლუცია, ყველა ხმაურიანი განცხადება მხოლოდ ლირიკაა

**ამა წლის 19-დან 27 სექტემბრამდე ნიუ-იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის 73-ე სესია მიმდინარეობდა. სესიის მონაწილეებმა 175 საკითხი განიხილეს. საქართველოს პრემიერმინისტრი მამუკა ბახტაძე გაეროში სიტყვით 27 სექტემბერს გამოვიდა.**

„დღეს ამ ტრიბუნიდან მინდა მივმართო ჩვენს აფხაზ და ოს თანამოქალაქეებს — საქართველოს თითოეული წარმატება თქვენი წარმატებაა. საქართველოს ხელისუფლებას აქვს ვალდებულება, დაიცვას და უზრუნველყოს თავისი ყველა მოქალაქის უფლება და ჩვენ ამას შეუქცევადად და მიზანმიმართულად ვახორციელებთ. თქვენ უნდა ისარგებლოთ ყველა იმ სიკეთით, რომლებიც საქართველომ შექმნა; იქნება ეს ადამიანის უფლებები, განათლება, ჯანდაცვა, ევროპასთან უვიზო მიმოსვლა თუ სხვა.

მინდა მივმართო განსაკუთრებით ახალგაზრდებს: ჩვენ ერთად, ერთობლივი მონდომებითა და შესაძლებლობებით მივაღწევთ წარმატებასა და კეთილდღეობას. მინდა იცოდეთ, მხოლოდ თქვენთან ერთად წარმოგვიდგენია ჩვენი მომავალი.

აქვე კიდევ ერთხელ მოვუწოდებ რუსეთს, — ნუ უშლის ხელს და ნუ აფერხებს ჩვენს სამშვიდობო ინიციატივებს, მისცეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოქალაქეებს ღირსეული ცხოვრების საშუალება. მივმართავ რუსეთს: გაიყვანეთ ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან“, – საქართველოს პრემიერმინისტრმა მამუკა ბახტაძემ გაეროს ტრიბუნიდან ეს განცხადება ქართულ ენაზე გააკეთა.

**გაეროს გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს პრემიერის, მამუკა ბახტაძის, გამოსვლის შეფასება ვთხოვეთ პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს:**

**— მთავარი პროცესი არ არის, მთავარი შედეგია. რა ილაპარაკა ბახტაძემ, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, თანაც ეს ხომ საერთაშორისო დიპლომატიური კლუბია მხოლოდ... საინტერესო არავისთვის არის, რას იტყვის უკრაინის პრეზიდენტი და საქართველოს პრემიერი, შედეგია მთავარი და ამ შედეგს დაველოდოთ.**

ამბობენ, მკაცრი იყოო ბახტაძე, მაგრამ მე ამაზე მკაცრი გამოსვლაც მინახავს. მახსოვს **ედუარდ შევარდნაძის** გამოსვლა, მისი მუქარა, როდესაც თქვა: თუ გაეროში რეფორმირება არ მოხდება, თუ რუსეთი ისევ შეძლებს, გამუდმებით ისარგებლოს ვეტოთი, მაშინ გაეროში ჩემი ფეხი აღარ იქნებაო. და მართლაც, მას შემდეგ ის იქ აღარ ჩასულა. შევარდნაძის ნაცვლად, **ალექსანდრე ჩიკვაიძე** დადიოდა, ამიტომ დაველოდოთ შედეგს — **თუ ჩვენი პრემიერი კარგად გამოვიდა, ამის შედეგს, იმედია, მალე დავინახავთ...**

მთავარი ჩემთვის, როგორც პოლიტოლოგისთვის, **დონალდ ტრამპის** გამოსვლა იყო, შემდეგ — **ემანუელ მაკრონის** გამოსვლა.

ტრამპმა კიდევ ერთხელ დაადასტურა დადგენილი, მთავარი მსოფლიო წესების უარყოფა და ახალი წესების შემოღება. მან ხაზი გაუსვა „იზოლაციონიზმს“. ამერიკის პრეზიდენტმა განაცხადა: მე პატივს ვცემ თქვენს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს, ანუ თქვა: „იქ ილოცეთ, სადაც გინდათ“, ოღონდ პატივი ეცით ჩემს სუვერენიტეტსაცო, რაც გასული საუკუნის 30-იან წლებში დაბრუნებას ნიშნავს.

ტრამპის გამოსვლამდე გაეროს გენერალურმა მდივანმა **ანტონიუ გუტერეშმა** ისაუბრა, რომლის გამოსვლასაც არც ერთმა ქართულმა მედიამ ყურადღება არ მიაქცია.

**«ამერიკის ელჩის დანიშვნის ასე დაგვიანება ნიშნავს იმას, რომ ამერიკა ჩვენს საქმეებში აღარ ჩაერევა, ის ჩვენ აღარ დაგვეხმარება. ეს არის ტრამპის «იზოლაციონიზმი». ოცდამეერთე საუკუნეა და არავინ არავის ეხმარება»**

გუტერეშმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ტრამპი, ისე, რომ მისი გვარი არ უხსენებია. მან თქვა, რომ სურთ, მსოფლიო დააბრუნონ გასული საუკუნის 30-იან წლებში, რაც შემდეგ ტრამპის გამოსვლით დადასტურდა.

**30-იან წლებში იყო „იზოლაციონიზმი“, როდესაც იაპონიამ მანჯურია დაიპყრო, იტალიამ — ეთიოპია, როდესაც ჰიტლერმა ესპანეთში ჯარები შეიყვანა და, საერთოდ, ფაშიზმი დაიწყო. მაშინ ამერიკა, ასე ვთქვათ, პილატესავით ხელებს იბანდა.** ამერიკის კონგრესმა ზედიზედ ოთხი კანონი მიიღო იზოლაციის შესახებ, რომლებშიც არათუ მსხვერპლის დახმარებაზე იყო საუბარი, არამედ იარაღის მიყიდვის უფლებაც აუკრძალა მთავრობებს. ესპანეთის მთავრობას, რომელიც მარტო ებრძოდა ფაშიზმს, იარაღის ყიდვის უფლება არ ჰქონდა.

ასე რომ, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, პრემიერ ბახტაძის მოწოდება, რუსეთმა ჯარები გაიყვანოსო, უადგილო იყო, რადგან მხარდაჭერა არ იქნება.

**— გამოდის, რუსეთმა რაც უნდა ჩაიდინოს, ამერიკა მის შეჩერებას არ აპირებს...**

— რასაკვირველია, რადგან ამერიკის პრეზიდენტი იტყვის, რომ ეს რუსეთის სუვერენული უფლებაა. **ტრამპი ზედიზედ ტოვებს საერთაშორისო ორგანიზაციებს. ახლა ჰააგის სასამართლოდან გადის, პრაქტიკულად, უკვე გავიდა. ვეკითხები ყველას: რას წარმოადგენს ჰააგის სასამართლო ამერიკის გარეშე?**

ჰააგის სასამართლო ახლა განიხილავს ამერიკელი ჯარისკაცების დანაშაულებს ავლანეთში, სავარაუდოდ, მკაცრ განაჩენს გამოიტანს, ამერიკა ამას ფეხებზე დაიკიდებს. **ვთქვათ, ჰააგის სასამართლომ საქართველოს სასარგებლო განაჩენი გამოიტანა 2008 წლის ომში, მერე რა? პუტინიც ზუსტად ისე მოიქცევა, როგორც ტრამპი.**

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის პრეზიდენტი **მაკრონი** უამრავი ინიციატივით გამოვიდა, ევროპა, ჩინეთი, ირანი და რუსეთი უკვე გაერთიანდნენ ამერიკის წინააღმდეგ ირანის სანქციების საკითხში. საინტერესოა, ჩვენი ხელისუფლებისთვის ეს ფაქტი არაფერს არ ნიშნავს?

ტრამპიც მარტო არ არის, ბრაზილიაშიც იგივე ვითარებაა. ახლა ბრაზილიაში გაიმარჯვებს ზუსტად ისეთი ადამიანი, როგორიც ამერიკის პრეზიდენტია, ნაციონალი და ემხრობა ტრამპის პრინციპებს — ჩაკეტვა, არ გვეხება არაფერი.

**«პრემიერ ბახტაძის მოწოდება, რუსეთმა ჯარები გაიყვანოსო, უადგილო იყო, რადგან მხარდაჭერა არ იქნება»**

ასე რომ, **მალე დადგება დრო, როდესაც გაეროში გამოვლენ და იტყვიან: ჩვენი საქმე არ არის, რუსეთი საქართველოში საზღვარს გადაწევს თუ არა, უკრაინას დონბასს წაართმევს თუ არაო...**

**— რატომ არ უნდა ჩვენს ხელისუფლებას, სიმართლეს თვალებში ჩახედოს?**

— იმიტომ, რომ დღევანდელი დღით ცხოვრობენ. დღევანდელ დღეს გადააგორებენ და, ხვალ ვინც მოვა, თავი იმან იტეხოსო.

მთავრობისგან სალად აზროვნებას არც ველი. რა ქნან? თავზე ნაცარი წაიყარონ? ზალკალიანი იქ იდგა და ხელის გულზე მაზოლები გაუჩნდა, იმდენჯერ დაუკრა ტაში, რას ელით ამ კაცისგან?!

**— რა უნდა ქნას ასეთ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლებამ?**

— ახლა მათთვის მნიშვნელოვანია, როგორმე ეს დედაკაცი გაიყვანონ პრეზიდენტად, დღეს სხვა საქმე არ აქვთ. ჰო, „დედაკაცის“ ხსენებისთვის ჩივილს ნუ დაიწყებს **სალომე ზურაბიშვილი,** „დედაკაცი“ ცუდი სიტყვა არ არის. ვიცი, ილია არ წაუკითხავს.

**— არ მოგწონთ სალომე ზურაბიშვილი? ის ცუდი დიპლომატი არ არის...**

— რა დიპლომატი? **ქალი, რომელიც არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე საპატრიარქოს იმხედრებს, რა დიპლომატია? ნაპოლეონი ფრანგი გახდა, სალომე ვერ გაქართველდა, ზუსტად ისე, როგორც ახალციხელი სომხები, რომლებმაც ქართული არ ისწავლეს, რადგან არ სჭირდებათ.** ამბობს, რუსის ჯარი საქართველოდან მე გავიყვანეო, სასაცილოა. სალომემ უკვე მოლაპარაკებულ შეთანხმებაში მიიღო მონაწილეობა და მხოლოდ იმ გზებზე ისაუბრა, რომელი გზითაც ჯარი უნდა გასულიყო.

**— დავუბრუნდეთ საგარეო პოლიტიკას... თუკი ტრამპი აღარ აპირებს, დაეხმაროს ე.წ. სტრატეგიულ მეგობრებს, თუკი აღარ გამოსცემენ ჩვენს მხარდასაჭერ რეზოლუციებს, მაშ, რა გვეშველება?**

— ამერიკა ძლიერი ქვეყანაა, მაგრამ რუსეთი ჭკვიანია. ის ხედავს ამერიკის სიძლიერეს, რაც მიუღებელია მისთვის. ეს საშიშს ხდის ვითარებას. ბალანსი დარღვეულია. **საქართველო სტრატეგიული მოკავშირის გარეშე რჩება. ყველა რეზოლუცია, ყველა ხმაურიანი განცხადება მხოლოდ ლირიკაა.**

რეალურად შევხედოთ ჩვენს მდგომარეობას: მართლა **არ გვყავს მოკავშირე, რაც სამხედრო დახმარების ხელშეკრულებაში გამოიხატება. ამერიკა ასეთ ხელშეკრულებას არ გვიდებს, პარტნიორი ჰქვია, მაგრამ ეს მას არაფრით ავალდებულებს. მაგალითად, რა ურთიერთობაც აქვს ამერიკას ისრაელთან, ას ხელშეკრულებაზე ძლიერია. ამერიკას საქართველოსთან მხოლოდ კონგრესის რეზოლუციები აქვს, რომელიც მთავრობას არ ავალებს კონკრეტული სამხედრო დახმარების აღმოჩენას.** მოკლედ, ე.წ. მხარდამჭერები და პარტნიორები გვყავს, მაგრამ მოკავშირეები — არა. ეს კი აუცილებელია ნებისმიერი ქვეყნისთვის, მით უმეტეს, ჩვენისთანა პატარა ერისთვის.

**— არ გვყავს მოკავშირეები, — ამბობთ. მაშ, ვის იმედად გაიძახოდა პრემიერი ბახტაძე გაეროს ტრიბუნიდან: რუსეთი ოკუპანტია, ჯარი სასწრაფოდ გაიყვანოსო...**

— ყოველთვის მოლაპარაკების მომხრე ვარ. აუცილებლად უნდა ჩავიდნენ და მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდნენ. ეს დილეტანტების გადასაწყვეტი საქმე არ არის. ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ქართულად ილაპარაკა, მაგრამ გული მიკვდებოდა — ის რომ ლაპარაკობდა, დარბაზი ცარიელი იყო. სამწუხაროდ, დიდი ლიდერების გამოსვლის შემდეგ დარბაზი იცლება, თანაც იქაური საუბრები მნიშვნელოვანი არ არის, ეს შეხვედრათა კლუბია. ჩვენს პრემიერს, ამერიკის პრეზიდენტთან ან ევროპელ ლიდერებთან რომ ჰქონოდა შეხვედრები, კიდევ შეიძლებოდა, მნიშვნელოვანი ყოფილიყო მისი გამოსვლა, სხვა დატვირთვა ექნებოდა.

არ ვიცი, ჭკვიანი კაცია თუ არა ბახტაძე, მაგრამ დიპლომატიური გამოცდილება ნამდვილად სჭირდება. ქართველი ელჩები არ მუშაობენ, ლობისტები არ ჰყავთ.

**— რვა თვეა, საქართველოში ამერიკას ელჩი არ ჰყავს, ეს უპრეცენდენტო შემთხვევაა. რას ფიქრობთ, რატომ მოხდა ასე?**

— ასეთი რამ მართლაც არსად არასოდეს მომხდარა. რუსეთში იყო ერთი შემთხვევა, ერთ თვეს გაჭიანურდა ელჩის დანიშვნა. **საქართველო პრიორიტეტი აღარ არის, ამიტომაც მოხდა ასე. ჩვენი ქვეყანა არც იყო პრიორიტეტული. იცით, ამერიკის ელჩები აქედან სად მიდიოდნენ? პენსიაზე და არა მხოლოდ ამერიკის ელჩები, ყველა ქვეყნის ელჩი საქართველოდან პენსიაზე გადის.**

ამერიკის ელჩის დანიშვნის ასე დაგვიანება ნიშნავს იმას, რომ ამერიკა ჩვენს საქმეებში აღარ ჩაერევა, ის ჩვენ აღარ დაგვეხმარება, ეს არის ტრამპის „იზოლაციონიზმი“. ოცდამეერთე საუკუნეა და არავინ არავის ეხმარება.

**«მალე დადგება დრო, როდესაც გაეროში გამოვლენ და იტყვიან: ჩვენი საქმე არ არის, რუსეთი საქართველოში საზღვარს გადაწევს თუ არა, უკრაინას დონბასს წაართმევს თუ არა»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ტრამპის პოლიტიკას ობიექტური წინაპირობები ჰქონდა და ამერიკელი ამომრჩევლების დიდ ნაწილს აინტერესებდა არა გლობალიზაციის ლოკომოტივის როლი, არამედ ის, რაც ტრამპმა თავის გამოსვლაში ასე აღწერა: „ამერიკული ეკონომიკა არნახულ ბუმს განიცდის... ჩვენ ის 10 მილიარდით გავზარდეთ. საფინანსო ბაზრებზე რეკორდული მაჩვენებლებია, ხოლო უმუშევრობა — ყველაზე დაბალ დონეზე 50 წლის განმავლობაში... ჩვენ შევქმენით 4 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი, მათ შორის — ნახევარი მილიონი მრეწველობაში... დავწიეთ გადასახადები“.

პანოპტიკუმი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ტრამპის გამოსვლა და სირაქლემის სტრატეგია

**ქართველმა საზოგადოებამ ბევრი დრო და ენერგია დახარჯა, როდესაც არკვევდა, რა ენაზე უნდა გამოსულიყო პრემიერმინისტრი ბახტაძე გაეროს გენერალურ ასამბლეაზე. ამის გამო მან თითქმის არ მიაქცია ყურადღება აშშ-ის პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის, გამოსვლას, მაშინ, როდესაც მსოფლიოს წამყვანმა მედიასაშუალებებმა და ექსპერტებმა ის ყურადღებით გააანალიზეს, როგორც მკაფიო დადასტურება იმისა, რომ შეერთებული შტატების პოლიტიკა და მისი როლი მსოფლიოში იცვლება.**

## «ჩვენ უარვყოფთ გლობალიზმის იდეოლოგიას და პატრიოტიზმის დოქტრინას ვემხრობით»



გამოსვლის მთავარ იდეას წარმოადგენდა პატრიოტიზმის დაპირისპირება გლობალიზმთან. ეს ყველა კომენტატორმა აღნიშნა. მან დიდი დრო დაუთმო საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტიკას და თქვა, რომ „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მიიღეს ქვეყნები, რომლებიც მის ყველა პრინციპს არღვევენ“. მისი შეფასებით, აშშ-მა დაკარგა 3 მილიონზე მეტი სამუშაო ადგილი და 60 ათასი ქარხანა მას შემდეგ, რაც მსო-ს ჩინეთი შეუერთდა. „ჩვენ ამას მომავალში აღარ დავუშვებთ“, — განაცხადა ტრამპმა.

**მან ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციასაც შეუტია და თქვა, რომ ოპეკ-ი და მისი წევრი ქვეყნები, „როგორც ყოველთვის, დანარჩენ მსოფლიოს ძარცვავენ... ჩვენ ვიცავთ ბევრ ასეთ სახელმწიფოს პრაქტიკულად უფასოდ, ისინი კი ამით სარგებლობენ და ნავთობს. ეს ცუდია... ჩვენ გვინდა, რომ მათ გაიაფება დაიწყონ და თავდაცვაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ. არ ვაპირებთ დიდხანს ამ მაღალი ფასების ატანას“.**

არსებითად, ეს მონაკვეთი წარმოადგენს იმ იდეების განვითარებას, რომელსაც ტრამპი მაისში, საუდის არაბეთში ვიზიტისას, აღნიშნავდა. მაშინ ბევრს საუბრობდნენ ირანის წინააღმდეგ მიმართული „არაბული ნატოს“ შექმნაზე და მისი წევრი სახელმწიფოების მიერ დიდძალი ამერიკული შეიარაღების შეძენაზე. როგორც ჩანს, აშშ-ის პრეზიდენტს სურს, რომ მისი რეგიონული პარტნიორები, უპირველესად, საუდის არაბეთი, ამ მიმართულებით გააქტიურდნენ და ახალი ამერიკული დოქტრინის შესაბამისად გაცილებით მეტი დახარჯონ, ვიდრე ადრე.

**ენერგეტიკის კონტექსტში ტრამპი, აგრეთვე, შეეხო დივერსიფიკაციის პრობლემას ევროპულ ბაზარზე**. მან პოლონეთი იმისთვის შეაქო, რომ ის აპირებს ახალი მილსადენით გაზი ნორვეგიიდან მიიღოს და გააკრიტიკა გერმანია: „თუ ის დაუყონებლივ არ შეცვლის კურსს, რუსეთის ენერგეტიკაზე დამოკიდებული აღმოჩნდება“. ამ შესავლის შემდეგ ტრამპმა თქვა, რომ ამერიკა მზად არის, მსოფლიო ბაზარს თავისი ენერგორესურსები უფრო აქტიურად შესთავაზოს.

**აშშ-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა არ აპირებს, აღიაროს და მხარი დაუჭიროს სისხლის სამართლის საქმეთა საერთაშორისო (ჰააგის) სასამართლოს და დასძინა, რომ „მას არ გააჩნია არანაირი იურისდიქცია, არანაირი ლეგიტიმურობა და არანაირი უფლებამოსილება. ეს სასამართლო ამკვიდრებს თითქმის უნივერსალურ იურისდიქციას ყველა ქვეყნის მოქალაქეებზე და არღვევს სამართლიანობის, მართლმსაჯულებისა და სათანადო იურიდიული პროცედურის ყველა პრინციპს**“. ექსპერტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ესოდენ რადიკალური შეფასებები იმის შედეგია, რომ ჰააგის სასამართლო აპირებს, ავღანეთში ამერიკელების მიერ ჩადენილი სამხედრო დანაშაული გამოიძიოს. ამ თემას ადრე ტრამპის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში — **ჯონ ბოლტონიც** შეეხო და თქვა, რომ აშშ-მა შეიძლება შემოიღოს ფინანსური სანქციები ჰააგის სასამართლოს მოსამართლეების წინააღმდეგ. მეტიც, მათი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენოს. ტრამპმა კიდევ ერთ ავტორიტეტულ საერთაშორისო სტრუქტურაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ აშშ არ დაბრუნდება გაეროს ადამიანის უფლებების საბჭოში, სანამ იქ „რეალური რეფორმები არ გატარდება... **ჩვენ არასოდეს ჩავაბარებთ ამერიკის სუვერენიტეტს მაღალჩინოსნებს, რომლებიც არავის აურჩევია და არავის წინაშე პასუხისმგებელნი არ არიან“.**

ამის შემდეგ ტრამპმა თავისი გამოსვლის საკვანძო ფორმულა გაასაჯაროვა: **„ამერიკას ამერიკელები მართავენ. ჩვენ უარვყოფთ გლობალიზმის იდეოლოგიას და მთელი არსით პატრიოტიზმის დოქტრინას ვემხრობით... სუვერენული და დამოუკიდებელი ქვეყნები არიან ერთადერთი სისტემა, რომლის ფარგლებში თავისუფლებამ და დემოკრატიამ დროის გამოცდას გაუძლო... უპირველესად, ჩვენი სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა უნდა დავიცვათ“...**

**ეს სულისკვეთება პრინციპულად ეწინააღმდეგება ქართველი „პროამერიკელების“ დიდი ნაწილის მოსაზრებებს, რომელთა მიხედვით გლობალიზაცია ისტორიული პროცესის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს, ხოლო აშშ-ს „მსოფლიო ჟანდარმის“ თუ „კეთილი პოლიციელის“ როლი ენიჭება, რომელიც სხვა ქვეყნების ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტს აკონტროლებს. მათ, სავარაუდოდ, მხოლოდ მარიონეტების როლის შესრულება შეუძლიათ და არ არიან მზად იმისთვის, რომ საკუთარ თავზე იმ მოცულობის პასუხისმგებლობა აიღონ, რომელიც აუცილებელია ტრამპის მიერ შემოთავაზებული სისტემის ფარგლებში.** შესაძლოა, მათ, უბრალოდ, ეშინიათ სუვერენიტეტის. სწორედ ამიტომ ქართულ მედიაში, უპირველესად კი სოციალურ ქსელებში, ასე **ხშირია ტრამპის უმწვავესი კრიტიკა და დომინირებს მოსაზრება, რომლის თანახმად ტრამპი მალე წავა და პროცესი ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდება. ამას, ალბათ, შეიძლება „სირაქლემას სტრატეგია“ ეწოდოს, ვინაიდან ის სწორედ ასე გაურბის რეალობას და როდესაც ეშინია, თავს ქვიშაში მალავს.**

## საქართველოს ხელისუფლებას «სირაქლემის სტრატეგიის» გადახედვა და რაიმე უფრო რეალისტურის მოფიქრება მოუწევს

ტრამპის მთავარი მიზანი **ირანი** გახდა. მან განაცხადა, რომ ამ ქვეყნის ლიდერები ქაოსს, სიკვდილს და განადგურებას თესავენ“ და 5 ნოემბრიდან აშშ ირანის წინააღმდეგ მის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული სანქციების ახალ პაკეტს აამოქმედებს (რაც ამ ქვეყნიდან ნავთობის იმპორტის ბლოკირებას გულისხმობს). მეორე მიზანი იყო **ვენესუელა**, თუმცა ამ შემთხვევაში ტრამპმა არა რეჟიმის, არამედ სოციალისტური იდეოლოგიის კრიტიკით დაიწყო, განაცხადა, რომ მას „ტანჯვა, კორუფცია და დაცემა მოაქვს“ და მოუწოდა მსოფლიოს ქვეყნებს, წინ აღუდგნენ მას. მან აღნიშნა, რომ სირიის კრიზის დაძლევა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა შეიცავდეს „ირანის კორუმპირებულ რეჟიმთან“ დაკავშირებულ სტრატეგიას. არსებითად, ტრამპმა თქვა, რომ სირიიდან ირანის განდევნას აპირებს და დაადასტურა, რომ მკვეთრ პასუხს გასცემს „ასადის რეჟიმის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებას“. **ჩრდილოეთ კორეაზე საუბრისას ტრამპმა განაცხადა, რომ კიმ ჩენინთან კიდევ ერთი შეხვედრის გამართვას აპირებს და დასძინა, რომ სანქციები ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ ძალაში მის სრულ დენუკლიარიზაციამდე დარჩება.**

ზოგიერთი ქვეყანა ტრამპმა, პირიქით, შეაქო, მაგალითად, **ინდოეთი, რომელმაც, მისი თქმით, მილიონობით ღარიბი ადამიანი საშუალო კლასის დონეზე აიყვანა. ის მიესალმა რეფორმებს საუდის არაბეთში, ისრაელს აყვავებული დემოკრატიული ქვეყანა უწოდა, ხოლო პოლონეთზე თქვა, მისი „დიადი ხალხი თავის დამოუკიდებლობას, უსაფრთხოებას და სუვერენიტეტს იცავს“**. ტრამპს არაფერი უთქვამს პოლონეთში მსხვილი ამერიკული კონტიგენტის განთავსების პროექტის შესახებ, რომელსაც მისი ადმინისტრაცია სწორედ ახლა იხილავს. პოლონეთის მმართველი პარტია „კანონი და სამართლიანობა“ თანახმაა, მისი რეალიზაციის ფარგლებში 2 მილიარდამდე დოლარი დახარჯოს, რაც სავსებით შეესაბამება ტრამპის მიდგომას, რომლის თანახმად პარტნიორმა ქვეყნებმა უსაფრთხოების ამერიკული გარანტიების მისაღებად მნიშვნელოვანი ხარჯები უნდა გაწიონ. მოსკოვში მიიჩნევენ, რომ ეს ნაბიჯი ნატოსა და რუსეთს შორის დაძაბულობას გაზრდის. ევროკავშირში რუსეთის მუდმივი წარმომადგენელი **ვლადიმერ ჩიჟოვი** ამბობს, რომ **„პოლონეთში ამერიკული ჯავშანსატანკო დივიზიის განთავსება რუსეთსა და ნატოს შორის 1997 დადებული შეთანხმების დარღვევა იქნება“.**




დასასრულს კი, ალბათ, იმ საგულისხმო ეპიზოდს უნდა შევეხოთ, რომლითაც გაეროში დონალდ ტრამპის გამოსვლა დაიწყო. მან განაცხადა: „ორ წელიწადზე ნაკლებ დროში ჩემმა ადმინისტრაციამ მეტს მიაღწია, ვიდრე ნებისმიერმა სხვამ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში“. ამის შემდეგ დარბაზში სიცილი ატყდა და ტრამპმა თქვა „არ მოველოდი ასეთ რეაქციას, თუმცა არა უშავს“. პრობლემა ისაა, რომ ბევრი ადამიანი აშშ-ის დღევანდელ პრეზიდენტს აღიქვამს ისე, როგორც მისი მოწინააღმდეგე ლიბერალები — როგორც შოუმენს ან სულაც კლოუნს; ხოლო მის მმართველობას — როგორც შემთხვევითობას, ხანმოკლე პერიოდს, რომელიც მალე დასრულდება და პროცესები ძველ კალაპოტს დაუბრუნდება. თითქმის არავინ მსჯელობს იმაზე, რომ **ტრამპის პოლიტიკას ობიექტური წინაპირობები ჰქონდა და ამერიკელი ამომრჩევლების დიდ ნაწილს აინტერესებდა არა გლობალიზაციის ლოკომოტივის როლი, არამედ ის, რაც ტრამპმა თავის გამოსვლაში ასე აღწერა: „ამერიკული ეკონომიკა არნახულ ბუმს განიცდის... ჩვენ ის 10 მილიარდით გავზარდეთ. საფინანსო ბაზრებზე რეკორდული მაჩვენებლებია, ხოლო უმუშევრობა — ყველაზე დაბალ დონეზე 50 წლის განმავლობაში... ჩვენ შევქმენით 4 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი, მათ შორის — ნახევარი მილიონი მრეწველობაში... დავწიეთ გადასახადები“.** გამორიცხული არაა, რომ უბრალო ამომრჩევლები კიდევ ერთხელ დაუჭერენ მხარს ტრამპის კურსს და შესაბამისად საგარეო პოლიტიკის დაქვემდებარებას აშშ-ის ეკონომიკური ინტერესების მიმართ და ის, რაც დღეს დროებით ცვლილებებად აღიქმება, გრძელვადიანი ტენდენციის სახეს შეიძენს. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებას „სირაქლემის სტრატეგიის“ გადახედვა და რაიმე უფრო რეალისტურის მოფიქრება მოუწევს.

**ლუკა ნემსაძე**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„1938 წლის იანვარში ცკ-ის მიერ ჩატარებულ პლენუმზე საჯაროდ აღიარეს უკანონობა, რომელიც უდანაშაულო კომუნისტებისა და უპარტიოთა წინააღმდეგ იყო განხორციელებული. ამ მიზეზით სპეციალური დადგენილება იქნა მიღებული და, სხვათა შორის, ყველა ცენტრალურ გაზეთში დაიბეჭდა. ასეთივე გულახდილობით იყო საუბარი იმ ზიანის შესახებ, რომელიც ქვეყანას რეპრესიებმა მოუტანა.
ცკ-ის 1938 წლის იანვრის პლენუმის შემდეგ, საპატიმროებიდან ათასობით უკანონოდ რეპრესირებულმა ადამიანმა დაიწყო დაბრუნება. მათ შორის იყვნენ ცნობილი სამხედრო პირებიც. ყველა მათგანი ოფიციალურად გადიოდა რეაბილიტაციის კურსს. ზოგიერთს კი სტალინმა ბოდიში პირადად მოუხადა“.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №34 (458)

# სტალინის პორტრეტისთვის

## სტალინი და ივანე ბენედიქტოვი

1931-1941 წლების პერიოდი და იმხანად განვითარებული მოვლენები, რომლებსაც პირობითად ,,იდუმალების სამყარო“ შევარქვი, სრულიად უცნობი იყო სტალინის შემდგომი თაობისთვის, რადგან, პარტიის პოლიტიკიდან გამომდინარე, სულ სხვა ისტორიას გვასწავლიდნენ, ნამდვილი ისტორია კი კრემლის საიდუმლო სარდაფებში იყო ჩაკეტილი. თანამედროვე პოლიტიკაში ისტორიკოსები, მწერლები თუ პოეტები თავიანთი ფანტაზიით ქსოვენ ესეოდენ რთული და გარდამტეხი ისტორიული პერიოდის მოვლენებს, თითქოს ამ ათწლეულს (1931-1941) ქვეყნისა და ხალხისთვის არაფერი მიუცია, რეპრესიების გარდა. ხშირად დაუჯერებელია ის ფაქტები, რომლებიც არქივების გახსნის შემდეგ დოკუმენტებით გამომზეურდა...

**ივანე ბენედიქტოვი** ხვდებოდა იმ უხერხულობას, რომელშიც აღმოჩნდებოდნენ სტალინის შემდეგი პერიოდის ფანტაზიორები, სწორედ ამიტომ ერთ-ერთ ჟურნალისტს დაყენებულ შეკითხვაზე ასე უპასუხა: ,,თქვენ ასე დაყენებით იმიტომ მისვამთ ამ კითხვას და მთხოვთ პასუხის გაცემას, რომ ეს დღეს მოდური და ვილაცისთვის საამებელი კითხვაა, მე კი გიპასუხებთ: **როგორ უნდა შეხედოთ საზოგადოებას სახეში, როდესაც, ადრე თუ გვიან, არქივები გაიხსნება და სინამდვილე ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება?“**

ახდა ბენედიქტოვის წინასწარმეტყველება და როგორ უნდა ესაუბრონ დღეს **სოლჟენიცინები, სახაროვები, ბონერები** და სხვა უამრავი შინაური თუ უცხოელი მუცლით მეზღაპრეები საზოგადოებას, რომელთა ნაბოდვარიდან ერთი წინადადებაც კი სიმართლის გამომხატველი არ არის? არაფერს ვამბობ იმ **ავყია ქართველებზე, რომელთა უმსგავსო საქციელმა დიდ მწერალს — კონსტანტინე სიმონოვს სახელმწიფოს იმჟამინდელი მეთაურისთვის, ლეონიდ ბრეჟნევისთვის, წერილი მიაწერინა სტალინის სიკვდილის შემდეგ გამართულ მწერალთა ყრილობაზე ქართველი მწერლების აღმაშფოთებელი გამოსვლების გამო.**

გრცხვენოდეს, ქართველო ინტელიგენციავ, მცირე გამონაკლისის გარდა! მზეს აფურთხებდით, თუმცა თქვენი ფურთხი თქვენვე გეცემოდათ უსინდისობით გამოყეყეჩებულ თავებზე!

რუსი პატრიოტი, საქმის მცოდნე და სახელმწიფო მოღვაწე ივანე ბენედიქტოვი კი, სიმართლის მოწმე, თავგამოდებით იცავდა სტალინს და მიუკერძოებლად აფასებდა იმ წლებს, რომლებსაც რამდენიმე წერილი მივუძღვენი და იდუმალების სამყარო ვუწოდე.

კიდევ ერთხელ გთხოვთ, მკითხველო, გულდასმით წაიკითხოთ ივანე ბენედიქტოვის მიერ სტალინისა და მისი ეპოქის შეფასება, რომელიც ხუთ ნაწილად გამოქვეყნდება გაზეთ ,,საქართველო და მსოფლიოს“ ფურცლებზე.

ახლა კი მივყვეთ ტექსტს:

**კითხვა: — მაპატიეთ, მაგრამ თქვენი სიტყვები, რომ სტალინი უდანაშაულო ადამიანების დასჯაში არ მონაწილეობდა, დამარწმუნებელი არ არის. ეს რომ დავუშვათ კიდეც, ასეთ შემთხვევაში იგი ვალდებული იყო, პირველ რიგში, დაშვებული შეცდომების უკანონობა ხალხის წინაშე ეღიარებინა; მეორე რიგში, არაკანონიერად დაზარალებულთა რეაბილიტაცია უნდა მოეხდინა და ბოლოს, მომავალში მსგავსის განმეორების თავიდან ასარიდებლად სათანადო ზომები მიეღო. ფაქტია, მსგავსი არაფერი გაკეთებულა...**

**პასუხი:** — როგორც ჩანს, თქვენ, უბრალოდ, საქმის კურსში არ ხართ. რაც შეეხება პირველ და მეორე შენიშვნას, **1938 წლის იანვარში ცკ-ის მიერ ჩატარებულ პლენუმზე საჯაროდ აღიარეს უკანონობა, რომელიც უდანაშაულო კომუნისტებისა და უპარტიოთა წინააღმდეგ იყო განხორციელებული. ამ მიზეზით სპეციალური დადგენილება იქნა მიღებული და, სხვათა შორის, ყველა ცენტრალურ გაზეთში დაიბეჭდა. ასეთივე გულახდილობით იყო საუბარი იმ ზიანის შესახებ, რომლებიც ქვეყანას რეპრესიებმა მოუტანა.**

ცკ-ის 1938 წლის იანვრის პლენუმის შემდეგ საპატიმროებიდან ათასობით უკანონოდ რეპრესირებულმა ადამიანმა დაიწყო შინ დაბრუნება. მათ შორის იყვნენ ცნობილი სამხედრო პირებიც. ყველა მათგანი ოფიციალურად გადიოდა რეაბილიტაციის კურსს. ზოგიერთს კი სტალინმა ბოდიში პირადად მოუხადა.

რაც შეეხება მესამე შენიშვნას, უკვე გითხარით, რომ **რეპრესიებისგან ყველაზე მეტად შინაგან საქმეთა სახკომისარიატი დაზარალდა. თანამშრომლების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ თანამდებობის ბოროტად გამოყენებისთვის და უდანაშაულო ადამიანების მიმართ განხორციელებული ანგარიშსწორებისთვის იყო პასუხისგებაში მიცემული. ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა კი, როგორც გახსოვთ, იაგოდასა და ეჟოვს დაეკისრათ.** ორივეს, თავიანთ თანამშრომლებთან ერთად, საუკეთესო ადამიანების, პარტიის გამოცდილი კადრების მოკვდინებისთვის დახვრეტა მიუსაჯეს. მათი შემცვლელი **ბერია** თავდაპირველად კანონის ჩარჩოებში მოქმედებდა, თუმცა ხელისუფლების გამოცდას ვერ გაუძლო და, თანამდებობის ბოროტად გამოყენების ხარჯზე, შეცდომების დაშვება დაიწყო. სტალინის სიკვდილამდე ერთი წლით ადრე სახკომისრის თანამდებობიდან გაათავისუფლეს, მისი უახლოესი გარემოცვა კი დააპატიმრეს და სასამართლოს გადასცეს. ახლა კი რეპრესიების დაუშვებლობის შესახებ გასატარებელ ზომებზე ვისაუბროთ. ისინი პარტიის მე-18 ყრილობაზე მიიღეს 1939 წელს. გაუქმდა პრაქტიკაში მანამდე არსებული პარტიის წმენდა, რასაც დიდ შეცდომად ვთვლი. მასობრივი რეპრესიების შედეგად პარტიისთვის მიყენებული ზარალით შეწუხებულმა სტალინმა აშკარად იჩქარა და მეორე უკიდურესობაში აღმოჩნდა.

თქვენ მიერ დასმულ შეკითხვაზე შემდეგი ამბავი მახსენდება. 1938 წლის ბოლოს, როდესაც სოფლის მეურნეობის სახალხო კომისრები პატიმრობიდან ბრუნდებოდნენ, ამ საკითხზე სტალინის თანდასწრებით კმაყოფილება გამოვთქვი, თუმცა ამას მოულოდნელი რეაქცია მოჰყვა.

**— ადრე რას აკეთებდით? — გაბრაზებით მკითხა სტალინმა. — ალბათ, ამ ადამიანებს კარგად იცნობდით და გესმოდათ, რა მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. რატომ არ დაიცავით ისინი? ბოლოს და ბოლოს, ჩემთან რატომ არ მოხვედით? უსიამოვნებების შეგეშინდათ? მშვიდი ცხოვრება ვისაც უნდა, თანამდებობა უნდა დატოვოს. თქვენ მეტი მოგეთხოვებათ!** აქ სტალინი ბოლომდე მართალი არ იყო — ამ უდანაშაულო ადამიანების გადასარჩენად რაც შემეძლო მოვიმოქმედე, ჩემი მხრიდან სხვა რამის გაკეთება ნამდვილად შეუძლებელი იყო. საბედნიეროდ, სტალინი იშვიათად ღიზიანდებოდა, თუმცა, როგორც ყოველთვის, თავის ფლობა და ემოციების კონტროლი არ უჭირდა. ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ მისი იმდროინდელი აზრები ნათლად მეჩვენებინა.

**კითხვა: — მაინც რთულია იმის დაჯერება, რომ სტალინმა არ იცოდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს სახკომისარიატში რა ხდებოდა...**

**პასუხი:** — სტალინის პერიოდში სახკომისარიატებს მოქმედებისთვის საკმარისზე მეტი თავისუფლება ჰქონდათ, რაც დამოუკიდებელი მუშაობის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენდა. საკმაოდ ხისტი და მუდმივი კონტროლი, პერსპექტიული და „სტრატეგიული“ მიმართულების ინდუსტრიების განვითარებისთვის იყო საჭირო, აგრეთვე, გატარებული კურსით მიღებული შედეგის შესამოწმებლად. სახკომისარიატის ოპერატიულ და ყოველდღიურ საქმიანობაში არავინ ერეოდა, მინისტრი ყოველ გადადგმული ნაბიჯს ცკ-ის შესაბამის განყოფილებასა და ხელმძღვანელ ინსტანციებთან ათანხმებდა. თუმცა იმ დროს ცკ-ის ინდუსტრიულ განყოფილებებში, აგრარული განყოფილების გარდა, სხვა არ არსებობდა, რა თქმა უნდა. მე სხვა დაწესებულებების თანამშრომლებთან ვთათბირობდი, მაგრამ გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ვიღებდი, ზოგჯერ მათი აზრის საწინააღმდეგოდ.

დანარჩენების და ნაწილობრივ ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, ვიცოდი, რომ შედეგებს პირადად მომთხოვდნენ და „მრჩევლები“ და „თანამონაწილეები“ ვერ მიშველიდნენ. სტალინი, დიდი ხანია, გვასწავლიდა, რომ სხვის ზურგს არ უნდა ამოვფარებოდით და ვალდებულებები უპასუხისმგებლოებისთვის არ უნდა გადაგვებარებინა. ჩემი აზრით, სხვა კომისარიატებშიც ანალოგიური პრინციპი მოქმედებდა.

საერთო ჯამში, ასეთი მიდგომა ხელმძღვანელი კადრების სასარგებლო ქმედებების კოეფიციენტის ზრდას უზრუნველყოფდა და კარგად ჩანდა, საქმეში „ვინ ვინ იყო“, რისი გარკვევაც დღეს შეუძლებელია.

**კითხვა: — უფლება მომეცით, კიდევ ერთი სახიფათო შინაარსის კითხვა დაგისვათ: ამბობთ, რომ სტალინი უკანონოდ რეპრესირებული ადამიანების დასაცავად კომისარიატებს ახალისებდა. საინტერსოა, პირადად თუ შეინარჩუნებდით თანამდებობას, მაგალითად, ტუხაჩევსკი, ვოზნესენსკი ან თუნდაც ბლიუხერი რომ დაგეცვათ? გავრცელებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ სტალინმა ეს რეპრესიები იმიტომ განახორციელა, რომ ისინი ძალაუფლებისთვის ბრძოლაში მის კონკურენტებს წარმოადგენდნენ.**

**პასუხი:** — თქვენ მიერ ჩამოთვლილ გვარებს უბრალო მიზეზის გამო არ დავიცავდი. მათ დანაშაულში დარწმუნებული ვიყავი, ისევე როგორც იმ დროს საბჭოთა ადამიანების უმრავლესობის უდანაშაულობაში. რაც შეეხება „კონკურენტებს“, მაპატიეთ და, შეთხზული ჭორია.

მარტივი შეფასებები ყოველთვის მიმზიდველად გამოიყურება. ამაზე **ბელინსკის** კარგად აქვს ნათქვამი: **„რაც უფრო ცალმხრივია მოსაზრება, უმრავლესობისთვის მით უფრო მისაღებია. ვისაც კარგი უყვარს, მისთვის აუცილებლად კარგი უნდა იყოს, სისულელე კი სისულელედ უნდა დარჩეს, ასეთს იმის გაგონებაც არ უნდა, რომ ერთი საგანი შეიძლება კარგიც იყოს და ცუდიც“.** კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ძალადობასა და ძალაუფლების სიყვარულს რეპრესიებთან არავითარი კავშირი არ ჰქონია, ყოველ შემთხვევში — სტალინის მხრიდან. მისი გარემოცვა უკვე სხვა საქმეა.

სტალინს ბევრჯერ შევხვედრივარ და მისაუბრია. ვხედავდი, როგორ წყვეტდა სხვადასხვა საკითხს, ადამიანებს როგორ ეპყრობოდა, როგორ ფიქრობდა, როგორ ეძებდა ურთულესი ვითარებიდან გამოსავალს. დაზუსტებით შემიძლია გითხრათ: **პარტიისა და ქვეყნის უმაღლესი ინტერესების მიმდევარ სტალინს არ შეეძლო, ნიჭიერი ადამიანების, როგორც პოტენციური კონკურენტების მოშორებით, ქვეყნისთვის გაცნობიერებული ზიანი მიეყენებინა.** დღეს ყოვლისმცოდნე ადამიანები ამ ყველაფერზე ისე საუბრობენ, თითქოს სინამდვილეში, ქვეყნის ხელმძღვანელობაში რა ხდებოდა, არაფერი გაეგებოდათ.

პირიქით — გავრცელებული თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ, იმხანად ყველა საკითხი, რომლებიც პარტიას, სახელმწიფოსა და სამხედრო მოღვაწეებს ეხებოდათ, პოლიტბიუროზე კოლეგიალურად განიხილებოდა. ▶



**ახდა ბენედიქტოვის წინასწარმეტყველება და როგორ უნდა ესაუბრონ დღეს სოლჟენიცინები, სახაროვები, ბონერები და სხვა უამრავი შინაური თუ უცხოელი მუცლით მეზღაპრეები საზოგადოებას, რომელთა ნაბოდვარიდან ერთი წინადადებაც კი სიმართლის გამომხატველი არ არის? არაფერს ვამბობ იმ ავყია ქართველებზე, რომელთა უმსგავსო საქციელმა დიდ მწერალს — კონსტანტინე სიმონოვს სახელმწიფოს იმჟამინდელი მეთაურისთვის, ლეონიდ ბრეჟნევისთვის, წერილი მიაწერინა სტალინის სიკვდილის შემდეგ გამართულ მწერალთა ყრილობაზე ქართველი მწერლების აღმაშფოთებელი გამოსვლების გამო. გრცხვენოდეს, ქართველო ინტელიგენციავ, მცირე გამონაკლისის გარდა! მზეს აფურთხებდით, თუმცა თქვენი ფურთხი თქვენვე გეცემოდათ უსინდისობით გამოყეყეჩებულ თავებზე!**

**„სტალინს ბევრჯერ შევხვედრივარ და მისაუბრია. ვხედავდი, როგორ წყვეტდა სხვადასხვა საკითხს, ადამიანებს როგორ ეპყრობოდა, როგორ ფიქრობდა, როგორ ეძებდა ურთულესი ვითარებიდან გამოსავალს. დაზუსტებით შემიძლია გითხრათ: პარტიისა და ქვეყნის უმაღლესი ინტერესების მიმდევარ სტალინს არ შეეძლო, ნიჭიერი ადამიანების, როგორც პოტენციური კონკურენტების, მოშორებით ქვეყნისთვის გაცნობიერებული ზიანი მიეყენებინა“.**

გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

კამათი და დისკუსიები, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების გამოხატვა პირდაპირ პოლიტბიუროს სხდომებზეც კი ხდებოდა. ჩუმი და მორჩილი ერთსულოვნება არასოდეს ყოფილა, ამას სტალინი და მისი თანამებრძოლები ვერ იტანდნენ.

ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რადგან სხდომებს ხშირად ვესწრებოდი.

რა თქმა უნდა, **სტალინის თვალსაზრისი ყოველთვის უმაღლეს შეფასებას იმსახურებდა, ასე იმიტომ ხდებოდა, რომ პრობლემებს ობიექტურად და ყოველმხრივად აანალიზებდა, დანარჩენებზე ღრმა და შორი ხედვა ჰქონდა.** ადამიანი კი ადამიანად რჩება და ყველაფერ ამას თანდათანობით მიეჩვია, ისინი წინააღმდეგობის გაწევას აღარ ცდილობდნენ და თავიანთ აზრს ბოლომდეც არ იცავდნენ. აქ კი სტალინი ბრაზდებოდა და მაგალითად ყოველთვის **ვოზნესენსკი** მოჰყავდა, რომელიც თავის თვალსაზრისს ყოველთვის მტკიცედ და თანმიმდევრულად წარმოაჩენდა. **1930-იანი წლების ბოლოსთვის პოლიტბიუროს საქმიანობაში კოლეგიალურობა საკმაოდ მკვეთრად იყო გამოხატული: რა თქმა უნდა, იშვიათი შემთხვევებიც იყო, როდესაც ხმის მიცემისას სტალინი უმცირესობაში რჩებოდა. განსაკუთრებით ეს რეპრესიების საკითხებს ეხებოდა, სადაც სტალინი, როგორც უკვე გითხარით, შედარებით „რბილ“ პოზიციებს ემხრობოდა, ვიდრე პოლიტბიუროს დანარჩენი წევრები.**

დარწმუნებული ვარ, **ტუხაჩევსკის, ბლიუხერისა** და სხვა მსხვილი მოღვაწეების რეპრესირება პოლიტბიუროს პოლიტიკური თვალსაზრისისა და კოლეგიალური გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდა. სხვა საკითხია, მათი თვალსაზრისი როგორ იყო დასაბუთებული და გააზრებული. შეცდომებს არ გამოვრიცხავ, მაგრამ მათში გასარკვევად და ნამდვილი სურათის გამოსავლენად, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, საქმეს პოლიტიკურად უნდა შეხედო და მრავალმხრივი და ღრმა ანალიზი გააკეთო.

**კითხვა: — მაინც ტუხაჩევსკი...**

**პასუხი:** — აიჩემეთ, ტუხაჩევსკი, ტუხაჩევსკი... გარშემო სხვა არაფერი ისმის იმის გარდა, რომ სტალინმა ყველაზე ნიჭიერი საბჭოთა მეთაური გარიყა. 30-იანი წლების შესახებ რამდენიც უნდა ვისაუბროთ, მაინც ერთსა და იმავე კითხვას ვაწყდებით. ერთხელ ვერ მოვითმინე და ერთ ძველ ნაცნობს ტუხაჩევსკიზე ვკითხე, სხვათა შორის, სტალინის კრიტიკოსი იყო და ტუხაჩევსკის რეაბილიტაციის საქმეზე მომუშავე კომისიასთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა.

— უბრალო ადამიანი არ იყო, — მიპასუხა მან. **ჯარზე პარტიული ხელმძღვანელობის გავლენას არ აღიარებდა, თვითდარწმუნება და თავადური ქედმაღლობაც საკმაოდ ჰქონდა, მაგრამ მსგავსი მეთაურები იშვიათად გვხვდებიან. დროს ათი წლით უსწრებდა, უდიდესი ნიჭი ჰქონდა, გერმანელებს მისი ამაოდ არ ეშინოდათ. ამიტომაც შეთითხნეს ტყუილი, შინაგან საქმეთა კომისარიატმა კი საქმე გააყალბა. იურიდიული თვალსაზრისით სრულიად უსუსური ბრალდებები წაუყენეს, თუმცა ეჭვი არ შეგეპაროს, რომ მისი რეაბილიტაცია სწორი გზით მიმდინარეობდა.**

— ნუთუ მხოლოდ კვამლი იყო და არანაირი ნაპერწკალი არ არსებობდა? ბრალდების საბუთს ხომ **ბლიუხერმა** და **ალკსნისმა** მოაწერეს ხელი. ისინი ხომ სიკვდილის მუქარითაც არ მიუსჯიდნენ უდანაშაულო ადამიანებს სასჯელს, ეს შენც იცი...

— რაღაც იყო. დადგინდა, რომ ტუხაჩევსკიმ ჩაატარა საიდუმლო თათბირი, რომელზეც **ვოროშილოვის** გადააადგილება განიხილებოდა, მაგრამ ბრალდების არც ერთი პუნქტი იურიდიულად არ დადასტურებულა.

— აი ეს მესმის! **ნებისმიერ ქვეყანაში ასეთი საქციელისთვის მხოლოდ თანამდებობიდან კი არ ხსნიან, მაშინვე სასამართლოს გადასცემენ. თავდაცვის მინისტრს ყველგან უმაღლესი ხელმძღვანელობა ცვლის და ნიშნავს. თუ ფიქრობ, რომ სტალინისა და პოლიტბიუროს სხვა წევრების დასარწმუნებლად ტუხაჩევსკის თავისი ორატორული ნიჭის იმედი ჰქონდა?** გასაიდუმლოება რა საჭირო იყო? ეს ხომ, ფაქტობრივად, შეთქმულებაა, სახელმწიფო ღალატი...

— ნუ ბრაზობ, ივან, იურისპრუდენციაში ყოველთის ცუდად ერკვეოდი. ზუსტი ფაქტები და უტყუარი მტკიცებულებები იყო საჭირო, ერთი სიტყვით, კანონიერებისათვის საჭირო ყველა ატრიბუტი, რომლებიც, უბრალოდ, გააყალბეს. თანაც ტუხაჩევსი მოღალატე არ ყოფილა, საქმე, ალბათ, უფრო ინტრიგას ეხებოდა...

— იურიდიული თვალსაზრისით არ ვიცი, მაგრამ, ქვეყნის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, ტუხაჩევსკი და მისი გუნდი თანამდებობიდან მაინც უნდა გადაეყენებინათ. **ომი იწყებოდა, სადაც სოციალიზმისა და ხალხის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო. ასეთ დროს კი, უმაღლეს სარდლობაში ისეთი ადამიანების არსებობა, რომლებიც ელემენტარულ სამხედრო დისციპლინას (სამხედრო მოვალეობას) არღვევდნენ, დიდი დანაშაული იქნებოდა.** წარმოგიდგენიათ, როგორ შეიძლებოდა მოვლენები განვითარებულიყო, ყველაზე კრიტიკულ მომენტებში, სამშობლოს მოღალატე ერთი გენერლის, **ვლასოვის,** გარდა, შედარებით გავლენიან თანამდებობებზე მყოფი რამდენიმე ათეული გენერალი რომ აღმოჩენილიყო? „იდეური თვალსაზრისითაც“ კი „სტალინის რეჟიმისთვის“ ზურგში დარტყმა რომ მიეყენებინათ, ერთსა და იმავე შედეგს მივიღებდით. **ფაშისტებმა საფრანგეთის ჯარი რამდენიმე კვირაში დაამარცხეს, იმიტომ, რომ ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკურ წრეებში ერთიანობა არ სუფევდა, გენერლებს პოლიტიკოსებთან უსიამოვნება მოუვიდათ და დამარცხდნენ...** ხედავთ?.. საკმარისი აღმოჩნდა, საქმეში სიღრმისეულად ჩაგვეხედა და სქემამ — „დესპოტმა სტალინმა ნიჭიერი ადამიანები გაანადგურა“ — მაშინვე რღვევა დაიწყო... ვფიქრობ, საქმეს ობიექტურად და სერიოზულობით თუ მივუდგებით, 30-40-იანი წლების რეპრესიებიდან ბევრი რამ გასცდება ამ სქემის ჩარჩოებს.

**«ფოიხტვანგერი მარტო არ ყოფილა. რომენ როლანი, ანრი ბარბიუსი, მარტინ ნექსე და სხვა პროგრესული მწერლები, აგრეთვე, ხელოვნების წარმომადგენლები სტალინისა და მისი მოკავშირეების კურსის დასაცავად გამოდიოდნენ. რეპრესიების საკითხის განხილვისას, პოლიტიკაში გატარებული «ძალისმიერი მეთოდების» არსებობის აღიარებაზე აინშტაინსაც არ მოუწერია ხელი. ფაქტია, რომ ევროპის ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი, რომელიც პროგრესულ და ჰუმანურ იდეალებს ერთგულებას უცხადებდა, «სტალინური ბოროტმოქმედების» გამოვლენის ხმამაღალ კამპანიას ემიჯნებოდნენ»**


ლიონ ფოიხტვანგერი და სტალინი

**კითხვა: — თქვენი მოსაზრება ბოლშევიკური პარტიის, ლენინის მოკავშირისა და გამოჩენილი მოღვაწის, ელენა სტასოვას, პოზიციის შესაბამისია. მიუხედავად სტალინის მიმართ მისი ანტიპათიური თვალსაზრისისა, სტასოვა თვლიდა, რომ გაუმართლებელი რეპრესიებისა და უდანაშაულო ადამიანების განადგურების პასუხისმგებლობის პირდაპირ სტალინზე გადატანა არასწორი იქნებოდა. ელენა დმიტრიევნა ხრუშჩოვის ქმედებებითაც აღშფოთებული იყო და მას „უპასუხისმგებლო ავანტიურისტს“ ეძახდა. თქვენი შეფასებები, გერმანელი მწერლის, ფოიხტვანგერის, დასკვნებთანაც ახლოს დგას, რომელმაც 1937 წელს საბჭოთა კავშირი მოინახულა და შემდეგ წიგნი გამოსცა. მას სურდა, გაერკვია, სტალინი საკუთარი რეჟიმის გასამყარებლად მართლა ანადგურებდა თუ არა ნიჭიერ ადამიანებს. მწერალი, რომელიც პიატაკოვისა და რადეკის პროცესებს ესწრებოდა და ბევრ ბრალდებულს პირადად ესაუბრა, მყარ დასკვნამდე მივიდა: პროცესები სრულიად დასაბუთებული იყო, სტალინისა და მისი მოკავშირეების მოქმედება კი საბჭოთა ხალხისა და სახელმწიფოს უმაღლეს ინტერესებს შეესაბამებოდა. ფოიხტვანგერმა ბევრი დასავლელი ინტელიგენტი დაახასიათა, რომლებსაც „სტალინის ბოროტმოქმედებების“ შესახებ ხმაური ჰქონდათ ატეხილი. და მაინც, ყველა ეს მოსაზრება, ისევე, როგორც თქვენი მოსაზრება, არც ისე დამაჯერებელია... საპირისპირო შინაარსის მქონე ძალიან ბევრი და ნათელი ფაქტი არსებობს.**

**პასუხი:** — რა გაეწყობა, მე ჩემი პირადი მოსაზრება გამოვთქვი და თანაც გაგაფრთხილეთ, არქივში არსებული სათანადო დოკუმენტები და მასალები არ მაქვს-მეთქი. თუმცა ფაქტებს რაც შეეხება, გირჩევთ, ფრთხილად იყოთ. ვოლუნტარიზმი გავასამართლეთ, ისტორიის ვოლუნტარისტულად გადმოცემა კი — ჯერ არა. ამ მიმართულებით ბოლო წლებში რამდენიმე მორიდებული ნაბიჯი გადაიდგა. კიდევ ერთ რამეზე დაფიქრდით. ეგრეთ წოდებულ „დესპოტურ“ 30-იანებში პოლიტიკური პროცესების სტენოგრამები იბეჭდებოდა და, ფაქტობრივად, ყველასთვის ხელმისაწვდომი იყო, თუმცა ოფიციალური მოსაზრებებისა და ვერსიების საპირისპირო მასალაც ქვეყნდებოდა.

**რაც შეეხება ფოიხტვანგერს, ის მარტო არ ყოფილა. რომენ როლანი, ანრი ბარბიუსი, მარტინ ნექსე და სხვა პროგრესული მწერლები, აგრეთვე, ხელოვნების წარმომადგენლები სტალინისა და მისი მოკავშირეების კურსის დასაცავად გამოდიოდნენ. რეპრესიების საკითხის განხილვისას, პოლიტიკაში გატარებული „ძალისმიერი მეთოდების“ არსებობის აღიარებაზე აინშტაინსაც არ მოუწერია ხელი. ფაქტია, რომ ევროპის ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი, რომელიც პროგრესულ და ჰუმანურ იდეალებს ერთგულებას უცხადებდა, „სტალინური ბოროტმოქმედების“ გამოვლენის ხმამაღალ კამპანიას ემიჯნებოდა. ფარისევლები და მყვირალები კი პირიქით — ამ იდეალებს ღალატობდნენ და ფაშიზმთან თანამშრომლობამდეც კი დაეშვნენ, სტალინის „ტერორთან“ დაკავშირებით ყველაზე მეტს ისინი გაჰყვიროდნენ.** დასაფიქრებლად ესეც საკმარისი მიზეზია...

**კითხვა: — სოფლის მეურნეობის მინისტრი ზუსტად იმ დროს გახდით, როდესაც საბჭოთა მეცნიერებაში ტრადიციულ, მიჩურინის მომხრეებსა და გენეტიკოსებს, ლისენკოსა და ვავილოვს, შორის კონფლიქტი ღვივდებოდა. როგორც ცნობილია, სტალინი და თქვენი კომისარიატი ლისენკოს უჭერდა მხარს. გენეტიკის საბჭოთა სკოლა მარცხის წინაშე იდგა, ბევრი მათი მიმდევარი, მათ შორის ვავილოვიც, რეპრესიების მსხვერპლი გახდა. სამამულო მეცნიერებამ ბიოლოგიის დარგში, რომელიც იმ წლებში მოწინავე პოზიციებს იკავებდა, მსოფლიო მეცნიერების დონესთან შედარებით ჩამორჩენა დაიწყო. ამის შემდეგ რთული იქნება იმის დაჯერება, რომ სტალინის ხელმძღვანელობის მეცნიერული განათლება კომპეტენტური იყო. რეპრესიების დაუშვებელ მეთოდებზე აღარაფერს ვამბობ. ხრუშჩოვი, მიუხედავად მისი ყველა ნაკლისა, მეცნიერებს ცივილურად მაინც ექცეოდა...**

**პასუხი:** — რომ იცოდეთ, გენეტიკის ჩამორჩენაში ხრუშჩოვის დანაშაული უფრო მეტია, ვიდრე სტალინის. 30-იანებში მისი პერსპექტიულობის წარმოდგენა უფრო რთული იყო, ვიდრე 50-იანებში. ნიკიტა სერგეევიჩი ლისენკოს ბრწყინვალე დაპირებებმა მოხიბლა, რომელსაც, სტალინისგან განსხვავებით, უპირობოდ ენდობოდა. **არ მეეჭვება, რომ, ახალი მიმართულებებისადმი იშვიათი აღქმის მქონე სტალინს 5-6 წელი კიდევ რომ ეცოცხლა, გენეტიკოსები ყველაფერ საჭიროს და უფრო მეტსაც მიიღებდნენ. ნიჭიერი მეცნიერებისა და ორგანიზატორების წინ წამოწევა ხომ სტალინზე უკეთ არავინ იცოდა. ფაქტია, რომ სწორედ სტალინი იყო მსოფლიოში პირველი ლიდერი, რომელიც ბირთვული კვლევებისა და კოსმოსის ათვისების პრაქტიკულ მნიშვნელობას ჩასწვდა.** სტალინის მეთაურობით მაშინდელ ნაშრომებს, რომლებიც სამეცნიერო სფეროში ბევრს ნახევრადფანტასტიკურადაც კი ეჩვენებოდა, ცკ-მა ზოგადსახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიანიჭა. ასე რომ, **ეკონომიკური თვალსაზრისით დასავლეთთან ათი წლის ჩამორჩენის მიუხედავად, ჩვენმა ქვეყანამ მეცნიერულ-ტექნიკურ სფეროებში წამყვანი პოზიციები დაიკავა და უდიდესი სახელმწიფოს სტატუსის ქვეშ საჭირო ფუნდამენტი შექმნა.**

**კითხვა: — ჩვენი საუბრის დასაწყისში, როდესაც ეკონომიკას შევეხეთ, ამის შესახებ თქვით...**

**პასუხი:** — მაშინ კიდევ ერთხელ გავიმეორებ: რადგან ჩემი მოსმენა გადაწყვიტეთ, მოთმინების გამოჩენა მოგიწვთ. იმ ორიგინალურმა სკოლებმა, რომლებმაც საბჭოთა მეცნიერება საზღვარგარეთ წარმოაჩინეს, ძალა სტალინის პერიოდში მოიკრიბეს და 50-იანების დასასრულს და 60-იანების დასაწყისში აყვავების ხანა დაუდგათ. შემდეგ მათი დაღმასვლა დაიწყო. ცნობილი სამამულო სკოლები, რომლებშიც განსაკუთრებით ჰუმანიტარული პროფილის მქონე მეცნიერები მოღვაწეობდნენ, პრაქტიკულად, ყველას თვალწინ ქუცმაცდებოდა და ქრებოდა.

გაზეთებში, ალბათ, მრავალრიცხოვან მაგალითს აწყდებით, როგორ უსწორდებიან ყოვლისშემძლე მეცნიერული კლანები ნიჭიერ „უცხოელებს“. შეგიძლიათ, რაც გნებავთ, ის თქვათ, მაგრამ, სრულიად დარწმუნებული ვარ, 1980-იან წლებში ჩვენი მეცნიერების შრომის კოეფიციენტი უფრო დაბალ ნიშნულზე ჩამოვიდა, ვიდრე ორმოცი წლის წინათ იყო. არადა, განვითარების ხელისშემშლელი პირობა, დღევანდელთან შედარებით, იმ პერიოდში უამრავი არსებობდა, გამწმენდი პროცესებიც შენელებული იყო.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

მართლმადიდებლობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ექსტრემალურმა დაჯგუფება C14-მა, რომელსაც უკრაინის უშიშროების სამსახური აკონტროლებს, უკვე დაიწყო ნადირობა იმ დეპუტატებზე, რომლებმაც ხელი მოაწერეს ბართოლომეოსისთვის გაგზავნილ წერილს თხოვნით: „ნუ შეიტანს განხეთქილებას უკრაინის მართლმადიდებლობაში“.**

# უკრაინაში რელიგიური ომი დაიწყო

**მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტი ონოფრე სკანდალურმა ვებგვერდმა „მიროტვორეცმა“ „ერის მტრების“ ბაზაში შეიყვანა. მას, ისევე, როგორც მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სხვა ღვთისმსახურებს, რომლებიც გამოდიან კიევისთვის ე.წ. ტომოსის მინიჭების წინააღმდეგ, „დაჟინებით სთხოვენ“, დატოვონ უკრაინა.**



ვებგვერდ „მიროტვორეცს“ კურატორობს უკრაინის პარლამენტის დეპუტატი, „სახალხო ფრონტის“ წარმომადგენელი **ანტონ გერაშჩენკო** — უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრ **არსენ ავაკოვთან** დაახლოებული პირი. მიტროპოლიტმა **ონოფრემ** უარი თქვა მსოფლიო პატრიარქ **ბართოლომეოსის** მიერ გაგზავნილი ეგზარქოსების მიღებაზე, რომლებიც უკრაინაში ჩავიდნენ „კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ავტოკეფალიის სტატუსის მინიჭების პროცესის ფინალიზებისთვის“.

უკრაინის პრეზიდენტმა **პეტრე პოროშენკომ** ნიუიორკში უკრაინის დიასპორის წარმომადგენლების წინაშე სიტყვით გამოსვლისას კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ „გადაწყვეტილება „ტომოსის“ შესახებ უკვე მიღებულია და საქმე გავიდა ფინიშის სწორზე“.

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქების შეყვანა „ერის მტრების“ სიაში ნიშნავს მოსკოვის საპატრიარქოსთვის მის მფლობელობაში არსებული სიწმინდეებისა და ტაძრების ჩამორთმევის პროცესის დასაწყისს. რადიკალები არც მალავენ, რომ „ავტოკეფალიის“ მიღებისთანავე გააძევებენ მოსკოველ მღვდლებს კიევ-პეჩორის ლავრიდან“.

ექსტრემალურმა დაჯგუფება C14-მა, რომელსაც უკრაინის უშიშროების სამსახური აკონტროლებს, უკვე დაიწყო ნადირობა იმ დეპუტატებზე, რომლებმაც ხელი მოაწერეს ბართოლომეოსისთვის გაგზავნილ წერილს თხოვნით: „ნუ შეიტანს განხეთქილებას უკრაინის მართლმადიდებლობაში“.

# კვიპროსის ეკლესიის წინამძღოლი მოუწოდებს, არ დაუშვან განხეთქილება უკრაინის საკითხის გამო



**კვიპროსის ეკლესია შეშფოთებულია უკრაინის ეკლესიის გარშემო განვითარებული მოვლენებით და მოუწოდებს, არ დაუშვან განხეთქილება მსოფლიოს მართლმადიდებლურ წიაღში. ეს განუცხადეს კვიპროსის რესპუბლიკაში უკრაინის ელჩს, ბორის გუმენიუკს, კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლ, არქიეპისკოპოს ქრიზოსტომ II-სთან შეხვედრისას 2018 წლის 26 სექტემბერს.**

„კვიპროსის ეკლესიის წინამძღოლმა შეშფოთება გამოხატა უკრაინის ეკლესიაში მიმდინარე ბოლო მოვლენების გამო და მოუწოდებს, არ დაუშვან განხეთქილება, რომელიც ხელს შეუშლის მართლმადიდებლობის ერთიანობას“, — ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

არქიეპისკოპოსმა, აგრეთვე, დაადასტურა, რომ კვიპროსის ეკლესია შეიძლება გახდეს „ხიდი შექმნილი არანორმალური მდგომარეობის დასარეგულირებლად“. ამასთანავე, კვიპროსის რესპუბლიკაში უკრაინის საელჩოს ვებგვერდი ავრცელებს ინფორმაციას, რომ ბორის გუმენიუკთან საუბრისას „კვიპროსის არქიეპისკოპოსმა მხარდაჭერა გამოხატა უკრაინისა და უკრაინელი ხალხის მიმართ და ხაზი გაუსვა უკრაინის, როგორც დიდი დამოუკიდებელი სახელმწიფოს, უფლებას, ჰქონდეს დამოუკიდებელი ავტოკეფალური ეკლესია“.

# იერუსალიმის ეკლესიის იერარქმა მიტროპოლიტ ონოფრეს უკრაინელი მართლმადიდებლების ერთადერთი კანონიკური მეთაური უწოდა

**„უკრაინელი მართლმადიდებელი მორწმუნეების ერთადერთი კანონიკური წინამძღოლი არის მიტროპოლიტი ონოფრე, რომელიც აღიარებულია ყველა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ“, — განაცხადა მიტროპოლიტმა ტიმოთემ — იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესიის ეგზარქოსმა კვიპროსზე.**



„ჩვენი პოზიცია უცვლელია — ჩვენ ვაღიარებთ უკრაინის კანონიკურ ეკლესიას, იმ ეკლესიას, რომელიც არის კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტ ონოფრეს ომოფორის (ეპისკოპოსის საღვთისმეტყველო მსახურების დეტალი, ჯვრების გამოსახულებიანი ფართო ლენტი — ნ.ა.) ქვეშ“, — განაცხადა მიტროპოლიტმა **ტიმოთემ** და დასძინა, რომ „მართლმადიდებელ ეკლესიაში არის გარკვეული წესები, რომლებიც თითოეულმა ეკლესიამ უნდა დაიცვას. აქ იგულისხმება ის წესიც, რომელიც ეხება რუსული ეკლესიის კანონიკურ ტერიტორიებსა და ერთი ეკლესიის მოქმედებას მეორის მიმართ“.

ორი თვის წინათ, კიევში ყოფნისას, რუსეთის გაქრისტიანების 1030 წლისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მიტროპოლიტმა ტიმოთემ განაცხადა, რომ ზოგჯერ სახელმწიფოს ინტერესები არ ემთხვევა ეკლესიის ინტერესებს. „საჭიროა, გვესმოდეს, რომ სახელმწიფოს აქვს თავისი ინტერესები, რომლებიც დროთა განმავლობაში იცვლება გარემოებების ზემოქმედებით, მაგრამ ეკლესია ცხოვრობს თავისი ცხოვრებით, აქვს თავისი სულიერი მიმართულება, რომელიც არ იცვლება არანაირი მიწიერი გარემოებებითა და პირობებით“, — თქვა ტიმოთემ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საინფორმაციო-საგანმანათლებლო განყოფილებისთვის მიცემულ ინტერვიუში.

# ალექსანდრიისა და პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღოლების მოწოდება უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაში შექმნილი ვითარების გამო



**2018 წლის 19 სექტემბერს ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პატრიარქი თევდორე II, ვარშავასა და სრულიად პოლონეთის მიტროპოლიტ სავას მიწვევით, ოფიციალური ვიზიტით ეწვია პოლონეთის მართლმადიდებელ ეკლესიას.**

21 სექტემბერს, ღვთისმშობლის შობის დღეს, ორი ეკლესიის წინამძღოლები ერთობლივი განცხადებით წარდგნენ ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების ხელმძღვანელთა წინაშე. მიმართვის ტექსტში გამოთქმულია შეშფოთება უკრაინაში მიმდინარე მოვლენებსა და მართლმადიდებლობის მდგომარეობის გამო.

გთავაზობთ მოწოდების სრულ ტექსტს, რომელიც გამოქვეყნდა ბერძნულ, პოლონურ და ინგლისურ ენებზე:

„ჩვენ, ორი ადგილობრივი ეკლესიის წანამძღოლები, შევხვდით რა პოლონეთის მიწაზე და გათვითცნობიერებული გვაქვს პასუხისმგებლობა წმინდა მართლმადიდებლობის მიმართ თანამედროვე მსოფლიოში მშვიდობის, ერთიანობისა და მისი დოგმატურ-კანონიკური წესრიგის შესანარჩუნებლად, იმ გამოწვევების მიმართ, რომელთა წინაშეც დღეს აღმოჩნდა მართლმადიდებლობა უკრაინაში, ძმური სიყვარულით მოვუწოდებთ ყველას, ვისზეც არის დამოკიდებული ეკლესიური გაუგებრობების აღმოფხვრა, რომლებიც გამოწვეულია უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების მცდელობით, ყველაფერი გააკეთონ, რაც შეუძლიათ, კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად და ეკლესიური წესრიგის დასამყარებლად უკრაინის მიწაზე. ჩვენ ვლოცულობთ უკრაინელი ხალხის ერთობისა და მშვიდობისთვის, ამასთანავე, ძმური სალმით მივმართავთ ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღოლებსა და სრულიად მსოფლიოს მართლმადიდებლებს.

**ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პატრიარქი თევდორე, ვარშავისა და სრულიად პოლონეთის მიტროპოლიტი სავა“.**

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ აბაშიძე**

**გაზაფხულზე ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს შეხვდა საბერძნეთში აშშ-ის ელჩი, აშშ-ის ყოფილი ელჩი უკრაინაში ჯეფრი პაიეტი, ხოლო უკრაინაში აშშ-ის ამჟამინდელმა ელჩმა მერი იოვანოვიჩმა მოლაპარაკებები გამართა მოსკოვის საპატრიარქოს უკრიანის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტ ონოფრესა და კიევის არაკანონიკურ პატრიარქ ფილარეტთან.**

ფაქტები და არგუმენტები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკრაინელი რადიკალები დასავლეთ უკრაინაში მოსკოვის საპატრიარქოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სამების ტაძარში შეიჭრნენ და ორი ადამიანი დაჭრეს. ივანო-ფრანკოვსკის ოლქის დასახლება ბოგოროდჩანიში ნაციონალისტებმა შელეწეს ტაძრის კარი, ჩაამსხვრიეს მინები და შენობის დატოვებისას მორწმუნეები სცემეს. ერთმა მამაკაცმა ტვინის შერყევა მიიღო, მეორეს კი ხელი მოსტყდა. თავდამსხმელებმა შეურაცხყვეს, აგრეთვე, ტაძრის წინამძღვარი ვლადიმერ შუვარი.**

# უკრაინელი რადიკალები თავს დაესხნენ წმინდა სამების ტაძარს ივანო-ფრანკოვსკის ოლქში

## რა აქვს საერთო მაიდანს ავტოკეფალიასთან?

ადამიანის უფლებების გაეროს მონიტორინგის მისიამ უკრაინაში გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც ნათქვამია, რომ ამა წლის მაის-აგვისტოში **უკრაინის მართლმადიდებელი კანონიკური ეკლესიის ტაძრებს 6-ჯერ დაესხნენ თავს, თუმცა სისხლის სამართლის საქმე აღიძრა მხოლოდ 2 შემთხვევაში. სულ კი 4 თვის განმავლობაში ნაციონალისტებმა ხელში ჩაიგდეს 50 ტაძარი.**

რა აქვს საერთო მაიდანს ავტოკეფალიასთან? — დე იურე ორივე დამოუკიდებლობას ნიშნავს, დე ფაქტო — საწინააღმდეგოს.

უკრაინის შემთხვევაში „დამოუკიდებლობის მოპოვება“ — ეს არის რაღაცის ერთი ხელიდან მეორეში გადასვლა. ოღონდ საკითხავია, ვის ხელში? და რა შუაშია აქ აშშ?

გაზაფხულზე ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს შეხვდა საბერძნეთში აშშ-ის ელჩი, აშშ-ის ყოფილი ელჩი უკრაინაში — **ჯეფრი პაიეტი,** ხოლო უკრაინაში აშშ-ის ამჟამინდელმა ელჩმა **მერი იოვანოვიჩმა** მოლაპარაკებები გამართა მოსკოვის საპატრიარქოს უკრიანის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტ **ონოფრესა** და კიევის არაკანონიკურ პატრიარქ **ფილარეტთან.** ამერიკის შეერთებულ შტატებს მიაჩნია, რომ ეკლესიის საკითხის მეშვეობით შეიძლება მოახლოვდეს უკრაინის კონფლიქტის დასრულება.

**ადამიანის უფლებების გაეროს მონიტორინგის მისიამ უკრაინაში გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც ნათქვამია, რომ ამა წლის მაის-აგვისტოში უკრაინის მართლმადიდებელი კანონიკური ეკლესიის ტაძრებს 6-ჯერ დაესხნენ თავს, თუმცა სისხლის სამართლის საქმე აღიძრა მხოლოდ 2 შემთხვევაში. სულ კი 4 თვის განმავლობაში ნაციონალისტებმა ხელში ჩაიგდეს 50 ტაძარი**



მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტი ონოფრი

**„სახელმწიფო დეპარტამენტში ჯერ კიდევ ჯონ კერის მოღვაწეობის პერიოდში შექმნეს რელიგიური საკითხების სპეციალური ოფისი. მე რამდენჯერმე შევხვდი მის ხელმძღვანელს. მისი თქმით, ამერიკული დიპლომატია მივიდა დასკვნამდე: რელიგიური შემადგენლის გარეშე დიპლომატიური მოღვაწეობა წარმატებული ვერ იქნება“,** — განუცხადა კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სპიკერმა, არქიეპისკოპოსმა **ევსტრატემ ზორიანულ** ტელეარხ „ბი-ბი-სის“.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში „ბი-ბი-სის“ თხოვნაზე კომენტარი გაეკეთებინათ უკრაინის ავტოკეფალიის საკითხზე მოლაპარაკებებში ამერიკული დიპლომატიების მონაწილეობაზე, განაცხადეს, რომ, „ამერიკული დიპლომატები რეგულარულად ურთიერთობენ რელიგიური თემების ფართო წრეებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან“.

„ჩვენ მიგვაჩნია, რომ უკრაინის ავტოკეფალიის ნებისმიერი გადაწყვეტილება ეკლესიის საშინაო საქმეა“, — დასძინა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წამომადგენელმა. მანამდე, 11 სექტემბერს კი, სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ კურატორობას გაუწევს „რელიგიური თავისუფლების განვითარებას“ უკრინაში. როგორც ხედავთ, უკრაინაში თავისუფლება არ არის, არის მხოლოდ ვიღაცის გავლენა.

მოამზადა
**ნიკოლოზ აბაშიძემ**





უკრაინელი ნაციონალისტები

# ვაშინგტონი მზად არის, უკრაინა მოსკოვს დაუთმოს

## ექსპერტმა გააფრთხილა კიევი მოსალოდნელ ცვლილებებზე

**უკრაინელმა პოლიტიკურმა ექსპერტმა დიმიტრი კორნეიჩუკმა უკრაინაში მოვლენების განვითარების ვარიანტებზე ისაუბრა. მან ინტერნეტპორტალ golos.ua-ს განუცხადა, რომ უკრაინა ამოგდებულია აშშ-ის მთავარი პრიორიტეტების სიიდან.**



უკრაინელმა ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა აშშ-ის პრეზიდენტის ცოტა ხნისწინანდელ გამოსვლაზე ნიუ-იორკში გაეროს გენერალურ ანსამბლეაზე. **დონალდ ტრამპმა** თავის სიტყვაში დიდი ყურადღება დაუთმო ირანს და სრულიად უგულებელყო უკრაინის თემა. პოლიტოლოგი დარწმუნებულია, რომ ოფიციალური კიევი ცვლილებებისთვის უნდა მოემზადოს.

„თავის გამოსვლაში ტრამპს არაფერი უთქვამს უკრაინაზე. ამ მომენტში უკრაინა არ შედის აშშ-ის ინტერესების სფეროში, ამერიკის შეერთებული შტატები უკრაინაზე გავლენას რუსეთს უთმობს. ტრამპს განზრახული არ აქვს უკრაინაში მიმდინარე პროცესებზე გავლენის მოხდენა, მათ შორის საპრეზიდენტო არჩევნებზე“, — ასე შეაფასა ვითარება დიმიტრი კორნეიჩუკმა.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

# ევროინტეგრაციას უკრაინაში სულ უფრო ნაკლები ადამიანი უჭერს მხარს

**ფონდმა „დემოკრატიულმა ინიციატივებმა“ და სოციოლოგიის კიევის საერთაშორისო ინსტიტუტმა უკრაინაში ჩაატარეს გამოკითხვა ევროკავშირში ქვეყნის სავარაუდო შესვლით გამოწვეული შედეგების შესახებ. ანალოგიური გამოკითხვა 2015 წელსაც ჩატარდა. ახალმა გამოკითხვამ აჩვენა რესპონდენტების იმედგაცრუება უკრაინის ევროინტეგრაციის პერსპექტივის მიმართ.**

გამოკითხულთა აზრით, ევროკავშირში უკრაინის შესვლის მთავარი უარყოფითი შედეგი იქნება ემიგრაცია ქვეყნიდან. 2015 წელს ასე ფიქრობდა გამოკითხულთა 33%, ამჟამად ეს რაოდენობა 46%-ს უტოლდება.

ევროინტეგრაციის სხვა უარყოფითი შედეგები, უკრაინელთა აზრით, იქნება: **ქვეყანაში მიგრანტების დიდი ნაკადის შესვლა** (ასე ფიქრობს გამოკითხულთა 26%); **რუსეთთან და დსთ-ს ქვეყნებთან ურთიერთობის გაფუჭება** (18%); **ცხოვრების დონის დაქვეითება** (16%); **უმუშევრობის დონის მატება** (16%).



ევროკავშირის წევრობით გამოწვეული დადებითი შედეგები წინა გამოკითხვის შედეგებთან შედარებით უკვე არც ისე მომხიბვლელი ჩანს. საზღვრების თავისუფლად გადაკვეთის შესაძლებლობა მთავარ უპირატესობად დაასახელა გამოკითხულთა 26%-მა, 2015 წელს ეს მონაცემი 40% იყო. ევროპულ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის შესაძლებლობა პირველ ადგილზე დააყენა რესპონდენტების 21%-მა, წინა გამოკითხვისას კი — 24%-მა.

აღსანიშნავია, რომ **მნიშვნელოვნად მოიმატა წილმა იმ ადამიანებისა, რომლებიც ევროინტეგრაციაში დადებითს ვერაფერს ხედავენ, 2015 წელს ასეთი იყო გამოკითხულთა 14%, წელს კი — 26%-ია.**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

სახალხო დიპლომატია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თუ საქართველო მომძლავრდება, ეკონომიკურად წელში გაიმართება, მაშინ, ცხადია, ურთიერთობა აფხაზებთან და ოსებთანაც დათბება, მაგრამ ეს შორეული პერსპექტივაა. შამბას თაობას ჯერ კიდევ ახსოვს, რომ საქართველოს მთავრობაში აფხაზებს ხელმძღვანელი თანამდებობები ეკავათ; ახსოვს, რომ აფხაზეთში არავინ ავიწროვებდა; გვქონდა ნათესაური კავშირები, შერეული ოჯახები და ა.შ.“.**

# აფხაზეთს სხვა გზა, სხვა პერსპექტივა არ აქვს

**ბატონი ნაპოლეონ ქარქაშაძე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი, წლების განმავლობაში საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორი გახლდათ, ამასთანავე, აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა ყოფილ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და იქ განვითარებულ მოვლენებში უშუალოდ მონაწილეობდა. ამიტომ უპრიანია, მას შევაფასებინოთ სერგეი შამბას ამასწინანდელი სენსაციური განცხადება, რომელიც ჩვენი საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში მოექცა.**

— ჯერ შამბას განცხადებას შეგახსენებთ: „საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში ლიდერი ვიყავი, მაგრამ დიალოგზე საუბარი პირველმა დავიწყე“, — თქვა მან რადიოსადგურ „ეხო მოსკვისთვის” მიცემულ ინტერვიუში.

საქართველო მტრად არ მიაჩნია, რადგან იქ მეგობრები ეგულება:

„დიახ, გვქონდა ეთნიკური კონფლიქტიც, მაგრამ დიდწილად ეს პოლიტიკური კონფლიქტი იყო.მე პირველმა დავიწყე საუბარი იმაზე, რომ დროა როგორმე დიალოგი დავიწყოთ და ერთობლივ მომავალზე ვიფიქროთ, იმ გაგებით, რომ მეზობელი ერები ვართ და ჩვენი მეზობლობა ჩვენი ბედისწერაა“.

იგი მიიჩნევს, რომ საქართველოსთან დიალოგის დაწყება შესაძლებელია.

„ვიმედოვნებდით, რომ შევძლებდით საქართველოსთან მოლაპარაკებას, ვფიქრობდით, რომ ურთიერთობის რაღაც ფორმაზე მოვილაპარაკებდით. ფედერაციული ურთიერთობისთვის ვიყავით მზად. მოლაპარაკების პროცესში განვიხილავდით კონფედერაციის ვარიანტსაც. **ევგენი პრიმაკოვის** შუამდგომლობით განიხილებოდა „ერთობლივი სახელმწიფოს“ ვარიანტიც. ძალიან ახლოს ვიყავით შეთანხმებასთან, თუმცა ქართული მხარე ყველაფერზე უარს ამბობდა. ახლა უკვე ძალიან გვიანია. დრო შეიცვალა. ახლა მხოლოდ კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებაზე შეიძლება საუბარი“, — დაასკვნა შამბამ.

შამბა სერიოზული პოლიტიკოსია. მოგეხსენებათ, რომ იყო აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი, პრემიერმინისტრი, უნდოდა პრეზიდენტობაც, მაგრამ არ გამოუვიდა, — **განაცხადა ბატონმა ნაპოლეონმა,** — იგი დღევანდელი აფხაზეთის ერთ-ერთი შემოქმედია. **არძინბას** არ უყვარდა, თუმცა მის პოლიტიკურ წონას ანგარიშს უწევდა. ქართველებმა სხვადასხვანაირად შეაფასეს მისი განცხადება. ჩემი აზრით, შამბამ თქვა, რომ აფხაზეთმა და საქართველომ, როგორც მეზობელმა და დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა, უნდა დავივიწყოთ მტრობა, სიძულვილი და უნდა ვითანამშრომლოთ ერთმანეთთან. იგი არ ფიქრობს, რომ აფხაზეთი ოდესმე დაკარგავს დამოუკიდებლობას, მაგრამ ხედავს სხვა საფრთხეებსაც, რომლებიც მთიელ ხალხთა კონფედერაციის შექმნისთანავე გამოვლინდა.

ჯერ ერთი, შამბა წინააღმდეგი იყო, სოხუმი გამოცხადებულიყო კონფედერაციის დედაქალაქად. მან გააპროტესტა აფხაზეთის მთავართა სასახლის კონფედერაციის მთავარ ოფისად გამოცხადება; არც ის მოსწონდა, რომ საველე შეიარაღებულ რაზმებში მეთაურები ჩრდილოკავკასიელები იყვნენ. სამხედრო მინისტრად ერთი პერიოდი ჩეჩენი **ბასაევი** ჰყავდა, რომელსაც აფხაზებმა მესამე თუ მეოთხე ცოლად ულამაზესი 17 წლის აფხაზი გოგონა „მიართვეს“. ფაქტობრივად, ჩამოსულები უფროსობდნენ აფხაზებს, რომლებსაც თავადაც ძალიან მოსწონდათ უფროსობა.

საველე რაზმებში, რომლებიც უტევდნენ აფხაზეთის მთავრობის სახლს, იყვნენ ყაბარდოელი, ჩერქეზი მეთაურები და მებრძოლები. თითოოროლა აფხაზი თუ ერია მათ შორის. მოედანზე ჩასულ **ჟიული შარტავასა** და სხვებს ისინი ესაუბრებოდნენ. ერთმა ყაბარდოელმა მოსთხოვა **გურამ გაბისკირიას**, რომ დაეჩოქა, რაზეც მიიღო პასუხი „არასოდეს“, და „ბოევიკმა“ იქვე დახვრიტა. მოედანზევე სურდათ სხვების დახვრეტაც, მაგრამ აფხაზებმა არ დაანებეს, სოხუმიდან გაიყვანეს და იქ, გზაში, გამოასალმეს სიცოცხლეს.

**შამბა** მიხვდა, რომ ჩრდილოკავკასიელებს მხოლოდ თავიანთი მიზნები ამოძრავებდათ, მათ უნდოდათ მუსლიმანური სახელმწიფოს შექმნა კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე, ეს კი აფხაზების მიზნებს არ ესადაგებოდა.

მახსენდება შეხვედრა **ზურაბ აჩბასთან,** რომელიც „აიდგილარას“ დამფუძნებელი იყო. შეხვედრა შედგა 1989 წელს, როდესაც ჩვენ ზვიად გამსახურდიასთან და სხვა არაფორმალებთან შესახვედრად თბილისში ჩავიყვანეთ აფხაზები, მათ შორის აჩბაც იყო. ეს მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა, თუმცა მაშინ აფხაზები თანახმანი იყვნენ ლიბერალური კონფედერაციის ფორმატზე. აჩბამ მითხრა: „აფხაზეთში აუცილებლად გავარდება თოფი, მაგრამ არა აფხაზების მხრიდან, ამას მოჰყვება დიდი ომი და სისხლისღვრა, აფხაზეთის გაჩანაგება. მიზანი ქართველებისა და აფხაზების დაპირისპირება და შეურიგებელი მტრობააო.

**— რას მოგვცემდა კონფედერაცია?**

— **კონფედერაციის პირობებში, აფხაზეთს შევინარჩუნებდით ჩვენს ორბიტაზე, რაც რკინიგზის ერთობლივი გაკონტროლების საშუალებას მოგვცემდა; თავიდან ავიცილებდით სამეგრელოში დატრიალებულ სამარცხვინო მოვლენებს და, შესაძლოა, ძმათამკვლელ სამოქალაქო ომსაც.**

აფხაზებს, რუსებისა და ქართველების გარდა, მოსაზღვრედ არავინ ჰყავთ. **არ გაამართლა აფხაზურმა დიასპორამ, რომელიც თურქეთში ეკონომიურად ძალიან მომძლავრებულია: თურქეთიდან ჩამოიყვანეს რამდენიმე ოჯახი და ქართველების მიტოვებულ სახლებში შეასახლეს, მაგრამ ისინი მალევე უკან გაბრუნდნენ. ამასობაში აფხაზეთში ძალიან გაძლიერდნენ სომხები, აფხაზეთის ეკონომიკის 80 პროცენტამდე მათ ხელშია, უკვე მოითხოვეს შესაბამისი კვოტა აფხაზეთის პარლამენტში, ადგილები მთავრობაში და ა.შ. თავად აფხაზებს კი ისეთი მწირი ბიუჯეტი აქვთ, რომ სოხუმის ცენტრში მთავრობის სახლიც ვერ აღადგინეს.**

შამბა და სხვებიც მიხვდნენ, რომ რუსეთს თავისი სერიოზული პრობლემები აქვს და აფხაზებისთვის ნაკლებად „სცხელათ“. რუსეთს, ცხადია, არ სჭირდება მშიერი და უპერსპექტივო აფხაზეთი.



**— გამოდის, აფხაზებს მხარდამჭერი არ ჰყავთ, ამიტომ ხომ არ დაგვიტკბა შამბა?**

— დატკბობამდე შორსაა, მაგრამ, **თუ საქართველო მომძლავრდება, ეკონომიკურად წელში გაიმართება, მაშინ, ცხადია, ურთიერთობა აფხაზებთან და ოსებთანაც დათბება, მაგრამ ეს შორეული პერსპექტივაა. შამბას თაობას ჯერ კიდევ ახსოვს, რომ საქართველოს მთავრობაში აფხაზებს ხელმძღვანელი თანამდებობები ეკავათ; ახსოვს, რომ აფხაზეთში არავინ ავიწროვებდა; გვქონდა ნათესაური კავშირები, შერეული ოჯახები და ა.შ. ჩრდილოკავკასიელებთან კი ასეთი ურთიერთობები ვერ დაამყარეს, მოსკოვშიც უჭირთ ფეხის მოკიდება. ერთი სიტყვით, აფხაზებს, საქართველოს გარდა, სხვა პერსპექტივა, ფაქტობრივად, არ აქვთ.**

ჩემი აზრით, რუსეთს ხელს აძლევს საქართველო, როგორც ქვეყანა, რომელიც მას საფრთხეს არ შეუქმნის; აშშ-ს კი ხელს აძლევს მარიონეტი საქართველო, გვაწვდის იარაღს, წვრთნის ქართულ ჯარს, გვაძლევს კრედიტებს, ჩვენს ხელმძღვანელებს თეთრ სახლში ხვდებიან, მაგრამ ისიც ცხადია, რომ, თუ სიტუაცია აირია, ჩვენი გულისთვის ამერიკა ომს არ დაიწყებს.

**— თემას გადავუხვიოთ და საქართველოს დღევანდელ პრობლემებზე ვისაუბროთ. თქვენ, როგორც სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, რა აზრის ხართ კანაფის (მარიხუანა) დანერგვის შემოგდებულ ინიციატივაზე?**

— მარიხუანას შეიძლება ვუწოდოთ „ნარკოტიკების დედა“. თვით ეს მცენარეც ძალიან საშიშია, იგი არის სათავე ისეთი მოურჩენელი და სასტიკი სენის, როგორიცაა ნარკომანია. რასაკვირველია, მისი დათესვა-მოყვანის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ.

**ვფიქრობ, რომ ის სავარგული (მიწა), რომელზეც კანაფს დათესავენ, რამდენიმე წლით გამოვა მწყობრიდან — ერთწლიანი კულტურების იქ დათესვა შეუძლებელი გახდება, ვინაიდან მიწა, ნიადაგი დაბინძურდება. მიკვირს, რატომ არ გაითვალისწინა მთავრობამ ამ დარგის სპეციალიტების აზრი?!**

**— „პატრიოტთა ალიანსმა“ წამოიწყო სერიოზული მოძრაობა სააკაშვილისდროინდელი დამნაშავე მოხელეების დასასჯელად. როგორ ფიქრობთ, მიაღწევენ მიზანს?**

— ქალბატონი **ირმა ინაშვილი** სერიოზული და სუფთა პოლიტიკოსია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სააკაშვილის რეჟიმის დამხობაში. მან უკვე შეაგროვა 200 ათასზე მეტი ხელმოწერა შესაბამისი მოთხოვნის მხარდასაჭერად. ვფიქრობ, ეს საქმე საშვილიშვილოა და, თუ პარლამენტის წევრები ამას მხარს დაუჭერენ, გმირებად შევლენ ისტორიაში.

მიკვირს, **რატომ არ უნდა დაისაჯონ ის სახელმწიფო მოხელეები, გამომძიებლები და პროკურორები, რომლებიც დღევანდელი ხელისუფლების დროსაც ხელს აფარებენ აშკარა დამნაშავეებს, რომლებმაც ნახევარი საქართველო გაამათხოვრეს?!** 2004 წლიდან ვიბრძვი სიმართლის დასადგენად. გამიხარდა **ბიძინა ივანიშვილის** დაპირება, რომ არც ერთ საქმეს გამოუძიებელს არ დავტოვებთო, წართმეულ ქონებას მფლობელებს დავუბრუნებთო და კიდევ ბევრი სხვა.

70 წლის კაცი 2004 წელს, სააკაშვილის ბრძანებით, შეთითხნილი ბრალდებით ციხეში გამომკეტეს (108 დღე). არ მოერიდნენ არც ჩემს მდგომარეობას (იმხანად სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ვიყავი), არც ჩემს საერთაშორისო იმიჯს, უამრავ ხარისხსა და დიპლომს, ორგზის ორდენოსნობას, მეცნიერებაში სახელმწიფო პრემიის ლაურეატობას. ძირითად საქმეში ვერაფერი რომ ვერ მიპოვეს, ჩამომართვეს მემკვიდრეობით მიღებული ქონება, ჩემს ქალიშვილს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს — საოფისე ფართობი, იძულებით გადამახდევინეს ე.წ. „საპროცესო თანხა“, ფაქტობრივად, ოჯახი გამინადგურეს, საქმე კი დღემდე გამოუძიებელია. აშკარაა, რომ ვიღაც დიდი ავტორიტეტის მქონე უშლის ხელს ამ საქმის გამოძიებას.

**— ახალ მთავარ პროკურორს თუ მიმართეთ, ამბობენ წესიერი კაციაო.**

— რამდენჯერმე მივმართე წერილობით: ბატონო შალვა, დღეს ყველაფერი თქვენს ხელშია, გამოძებნეთ რამდენიმე წუთი, გაეცანით ჩემს საქმეს და მიხვდებით, თუ როგორ შეთხზეს იგი სააკაშვილის ხელქვეითმა პროკურორებმა, როგორ შეასრულეს მისი დავალება ქონების ჩამორთმევაზე მოსამართლე **ტ. ზამბახიძემ,** პროკურორებმა **ვ. ცერცვაძემ**, და **ვ. ხუჭუამ**, როგორ გააჩერეს საქმის გამოძიება სამოხელეო დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში და ა.შ.

ჩემნაირ მდგომარეობაშია ათასობით ადამიანი, რომელთა ქონებაც ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა და ფუჭდება, მაშინ, როდესაც მისი ჩართვა ქვეყნის ეკონომიკისთვის მხოლოდ სარგებელს მოიტანს.

ბოდიშს ვუხდი, თქვენს მკითხველებს, პირად საქმეზე რომ გამექცა სათქმელი.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**«კონფედერაციის პირობებში, აფხაზეთს შევინარჩუნებდით ჩვენს ორბიტაზე, რაც რკინიგზის ერთობლივი გაკონტროლების საშუალებას მოგვცემდა; თავიდან ავიცილებდით სამეგრელოში დატრიალებულ სამარცხვინო მოვლენებს და, შესაძლოა, ძმათამკვლელ სამოქალაქო ომსაც»**



1993 წლის 27 სექტემბერი

„ჩვენ ვართ უდიდესი კულტურის მქონე ერი; ის ქვეყანა, რომელმაც მართლმადიდებლობა, ქრისტეს ცხოვრება ეკლესიების კელდებზე აიტანა; მხატვრობის უძველესი და უდიდესი ტრადიციის ხალხი ვართ“.

ხელოვნება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მატერიალიზებული ლეგენდის უნიკალური ნიმუში


თემო გოცაძე

**საქართველოს სახალხო მხატვარს, თემო გოცაძეს, 26 სექტემბერს შევხვდი ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის გახსნაზე. ვკითხე: — როგორ შეაფასებ-მეთქი ამ მნიშვნელოვან მოვლენას?**
**— ჯერ არ ვიციო, — მომიჭრა. მოკლე პაუზის შემდეგ დაამატა: — დავათვალიერებ ექსპოზიციას და შემდეგ გეტყვიო. ამაზე შევთანხმდით.**
**ორიოდ დღის შემდეგ შევახსენებ დანაპირებს და ბატონი თემო მიპასუხებს:**

— ბევრი ავტორი, ბევრი ნამუშევარი, რომლებიც წარმოდგენილი იყო ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმში, ჩემთვის, ფაქტობრივად, აღმოჩენა იყო, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ვემსახურებოდი საგამოფენო საქმიანობას, როგორც მხატვართა კავშირის მდივანი და მხატვრის სახლის დირექტორი. აღმოვაჩინე, რომ 25 წელიწადი, როცა დახურულ სივრცეში ინფორმაციის სიმწირის გამო დარგის განვითარებისთვის თვალის მიდევნება შეუძლებელი იყო, არაფერი გაჩერებულა, რადგან ვერავინ და ვერაფერი შეაჩერებს შემოქმედებით პროცესს. მიჩნეულია, რომ, როცა ზარბაზნები ქუხან, მუზები დუმან. სინამდვილეში პირიქითაა: მუზები არ დუმან. იმ ზარბაზნების ქუხილს ეწინააღმდეგებიან. წინააღმდეგობა კი ქმნის ჭეშმარიტ ხელოვნებას.

სამხატვრო აკადემიაში გამოცდები რომ ჩავაბარე და ჩავირიცხე, ჩემთვის უდიდესი სიხარული იყო: მივაღწიე ჩემს ნაოცნებარს! აკადემიის დამთავრებაც დიდი სიხარული იყო — პირველი შემოქმედებითი ნამუშევარი „ლურჯა ცხენები“ დავასრულე.

**— „ლურჯა ცხენები“ შედევრია.**

— ეგ სხვამ თქვას... უდიდესი ბედნიერება იყო ჩემი პირველი პერსონალური გამოფენა, დიდი გამოფენა მოსკოვში და ა.შ. სიხარული ბევრი მქონდა.

მაგრამ ვერც ერთი ვერ შეედრება იმ სიხარულსა და ბედნიერებას, იმ განცდას, რომელიც ამ მუზეუმის დათვალიერებისას ვიგრძენი.

**— საოცარია!**

— მსოფლიო მთლიანად მოვლილი არ მაქვს, მაგრამ იმ ქვეყნებში მაინც ვარ ნამყოფი, რომლებშიც სახვითი ხელოვნება პრიორიტეტული იყო და არის. იქაც კი ამ რანგის მუზეუმი შეიძლება ერთი ან ორი იყოს, მუზეუმი რასაც ჰქვია, თავმოყრილი ნაწარმოებებით. ბედნიერი ვარ იმით, რომ დღეის ამას იქით ქართული სახვითი ხელოვნება ერთობლიობაშია წარმოდგენილი. ქართული სახვითი ხელოვნება ერთობლიობაშია წარმოდგენილი.

მართალია, ამ კოლექციას ზოგი მხატვარი აკლია, მაგრამ ერთი კერძო კოლექცია, კერძო მუზეუმი სრულად ვერ აითვისებს ეროვნული კულტურის ისეთ ფენას, როგორიც სახვითი ხელოვნებაა. ამიტომ სწორედ ეს შემთხვევა მაგალითი უნდა გახდეს სახელმწიფოსთვის, თბილისის მერიისთვის მუნიციპალური მუზეუმის შესაქმნელად. უნდა არსებობდეს სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, რომელშიც თავს მოიყრის არა მხოლოდ მხატვრების ნაწარმოებები, არამედ ყველაფერი ღირსეული, რაც კი შეიქმნა მოცემული პერიოდის განმავლობაში. სახელმწიფომ ერთ პიროვნებას არ უნდა აჰკიდოს ამ სახელმწიფოებრივი საქმისა და მოვალეობის უზარმაზარი ტვირთი.

დამიჯერეთ, ის რაც არის, მუზეუმზე მოგახსენებთ, აბსოლუტურად საკმარისია, რომ ნებისმიერმა ქვეყანამ, ნებისმიერმა პიროვნებამ — პროფესიონალებმა თუ საზოგადოებრიობის რიგითმა წევრებმა, თავიდან ბოლომდე დაინახონ თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნება; ირწმუნონ, რომ ჩვენ ვართ უდიდესი კულტურის მქონე ერი; ის ქვეყანა, რომელმაც მართლმადიდებლობა, ქრისტეს ცხოვრება ეკლესიების კელდებზე აიტანა; მხატვრობის უძველესი და უდიდესი ტრადიციის ხალხი ვართ.

სიტყვები ვერ მომიძებნია, რომ გითხრათ, რა რანგის გვირგვინია ის, რაც 26 სექტემბერს გაიხსნა და ზეიმად იქცა.

ერთსაც დავუმატებ: ამის გაკეთება რომ ჩაიფიქრო და შემდეგ მისი შესრულება რომ მოახერხო, პირდაპირ გეტყვით, პიროვნება უნდა იყო, დიდად ნიჭიერი, განათლებული, დიდი უნარისა და შესაძლებლობის მქონე ადამიანი, ნაწარმოებების შერჩევით დაწყებული, შეძენითა და გამოფენით დაგვირგვინებული, ეს მამულიშვილური საქმე ბოლომდე რომ მიიყვანო.

სხვა ისეთი ტანდემი, როგორიცაა მანანა შევარდნაძე და გია ჯოხთაბერიძე, ძნელად წარმოსადგენია. რაც მათ გააკეთეს საქართველოსთვის მიძღვნილი ამ შესანიშნავი საჩუქრით, უტოლდება ისეთი კოლექციების არსებობას, როგორიც, მაგალითად, ტრეტიაკოვის გალერეაა რუსეთში. ეს მუზეუმი დარჩება მომავალ თაობებს, როგორც მატერიალიზებული ლეგენდის უნიკალური ნიმუში.

იგი უტოლდება საქართველოს კულტურის ისტორიაში ისეთ მოვლენას, როგორიც, მაგალითად, თავის დროზე თბილისში ოპერის თეატრის დაარსება იყო...


მანანა შევარდნაძე, ლევან ცუცქირიძე, რადიშ თორდია, დიმიტრი ერისთავი და გია ჯოხთაბერიძე მუზეუმის გახსნის დროს. სერგო ედიშერაშვილის ფოტო

მესამე-მეხუთე სართულების საგამოფენო სივრცის სრულად აღსაქმელად ერთი კვირაც არ გეყოფა. შესწავლასა და გააზრებას გაცილებით მეტი დრო დასჭირდება. წლების წინათ ქართული სახვითი ხელოვნების გრანდიოზული გამოფენა გავაკეთე მოსკოვში. თითქოს ყველაფერი იყო იმ ექსპოზიციაში წარმოდგენილი, მაგრამ ის გამოფენაც კი არ იძლეოდა ისეთ სრულყოფილ ინფორმაციას, რომელსაც ახალი მუზეუმის გახსნილი გამოფენა იძლევა.

ჩვენი უახლესი ისტორიის ურთულესმა პერიპეტიებმა, როცა ბევრი რამ გაქრა და განიავდა, ვერ ჩაკლა სახვითი შემოქმედება. „მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!“ — ასეთი დასკვნის შესაძლებლობას გვაძლევს ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმში წარმოდგენილი ეროვნული განძი.

განძია, აბა, რაა ედმონდ კალანდაძის ნამუშევრების დარბაზი, ზურაბ ნიჟარაძის, დიმიტრი ერისთავის, დიმიტრი ცუცქირიძის ექსპოზიციები. ეს არის თაობა, რომელმაც განაახლა ქართული სახვითი ხელოვნება. ორმოცდაათიანელები არიან ესენი, ომისშემდგომი თაობა. ძალიან მინდოდა, რომ მათ შორის ხიტა ქუთათელაძის ნახატებიც მეხილა, უბრწყინვალესი ფერმწერი იყო და უდიდესი გავლენაც ჰქონდა.

არ არის კი იმიტომ, რომ ნამუშევრების შეძენა ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. მაგალითად, დავით კაკაბაძეს სახლიდან ვერ გამოიტან. არ იყიდება. თუ მუზეუმს გაუკეთებ, მუზეუმში დადებს, მაგრამ არა საერთო ექსპოზიციაში. არის ასეთი ვერშელოვის ტენდენცია.

ამას გარდა, არის ძალიან საინტერესო კერძო კოლექციები, ძალიან დიდი კულტურული ფენა, შრე, რომელიც, დარწმუნებული ვარ, უცნობია ფართო საზოგადოებისთვის.

**— ბატონმა გია ჯოხთაბერიძემ მოახერხა ამ ჩაკეტილი წრის გარღვევა.**

— მაგრამ ცხრაკლიტულში გარკვეული ნაწილი მაინც დარჩა. და ეჭვი მეპარება, ოდესმე გაიხსნას. კერძო საკუთრებაა.

**— ახალგაზრდების ნამუშევრების თაობაზე რას მეტყვით?**

— ნუ მომთხოვთ გამოწვლილვულ პასუხს. შემიძლია მხოლოდ ის ვთქვა, რომ, რაც ერთხელ ჩამოვლით, თანაც პირველად, ვნახე, შესანიშნავია. ჩემი აზრით, ამ სივრცეში სერიოზული სამუშაო უნდა ჩაატარონ ხელოვნებათმცოდნეებმა. რამდენიმე კონფერენცია, შეკრება უნდა მიუძღვნან ამ კოლექციის გარჩევას. სამომავლო საქმეა, სამუზეუმო სამუშაოა და, დარწმუნებული ვარ, განხორციელდება კიდეც.

**— თქვენი თაობა როგორაა წარმოდგენილი?**

— მაქსიმალურად სრულად. ვინც მუშაობდა, ქმნიდა და, რაც ფასეული იყო, ყველაფერი შეძენილია და გამოფენილი. ნეოსტუდიის მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში, რომელიც მუზეუმის შექმნაზეა გადაღებული, ვიგებთ, რა დიდი ძალისხმევა დასჭირდა ბატონ გია ჯოხთაბერიძეს, მხატვრების ნამუშევრების საქართველოდან გადინების გზა რომ გადაელობა — შეეძინა და ჩვენი მომავალი თაობებისთვის შემოენახა. ეს ხდებოდა უმძიმეს, მშიერ-მწყურვალ 90-იან წლებში, როცა, ერთი ხალხური ლექსის გულდაწყვეტილი ავტორის სიტყვების პერიფრაზირებით, დამშრალი იყო ღარიბების ოხერი ბედის წყარო და მის ამოქუხებას პირი არ უჩანდა.

**«ჩვენი უახლესი ისტორიის ურთულესმა პერიპეტიებმა, როცა ბევრი რამ გაქრა და განიავდა, ვერ ჩაკლა სახვითი შემოქმედება. «მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!» — ასეთი დასკვნის შესაძლებლობას გვაძლევს ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმში წარმოდგენილი ეროვნული განძი»**

**ბოლოთქმის ნაცვლად:**

**მხატვრების განწყობილებაზე რომ შევეკითხე, ბატონმა თემო გოცაძემ ასე მიპასუხა:**

— ყველა თაობის მხატვრის ოცნება იყო, გვქონოდა ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმი.

**— ახდა ეს ოცნება?**

— ის, რისი მოწმენიც ვართ, მარტო ოცნების ახდენა არ არის. ეს არის ახალი, გრანდიოზული კულტურული ცენტრის დაბადება.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

## 2019 წლის პირველი იანვრიდან პენსია 20 ლარით მოიმატებს და 200 ლარი იქნება



**2019 წლის ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ „სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფისათვის 2 684.2 მლნ ლარია გამოყოფილი, საიდანაც 1 925.0 მლნ ლარი მიიმართება მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფისთვის, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია პენსიის 20 ლარით მომატება 2019 წლის პირველი იანვრიდან“.**

როგორც ცნობილია, საქართველოში პენსიამ 180 ლარამდე 2016 წლის ივლისიდან მოიმატა. 2017 წლის ბიუჯეტით მიმდინარე საპენსიო უზრუნველყოფაზე გამოყოფილია 1.7 მილიარდი ლარი.

საკითხავი აი ეს არის

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ცალმხრივი მოქმედება აღზრდაში, მარტოდენ გონების ვარჯიში, ხელს არ უწყობს კაცის გაადამიანებას. უსწავლელმა ოთარაანთ ქვრივმა თავისი შვილი ცხოვრების სკოლაში აღზარდა, ცხოვრების მორალი მისცა და ადამიანი გამოიყვანა. რას იძლევა დღევანდელი ცხოვრების სკოლა, მაშინ, როდესაც უცხო ძალის ხელით მართულ ქვეყანაში ხალხი უპირისპირდება ხელისუფლებას ათასგვარი უზნეობის დამკვიდრების მცდელობის გამო?**

# «მათ ხალხისა არაფერი გაეგებათ რა და ხალხს კიდევ ამათი»

# ვინ არიან XXI საუკუნის სახელმწიფო მოხელეები?

**ხალხის მასების საყოველთაო კეთილდღეობის გულწრფელი სურვილი ილია ჭავჭავაძის მეცნიერულ-პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში მკაფიოდ ჩანს. იგი ერთ უმნიშვნელოვანეს დეტალს უსვამს ხაზს, რომელიც დამაფიქრებელი იყო მაშინაც და დამაფიქრებელი იქნება კვლავაც: „ღირსება და სიკეთე რომელიმე მთავრობისა, ხალხისგან ცნობილის და აღიარებულის, თესავს ხალხში იმ სიყვარულის თესლს, რომელიც მეტად სანატრელი უნდა იყოს ცნობიერად მომართულ და მიმართულ სახელმწიფოსათვის. და მარტო ეს სიყვარულია სათავედ ყოველ იმისა, რაც კი შეადგენს სახელმწიფოს ძალასა და ღონეს, იმიტომ, რომ მარტო სიყვარულით აღსავსე ხალხია საიმედო ყოველს განსაცდელში, რაც კი სახელმწიფოს ისტორიის გზაზედ შეემთხვევა ხოლმე; მარტო სიყვარულით გულგამთბარ ხალხს შეუძლიან სიცოცხლისა და ქონების გაწირვა სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის“.**

ქვეყნის მმართველს უნდა ახასიათებდეს „ჭკუა და ზნეობის სიმაღლე“, უნდა იცნობდეს ხალხს და ესმოდეს მისი, მისი ტკივილიცა და გაჭირვებაც, სიხარულიცა და ჩვეულებებიც. XIX საუკუნის საქართველოს მოხელეები **„იმ ჯურიდან ამორჩეულნი არიან, რომელიც სრულიად უცნობია ხალხისა, მისი ცხოვრებისა, სრულიად უცოდინარი ენისა. ამას აუცილებლად ის მოსდევს, რომ მათ ხალხისა არაფერი გაეგებათ რა და ხალხს კიდევ ამათი“. ეს ჩვენთვისაც კარგად ნაცნობი სიტუაციაა:**

ვინ არიან XXI საუკუნის სახელმწიფო მოხელეები? — „მათ ხალხისა არაფერი გაეგებათ რა და ხალხს კიდევ ამათი“.

**მსგავსი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად კი, ილიას ღრმა რწმენით, ცოდნაა საჭირო, რამეთუ „ცოდნა უძლიერესი ფარია არსებობისთვის, ბასრი ხმალია მოგერიებისთვის“, ქვეყნის ერთადერთი ხსნა მცოდნე და განათლებული ადამიანების აღზრდაა, მაგრამ ცალმხრივი მოქმედება აღზრდაში, მარტოდენ გონების ვარჯიში, ხელს არ უწყობს კაცის გაადამიანებას. უსწავლელმა ოთარაანთ ქვრივმა თავისი შვილი ცხოვრების სკოლაში აღზარდა, ცხოვრების მორალი მისცა და ადამიანი გამოიყვანა.**

**რას იძლევა დღევანდელი ცხოვრების სკოლა, მაშინ, როდესაც უცხო ძალის ხელით მართულ ქვეყანაში ხალხი უპირისპირდება ხელისუფლებას ათასგვარი უზნეობის დამკვიდრების მცდელობის გამო?**

ილია ჭავჭავაძემ ცხოვრების დიალექტიკურ წინსვლაში დაინახა ის აუცილებელი ჭეშმარიტება, რომ ცვლილება და განახლება არსებულის მუდმივი თანამგზავრია, რომ წინააღმდეგ მეტაფიზიკისა, ის, რაც გუშინ იყო, დღეს აღარ არის. კარგად ესმოდა, რომ **„ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი, იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჭკნება — იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიმარხოს, არამედ იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება, რომელიც ისევ ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი, თუ უკვდავება უნდა. ცხოვრებასაც აქვს თავისი შემოდგომა და გაზაფხული, როგორათაც ბუნებასა“.**

ილიამ გადაიტანა „მამათა და შვილთა“ ორი ბრძოლა და ორივე შემთხვევაში — 60-იან წლებშიც და 70-იანებშიც — პროგრესულ თვალსაზრისზე იდგა. მთელი 50 წლის მანძილზე იბრძოდა, როგორც ერის წინამძღოლი, რომელსაც ერთი ძირითადი აზრი ასულდგმულებდა — უზრუნველეყო ერის მთლიანობა, არ დაეშვა ძალების გათიშვა.

ილია ჭავჭავაძე განმანათლებელია აღზრდის თეორიაშიც. ის თავის წერილებში ხშირად საუბრობს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაზე, რომლის განმანათლებლური ხედვები ეფუძნებოდა მსოფლიოში ცნობილი პედაგოგების შეხედულებებს. ესენი არიან:

**პიკოდელა-მირანდოლა** — მისთვის მთავარი მოტივი იყო პატივისცემა ადამიანებს შორის;

**ვიტორინო დე-ფელტრე** – XIV საუკუნეში იტალიაში ითვლებოდა პედაგოგიკის მამად. ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საზოგადოებაში განათლების პოზიტიურ, ჰუმანურ ფუნქციას — მოსწავლის „ძვალ-ხორც-ჯანის“ და „ზნე-ხასიათის“ გაწვრთნას;

**პადუის პროფესორი პაოლო ვერჟერიო** და **რომის პედაგოგი მატეო ვეჯიო** – მათი დამსახურებაა ახალი „ჰუმანური პედაგოგიის ჩამოყალიბება“. ვერჟერიოს მიხედვით, განმანათლებლებს მხედველობაში უნდა მიეღოთ მოსწავლის არამარტო ასაკი, არამედ მისი განსაკუთრებული თვისებები. პირველ რიგში მოსწავლეს უნდა ესწავლა ფილოსოფია (თავისუფალი აზროვნებისთვის); მჭევრმეტყველება (აზრის ნათლად და ლამაზად გამოსახატავად); ბუნებისმეტყველება (თავისუფალი მეცნიერების შესასწავლად); ისტორია (დროის განვითარების შესასწავლად).

რაც შეეხება მატეო ვეჯიოს, მისი შეხედულებით, ყველა მოსწავლე ინდივიდუალურია და ბუნებით ერთმანეთისგან განსხვავებული: **„უფრო ადვილია, მზეს შეაცვლევინო გზა, ვიდრე მოინდომო ბავშვის თავისებურების შეცვლა, ამ სხვადასხვაობას უნდა შეეფეროს სხვადასხვა ღონისძიებაც აღზრდისა“.**

**დეზიდერი ერაზმი როტერდამელი** – ეს უკვე XV საუკუნის 60-იანი წლებია. ილია ჭავჭავაძის აზრით, „როტერდამელმა საბოლოოდ „დაჰფუშა“ ძველი სქოლასტიკური სისტემა სკოლისა“. ერაზმი არ ეთანხმება ვეჯიოს, რომელიც ბავშვის განსაკუთრებულ ბუნებრივ თავისებურებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, და ამტკიცებს, რომ „წვრთნას“ შეუძლია მოსწავლის თავისებურებები სრულად გარდაჰქმნას: **„აღზრდამ და წვრთნამ ბავშვი მთლიანად უნდა ჩაიგდოს ხელში პირველივე ხანებიდან და ყოველ მის წინ გადადგმულ ნაბიჯს უწინამძღვროს“.**

**ფრანსუა რაბლე** — XVI საუკუნის 30-იან წლებში ან ჩამოაყალიბა განათლების ახალი თეორია, რომლის ძირითადი იდეების რეპრეზენტირება მოახდინა თავის ნაწარმოებში „გარგანტუა და პანტაგრუელი“. რაბლე ეწინააღმდეგებოდა **„წიგნების წყალსავით დასწავლას და არა გაგებას საგნისა“.** მისი აზრით, მოსწავლემ რაც შეიძლება ნაკლები დრო უნდა დაჰყოს „ოთხ კედელს შუა“, სწავლების ძირითადი დრო უნდა მიმდინარეობდეს გარეთ — „ჰაერზე“.

ამდენად, შემთხვევითი არ არის, რომ ამ განმანათლებელი პედაგოგების მსგავსად, ილიას პედაგოგიურ შეხედულებებში ძირითადი ადგილი **მორალური და ეთიკური** ზემოქმედების პრინციპს უკავია.

**„იგი ავტორები, რომელთაც ზემოთხსენებული გვაუწყეს, ყველამ იცის სწავლების შინაარსი, ამიტომ ჩვენც ეხლანდელი სკოლის ნაკლუვანება და არა ერთი და ორი ცვლილება უნდა შევავსოთ. შემცვლელთა და შემავსებელთა ყური უნდა ვათხოვოთ ისტორიას, ზოგიერთი შევითვისოთ ამ დიდ-ბუნებოვან ჰუმანისებ — პედაგოგებისა“**, — დასძენს ილია.

**ილია ეთანხმება იმ აზრს, რომ თავისუფალი არსება თავისუფლად უნდა იზრდებოდეს.** გასული საუკუნის 90-იანი წლების სკოლას ილია ჭავჭავაძე იმას უსაყვედურებს, რომ მან პრაქტიკული საქმიანობიდან განდევნა **ბავშვის აღზრდის მორალური და ეთიკური პრინციპი იმ დროს, როცა უდიდესი ადგილი დაუთმო მეცნიერებათა ცალკე დარგების შესწავლას.** ცალმხრივი მოქმედება აღზრდაში, მარტოდენ გონების ვარჯიში, ხელს არ უწყობს კაცის გაადამიანებას. უსწავლელმა ოთარაანთ ქვრივმა თავისი შვილი ცხოვრების სკოლაში აღზარდა, მორალური კოდექსების ნაცვლად ცხოვრების მორალი მისცა და ადამიანი გამოიყვანა.

დაწყებითმა განათლებამ საძირკველი უნდა შექმნას მოზარდის შემდგომი განათლებისთვის: **„პირველდაწყებით სკოლაშიც კი, შესაძლოა, იხეიროს ყოველ იმ მოზარდმა ნერგმა კაცის ბუნებისამ, რომელიც ერთად გამოიტანს ხოლმე ნაყოფს კაიკაცობისას, ადამიანობისას“.**

სწორედ ამ ნაყოფს იძლეოდა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ — ხალხურობის სულისკვეთებით განმსჭვალული ქართული ენის ორიგინალური სახელმძღვანელო დაწყებითი სკოლებისთვის, რომელშიც მოცემულია საყმაწვილო მხატვრული თხზულებები, ხალხური შემოქმედების ნიმუშები და საბუნებისმეტყველო, გეოგრაფიული, ისტორიული და ეთნოგრაფიული შინაარსის მეცნიერულ-პოპულარული წერილები. ამ სახელმძღვანელოზე იზრდებოდნენ ადამიანები, რომლებმაც პირველად ამ წიგნით შეიგრძნეს „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი“ და შემდეგ იმავე სამშობლოსთვის იღვაწეს თუ თავი გაწირეს და ნათელი კვალი დატოვეს საქართველოს ისტორიაში.

**„სწავლა და განათლება უფესვოა იქ, საცა უდიდესი ნაწილი ხალხისა კარდახშულია, მოკლებულია სწავლის სახსარსა“**. ილია რეალურ სურათს ხატავდა, თუ რა მდგომარეობა იყო საქართველოს სკოლებში იმხანად. ხაზს უსვამდა, რომ საშუალო სკოლები მხოლოდ შეძლებული ადამიანებისთვის არსებობდა — თავად-აზნაურების შვილებისთვის, რომლებიც საზოგადოების მცირე ნაწილს წარმოადგენდნენ. ქვეყნის ძალა და ღონე კი უბრალო ადამიანები იყვნენ და არიან ყოველთვის, რომლებსაც იმხანად არანაირი საშუალება არ ეძლეოდათ განათლების მისაღებად.

მაგრამ მალე სკოლების გახსნა-დაარსებას სისტემური სახე მიეცა, ადამიანები ფიქრობდნენ სწავლა-განათლებაზე. ილიას ძალიან ახარებდა ეს ფაქტი.

**ცხოვრება წარმოშობს მეცნიერებასა და ხელოვნებას, რომლებიც მხოლოდ ცხოვრებისათვის არსებობს. ცხოვრებას წინ მიჰყავს ისინი, თავის მხრივ, ისინიც წინ უბიძგებენ ცხოვრებას. მეცნიერება და ხელოვნება გავლენას ახდენს, ცვლის ხალხის მდგომარეობას. ეს იყო სრულიად ახალი, მანამდე უცნობი იდეები საქართველოს სინამდვილისათვის, ახალი მეცნიერული ჭეშმარიტებანი, რომლებსაც გზა უნდა გაეკვალა და აღიარება ეპოვა ხალხის გულში.**

**ილია ცოდნას არსებობისთვის უძლიერეს ფარად მიიჩნევს, ხოლო ბასრ ხმალს — ავისმდომთა მოსაგერიებელ იარაღად,** გამოდის, რომ დღეს ფარხმალდაყრილი ერი ვართ, რომელიც სულს ღაფავს, რადგან წლებია, მავანნი სწორედ იმ საძირკვლის მორყევით არიან დაკავებულნი, რომელსაც განათლება და ცოდნა ჰქვია. და თუ მისი მოშლა ვერ მოახერხეს, ეს იმ მართლაც მამულიშვილი პედაგოგების დამსახურებაა, რომლებიც დღევანდელ სკოლას აძლიერებენ.




**«პირველდაწყებით სკოლაშიც კი, შესაძლოა, იხეიროს ყოველ იმ მოზარდმა ნერგმა კაცის ბუნებისამ, რომელიც ერთად გამოიტანს ხოლმე ნაყოფს კაიკაცობისას, ადამიანობისას». სწორედ ამ ნაყოფს იძლეოდა იაკობ გოგებაშვილის «დედა ენა»**

**ილია ცოდნას არსებობისთვის უძლიერეს ფარად მიიჩნევს, ხოლო ბასრ ხმალს — ავისმდომთა მოსაგერიებელ იარაღად, გამოდის, რომ დღეს ფარხმალდაყრილი ერი ვართ, რომელიც სულს ღაფავს, რადგან წლებია, მავანნი სწორედ იმ საძირკვლის მორყევით არიან დაკავებულნი, რომელსაც განათლება და ცოდნა ჰქვია**

რუბრიკას უძღვება
**დარეჯან ანდრიაძე**

**პლატონ იოსელიანი: „ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიაში თბილისის მოსახლეობა მოდის წმინდა კვირის ორშაბათს. ეკლესია მდებარეობს მტკვრის მარცხენა მხარეს, დიდუბის ველზე, ორ გერმანელთა კოლონიას შორის. ყოფილი სოფელი დიდუბე ლეკების შემოსევის გამო დაცარიელდა ერეკლე II-ს გამეფებამდე და ამ სოფლის მაცხოვრებლების ნაწილი თბილისის შემოგარენში დასახლდა, ე. წ. კუკიასა და ჩუღურეთში, რომლებიც დღეს თბილისის უბნებს წარმოადგენენ. დღეისათვის ამ ეკლესიას არა აქვს გუმბათი“.**

დედაქალაქის ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნაძალადევი

**ნაძალადევი თბილისის ერთ-ერთი ძველი უბანია. ის ქალაქის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში, ახლანდელი გლდანი-ნაძალადევის რაიონში მდებარეობს.**
**ქალაქის ამ ნაწილში „ძველი ნაძალადევი“ XIX საუკუნის 80-იან წლებში გაჩნდა, როცა რკინიგზის მუშებმა 1870 წლიდან ივერიის ღვთისმშობლის ხატის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიწყეს დასახლება.**


რკინიგზის სადგური

რკინიგზის გაყვანის შემდეგ ეს ტერიტორია ცალკე უბნად გამოიყო და მას ნაძალადევი ეწოდა. ოფიციალური ხელისუფლება არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მის კეთილმოწყობას. XX საუკუნის დასაწყისში ტყის მეორე მხარესაც აღმოცენებულა ასეთივე დასახლება — „ახალი ნაძალადევი“.

ამ ტყემ, მტკვრის მარცხენა სანაპიროს ფერდობზე გაშენებულმა მწვანე მასივმა, დღემდე **ხუდადოვის ტყის** სახელწოდებით მოაღწია. ნიკოლოზ ხუდადოვი გახლდათ ექიმი, ქალაქის სათათბიროს წევრი. ის ნაძალადევში მდებარე ტუბერკულოზით დაავადებულთა საავადმყოფოს ხელმძღვანელობდა და უნდოდა, კლინიკის გარშემო ჰაერი გაჯანსაღებულიყო, ამიტომაც მთის ფერდობების გამწვანება გადაწყვიტა. მის ინიციატივას ნაძალადევში მცხოვრები მუშები გამოეხმაურნენ. 1893 წელს, ექიმ ნიკო ხუდადოვის ინიციატივით, სახაზინო მიწაზე ტყის გაშენება დაიწყეს. თბილისის მცხოვრებლებმა ტყეს იმთავითვე ხუდადოვის სახელი შეარქვეს.

მოგვიანებით ტყე რევოლუციონერი მუშების შეკრების საყვარელ ადგილად ქცეულა. ალბათ, ამის გამოა, რომ დღემდე ნიკო ხუდადოვი ბევრს რევოლუციონერი ჰგონია.

ნაძალადევის რკინიგზის სახელოსნოები თბილისის პროლეტარიატის საბრძოლო სკოლად იქცა. აქ 1900 წლის ზაფხულში რევოლუციურად განწყობილი მუშის — ს. აზმაიფარაშვილის სახლის სარდაფში მოეწყო ამიერკავკასიაში პირველი არალეგალური სტამბა, სადაც იბეჭდებოდა საბრძოლო მოწოდებები და პროკლამაციები. 1905 წლის დეკემბერში საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის პირველი დღეებიდან ნაძალადევში ხელისუფლება აჯანყებული პროლეტარიატის ხელში გადავიდა. მუშური ნაძალადევი მოკლე დროით „რესპუბლიკა“ გახდა. მუშები იარაღდებოდნენ, გაფიცვა შეიარაღებულ აჯანყებაში უნდა გადაზრდილიყო. მეფის მთავრობამ რეპრესიებს მიმართა — რკინიგზაზე სამხედრო წესები გამოცხადდა. 17 დეკემბერს ჯარებმა ნაძალადევს ალყა შემოარტყეს. ხელისუფლებამ ცხენოსანი ნაწილები და არტილერია გამოიყენა. უთანასწორო ბრძოლაში მთავრობამ 1 000-მდე ჯარისკაცი გამოიყვანა ზარბაზნებითა და ტყვიამფრქვევებით, აჯანყებულთა რაოდენობა კი ხუთას კაცს არ აღემატებოდა და მათგან მხოლოდ 200 იყო შეიარაღებული. შეტაკებაში მძიმედ დაიჭრა სიმონ ტერ-პეტროსიანი, იგივე კამო, რომელიც შემდგომ დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში გადაიყვანეს. ცნობილი ფაქტია, რომ შეტაკებაში დაიღუპა 9 მუშა, რომლებსაც სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ „სხივის“ 1906 წლის პირველი იანვრის ნომერი სახალხო მილიციელებად მოიხსენიებდა. მაშინდელმა მთავრობამ დაღუპულების დაკრძალვის სამგლოვიარო პროცესის მოწყობა აკრძალა და დაღუპული მუშები მათმა მეგობარმა რევოლუციონერებმა კუკიაზე, საძმო საფლავში დაკრძალეს.

ნაძალადევში დაიწყო რევოლუციური მოღვაწეობა სტალინმაც. აქ რკინიგზის სახელოსნოებში მუშაობდნენ და რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდნენ სხვა ცნობილი რევოლუციონერებიც.

* * *

**ნაძალადევის რაიონშია ივერიის ღვთისმშობლის ხატის ეკლესია.**

1866 წელს პლატონ იოსელიანი თბილისის სიძველეთა აღწერისას ივერიის ღვთისმშობლის ხატის ეკლესიის შესახებ წერს: **„ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიაში თბილისის მოსახლეობა მოდის წმინდა კვირის ორშაბათს. ეკლესია მდებარეობს მტკვრის მარცხენა მხარეს, დიდუბის ველზე, ორ გერმანელთა კოლონიას შორის. ყოფილი სოფელი დიდუბე ლეკების შემოსევის გამო დაცარიელდა ერეკლე II-ს გამეფებამდე და ამ სოფლის მაცხოვრებლების ნაწილი თბილისის შემოგარენში დასახლდა, ე. წ. კუკიასა და ჩუღურეთში, რომლებიც დღეს თბილისის უბნებს წარმოადგენენ. დღეისათვის ამ ეკლესიას არა აქვს გუმბათი“.**

საზოგადო მოღვაწის გრიგოლ ჩარკვიანის მოთავეობით, XIX საუკუნის 90-იან წლებში გუმბათჩამოქცეული ეკლესიის ადგილას დაიწყეს ახალი ეკლესიის მშენებლობა, რომელიც 1899 წლის 25 თებერვალს დამთავრდა. გრიგოლ ჩარკვიანის ინიციატივით, ტაძარში საკვირაო სკოლაც გაიხსნა.


მიხეილ მახათაძე

როგორც ცნობილია, იმ პერიოდში საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია დაკარგული ჰქონდა და რუსეთის ეკლესიას ექვემდებარებოდა, ამიტომ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში თბილისში ეკლესიები რუსეთის ტაძრების მიბაძვით შენდებოდა. ივერიის ღვთისმშობლის ხატის ეკლესიის ძველი ფოტოს მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ეკლესია აშენებული იყო ფსევდო კლასიცისტური და ბიზანტიური არქიტექტურის ნაზავი ეკლექტიკური სტილით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ტაძრის წინამძღვარი **მიხეილ მახათაძე** იყო. კომუნისტებმა თოთხმეტი შვილის მამა განდევნეს ეკლესიიდან, წაართვეს საცხოვრებელი ბინა და ორ ოთახში შეასახლეს. ბოლოს მამა მიხეილი სიონში წირავდა, იგი 100 წლისა 1951 წელს გარდაიცვალა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეკლესია გაუქმდა. 1925 წელს მასში განთავსდა წინდების საქსოვი საწარმო, 1927-1929 წლებში კი გადააკეთეს საზოგადოებრივ აბანოდ.

თბილისის ცენტრალურ არქივში 1928 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ საბუთში უკვე გაუქმებული ივერიის ღვთისმშობლის ხატის ეკლესიის საფლაოს შესახებ საინტერესო ინფორმაციას ვკითხულობთ: **„11-ტე მილიციის უფროსს გაცნობებთ, რომ ლენინის უბანში მდებარე ეკლესიის ადგილზე ჩვენ ვაშენებთ აბანოს, რომლისათვისაც საძირკველის ჩაყრის გამო საჭირო ხდება იქვე ეკლესიის გალავანში დამარხული მიცვალებულების გვამების გადატანა. ჩვენ უკვე დავიწყეთ ნებართვების გაცემა ჭირისუფლებზე. დღემდე გავეცით ნებართვა ექვსი მიცვალებულის გადასვენებაზე. გევალებათ, თვალყური ადევნოთ, რათა უჩვენოთ არც ერთი მიცვალებული არ იქნეს გადასვენებული და თვით გადასვენება ხდებოდეს საღამოობით ყოველივე ხალხის შეკრების და პროცესიების მოწყობის გარეშე“.**

1989 წელს მერაბ კოსტავას და გიორგი ჭანტურიას ინიციატივით დაიწყო ტაძრის რესტავრაცია.

ამჟამად ძველი ეკლესიის მხოლოდ დასავლეთი კედელია შემორჩენილი, საიდანაც ეკლესიის მთავარი შესასვლელია. ეკლესია აგურითაა ნაშენი. დასავლეთის მხრიდან შესასვლელის თავზე მოთავსებულ ქვის ბარელიეფზე გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით ხელში. ივერიის ღვთისმშობლის ხატის გუმბათიანი ტაძარი აშენებულია შუასაუკუნეების ქართული და ნაწილობრივ ბიზანტიური არქიტექტურის ფორმებისა და ელემენტების გათვალისწინებით.

ივერიის ღვთისმშობლის ახალაშენებული ტაძრის ეზოში 1991 წელს წმინდა მთავარანგელოზთა სახელობის მცირე სამლოცველო აიგო.

2003 წელს ტაძრის ეზოში, აღმოსავლეთით, დაარსდა ივერიის ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლა.


ივერიის ღვთისმშობლის ხატის ეკლესია



კონფესიები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ანგლიკანურ ეკლესიას კატასტროფა ემუქრება, რადგან ახალგაზრდების მხოლოდ 2% მიიჩნევს თავს ამ ეკლესიის მრევლის წევრად, ხოლო 10-დან 7 ადამიანი, 24 წელზე ახალგაზრდა, ამბობს, რომ არ აღიარებს არც ერთ რელიგიას... ეკლესიას სასულერო პირების მიერ ჩატარებულ მსახურებაზე დასასწრებად სულ უფრო ცოტა ადამიანი სტუმრობს. კვლევის შედეგების თანახმად, 2017 წელს გამოკითხულთა 52% თავს არ მიაკუთვნებს არც ერთ კონფესიას, 2002 წელს კი ასეთი ადამიანების რაოდენობა 41% იყო.**

# American Conservative: ღმერთის კასტრაცია ანგლიკანურ ეკლესიაში

**ამერიკული გამოცემა „ამერიკენ კონსერვატივის“ უფროსი რედაქტორი, ცნობილი მწერალი, რომელმაც კათოლიციზმი უარყო და მართლმადიდებელი გახდა, როდ დრეერი სარკაზმით ხაზს უსვამს ორ ახალ ამბავს ანგლიკანურ ეკლესიაში ვითარების წარმოსაჩენად: პირველი — ეს არის გლოსტერის ქალი ეპისკოპოსის, რეიჩელ ტრევიკის, განცხადება, რომ ღმერთის ხსენებისას მამრობითი სქესის აღმნიშვნელი ნაცვალსახელი არ უნდა გამოვიყენოთ, რადგან ამის გამო არაქრისტიანებს ეკლესია შესძულდებათ; მეორე — დიდ ბრიტანეთში მორწმუნეთა რაოდენობა სწრაფი ტემპით მცირდება.**


გლოსტერის ეპისკოპოსი რეიჩელ ტრევიკი (მარცხნივ) და კენტენბერიის არქიეპისკოპოსი (შუაში)

„ინგლისის ეკლესიის საქმეები ყოველდღე „უმჯობესდება“. გლოსტერის (გლოსტერშირის საგრაფო, ინგლისი — ნ.კ.) ეპისკოპოსმა **რეიჩელ ტრევიკმა**, რომელიც პირველი ქალი-ეპისკოპოსია ანგლიკანურ ეკლესიაში, განაცხადა: „მე არ მინდა, რომ პატარა ბიჭებსა და გოგონებს გამუდმებით ესმოდეთ, როგორ ვუწოდებთ ღმერთს მამას“. მან დასძინა, რომ „ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენს მეტყველებას“.

ტრევიკმა შეშფოთება გამოხატა იმის გამო, რომ არაქრისტიანებს შეიძლება შესძულდეთ ეკლესია, თუკი საჯარო განცხადებაში გამოვიყენებთ მხოლოდ მამრობითი სქესის აღმნიშვნელ სიტყვას.

**„თქვენ, მაგალითად, შედიხართ ვებგვერდზე და ხედავთ, რომ ღმერთს გამუდმებით მოიხსენიებენ მამრობით სქესში, როდესაც თქვენ ხედავთ ნახატებს, რომლებზეც გამოსახულია მხოლოდ თეთრკანიანი ადამიანები — ეს ყველაფერი სიგნალს აძლევს ადამიანებს ქვეცნობიერის დონეზე, და ამიტომ მოვითხოვ, რომ მკაცრად გავაკონტროლოთ, დავუკვირდეთ, რასაც ვამბობთ“,** — განაცხადა რეიჩელ ტრევიკმა.

დორკინგის (სურეის საგრაფო — ნ.კ.) ეპისკოპოსი **ჯო ბეილი უელსი** მიიჩნევს, რომ „მამრობითი სქესის გამოყენების პრობლემა წარმოადგენს მწვავე პრობლემას, რადგან ამჟამად სიტყვების გამოყენება უფრო დაბალანსებულია გენდერული კუთხით“.

**აი მეორე ახალი ამბავი:**

**ანგლიკანურ ეკლესიას კატასტროფა ემუქრება, რადგან ახალგაზრდების მხოლოდ 2% მიიჩნევს თავს ამ ეკლესიის მრევლის წევრად, ხოლო 10-დან 7 ადამიანი, 24 წელზე ახალგაზრდა, ამბობს, რომ არ აღიარებს არც ერთ რელიგიას.**

ანგლიკანური ეკლესიის მიმდევართა რაოდენობა სარეკორდოდ დაბალია ყველა ასაკობრივ ჯგუფში და, 2002 წელთან შედარებით ეს რაოდენობა ორჯერ შემცირდა. ამას მიუთითებს ბრიტანელთა სოციალური ქცევის კვლევა. ამასთანავე, **ეკლესიას სასულიერო პირების მიერ ჩატარებულ მსახურებაზე დასასწრებად სულ უფრო ცოტა ადამიანი სტუმრობს. კვლევის შედეგების თანახმად, 2017 წელს გამოკითხულთა 52% თავს არ მიაკუთვნებს არც ერთ კონფესიას, 2002 წელს კი ასეთი ადამიანების რაოდენობა 41% იყო.** ყველაზე მაღალი მაჩვენებლი კი აღინიშნა 2016 წელს, როდესაც გამოკითხულთა 53%-მა განაცხადა, რომ არც ერთი რელიგიის მიმდევარი არ არის.

გამოკითხვის შედეგები ძალიან არასახარბიელოა ეკლესიისთვის. ახალგაზრდების სულ უფრო მცირე რაოდენობა თვლის თავს ანგლიკანური ეკლესიის მიმდევრად და ხანშიშესული ადამიანებიც კი არ მიილტვიან რელიგიის რომელიმე ორგანიზებული ფორმისკენ. ეს ტენდენცია მიუთითებს იმაზე, რომ წლების შემდეგ მომავალი თაობა კიდევ უფრო დაშორდება ანგლიკანურ ეკლესიას და მას მხოლოდ ენაში გენდერული ბალანსის დაცვა „უშველის“!

**გამოკითხვის შედეგები ძალიან არასახარბიელოა ეკლესიისთვის. ახალგაზრდების სულ უფრო მცირე რაოდენობა თვლის თავს ანგლიკანური ეკლესიის მიმდევრად და ხანშიშესული ადამიანებიც კი არ მიილტვიან რელიგიის რომელიმე ორგანიზებული ფორმისკენ. ეს ტენდენცია მიუთითებს იმაზე, რომ წლების შემდეგ მომავალი თაობა კიდევ უფრო დაშორდება ანგლიკანურ ეკლესიას**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# კითირის მიტროპოლიტის განცხადება მსოფლიო საპატრიარქოს მიერ უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების გამო

**ალექსანდრე სტეფანოპულოსი ნიუ-იორკში მცხოვრები ბერძენი ჟურნალისტია, რომელიც 1985 წლიდან მუშაობს საეკლესიო და, საერთოდ, რელიგიურ თემატიკაზე და აშუქებს მის მიერ შექმნილი სააგენტო Greek American News Agensy-ს ვებგვერდზე. 2018 წლის 14 სექტემბერს, მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ტერიტორიაზე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ანტიკანონიკური ჩარევის შემდეგ, გაიმართა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის რიგგარეშე სხდომა, რომელზეც მიღებული იყო გადაწყვეტილება, „ღვთისმსახურებისას ლოცვებში შეწყდეს კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართოლომეოსის მოხსენიება“. ამ სამწუხარო მოვლენების კომენტირება ბატონმა სტეფანოპულოსმა სთხოვა კითირის მიტროპოლიტ სერაფიმეს. მისი უწმინდესობის პასუხი ბერძენი ჟურნალისტის შეკითხვაზე ვებგვერდ provoslavie.ru-ზე გამოქვეყნდა.**



„ღრმად შემძრა რუსეთის საპატრიარქოს მხრიდან საეკლესიო ურთიერთობის შეწყვეტამ მსოფლიო საპატრიარქოსთან, სამწუხარო და სავალალო შედეგი გამოიწვია მსოფლიო საპატრიარქოს გაჯიუტებამ უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების თემაზე. ეს არ არის აღიარებული წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ, ანუ ყველა მართლმადიდებელი საპატრიარქოსა და ადგილობრივი ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ. და ეს ეკლესია წარმოადგენს უკრაინელი ხალხის უმნიშვნელო რაოდენობას.

**მსოფლიო საპატრიარქო ბოლო პერიოდამდე აღიარებდა მხოლოდ უკრაინის კანონიკურ მართლმადიდებელ ეკლესიას მიტროპოლიტ ონოფრეს ომოფორის ქვეშ, ახლა კი, რაღაც მიზეზებიდან გამომდინარე, სურს, უკრაინელ „რასკოლნიკებს“ ავტოკეფალია მისცეს და უგულებელყოს უკრაინის კანონიკური არქიეპისკოპია, რომელსაც მოსკოვის საპატრიარქოსთან ერთად აღიარებენ სხვა მართლმადიდებელი ეკლესიები.**

განხეთქილების შემომტანი, როგორც ცნობილია, ეკლესია არ არის და **განხეთქილების შემომტანებთან ურთიერთობა ეწინააღმდეგება სჯულის წმინდა კანონებს. მაშ, რისთვისაა ეს სიჯიუტე მსოფლიოს პატრიარქ ბართოლომეოსის მხრიდან უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების თაობაზე, რაც გამოიწვევს ერთიანი მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის გახლეჩას?** განა საკმარისი არ არის დუღილი, ქარიშხლები და მღელვარებები, რომლებიც გამოწვეული იყო და ახლაც გამოწვეულია კრეტაზე გამართული კრების (2016 წ.) ე.წ. დიდი საეკლესიო კრების დადგენილებით?

განა ამ სჯულის კანონზე მაღლა არ დადგა კონსტანტინეპოლის საპატრიარქო, როდესაც თავისი გადაწყვეტილებით კლირიკებს ნება დართო, მეორედ იქორწინონ?! განა ამ სინოდის დადგენილების — „ქორწინების საიდუმლო და მისი წინააღმდეგობები“ საბოლოო ტექსტის მე-4 პარაგრაფში „ქორწინების წინააღმდეგობები“ სიტყვასიტყვით ჩაწერილი არ არის შემდეგი: **„მღვდელმსახურება, როგორც ასეთი, არ არის წინააღმდეგობა ქორწინებისთვის, მაგრამ, მოქმედი კანონიკური ტრადიციის მიხედვით (ტრულის კრების მესამე კანონი), კლირიკებს ქიროტონიის (ხელდასმის) შემდეგ ქორწინება ეკრძალებათ“?!**

ჩვენ, კითირისა და ანტიკითირის მიტროპოლიები, მივმართავთ მოწოდებითა და გულითადი თხოვნით მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქს, მართლმადიდებულ ეკლესიაში ახალი განხეთქილების თავიდან ასაცილებლად უკან დაიხიოს.

ნაცვლად ერთობლივი ლოცვებისა, რომლებსაც მსოფლიო პატრიარქი ბოლო პერიოდში რომის პაპთან და სხვა სარწმუნოების მეთაურებთან ერთად აღავლენს, რომლებიც არა მხოლოდ სრულიად უსარგებლოა, არამედ გამოცდის წინაშე აყენებს მართლმადიდებლობის სრულყოფილებას, ხომ არ სჯობს, იქადაგოს მონანიება და ყველაფრის დაბრუნება მართლმადიდებლური სარწმუნოების საწყისებთან, იესო ქრისტეს სწავლებასთან, წმინდა მოციქულების, ღირსი მამების სწავლებებთან?

აი რა უნდა გიპასუხოთ მოკლედ თქვენ, ბატონო სტეფანოპულოსო, იმ კითხვაზე, რომელიც დამისვით. მე გულწრფელად ვუსურვებ გონიერებასა და მხნეობას ჩვენი ეკლესიის მეთაურებს ამ სულიერი კრიზისის დასაძლევად, აგრეთვე, ქრისტეს მართლმადიდებელი საწმყსოს ერთიანობისთვის მტკივნეული შედეგების დასაძლევად. ყველას უნდა ახსოვდეს მჭევრმეტყველ **იოანე ოქროპირის** სიტყვები:

„განხეთქილებას ტანჯვითა და სისხლით ვერ ჩამოიბან“.

მოამზადა
**ნიკოლოზ აბაშიძემ**

**ცნობისთვის: კითირის მიტროპოლიტი სერაფიმე (სტერგიულისი) დაიბადა 1950 წელს. 1978 წელს დაამთავრა თესალონიკის უნივერსიტეტის საღვთისმეტყველო ფაკულტეტის მაგისტრატურა სპეციალობით „სისტემური ღვთისმეტყველება“. 1979-2005 წლებში მსახურობდა მოძღვრად ეგინის მიტროპოლიაში. 2005 წელს აირჩიეს ეპისკოპოსად და დანიშნეს კითირის მიტროპოლიტად.**

მეცნიერება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს, როცა საზოგადო სივრცეში პოლიტიკური საკითხების ბუმია, წმინდა ჰუმანიტარული საკითხების დომინირება თბილისის კონგრესზე განსაკუთრებით ფასეულად უნდა მივიჩნიოთ.**

# ტრადიციისკენ შემობრუნება

## ჩვენსა და კავკასიელებს შორის ჩამტყდარი ხიდი თავიდან შენდება



**გასულ კვირაში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამართეს საერთაშორისო ქართველოლოგიური მეორე კონგრესი, რომელიც ჩვენი „ალმა მატერის" 100 წლის იუბილეს მიეძღვნა. 27 სექტემბერს კონგრესის პლენარული სხდომა გახსნა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ, ძირითადი მოხსენება წარადგინა აკადემიის ვიცეპრეზიდენტმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა, რომელიც კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტს ხელმძღვანელობდა, თანათავმჯდომარესთან, თსუ-ს რექტორ გიორგი შარვაშიძესთან ერთად.**
**ამ ფრიად მნიშვნელოვან მოვლენაზე „საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრა პროფესორი ვალერი ასათიანი.**

— კონგრესი ძალზე სოლიდური იყო, უწინარესად, იმ თვალსაზრისით, რომ წიგნად გამოიცა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მოხსენებები, იყო წარმომადგენლობითი. განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ სტუმართა შორის ჭარბობდა ჩვენი მეზობელი ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების წარმომადგენლობა. ეს, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან მოწმობს, რომ ხდება იმ ტრადიციების განახლება, რომლებიც კავკასიის ხალხებთან გვაკავშირებს. ჩვენი სტუმრები აღნიშნავდნენ საქართველოს, კერძოს, თბილისის განსაკუთრებულ როლს კავკასიის სამეცნიერო-კულტურულ სივრცეში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქართული მეცნიერული სკოლების უდიდეს წვლილს მეცნიერების სხვადასხვა დარგში კადრების მომზადების საქმეში. იმ ნეგატიური პერიპეტიების მიუხედავად, რომლებიც 90-იან წლებსა და მომდევნო პერიოდში განვითარდა ჩვენს რეგიონში, საქართველოს დედაქალაქს ისინი კვლავაც მიიჩნევენ კავკასიის კულტურულ-სამეცნიერო ცენტრად. გამომსვლელები ჩეჩნეთიდან, ყაბარდოდან, ადიღედან თუ სხვა რესპუბლიკებიდან მადლიერებით იხსენებდნენ იმ ჩვენს მეცნიერებს, რომელთა ღვაწლი მათი ეროვნული კადრების მომზადებაში ფასდაუდებელია.

თქვენს მკითხველებს მოეხსენება, რომ ათეული წლების განმავლობაში საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში და, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო უნივერსიტეტში, შექმნილი იყო მეზობელი ხალხების აბიტურიენტების მოსამზადებელი საგანგებო ჯგუფები, რომლებიც შემდგომ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში ეუფლებოდნენ მეცნიერებათა საფუძვლებს.

— **ჩვენი თანაკურსელებიც იყვნენ.**

— დიახ! განსაკუთრებით, ჰუმანიტარები. ამ თვალსაზრისით ხაზი მინდა გავუსვა აკადემიკოს **არნოლდ ჩიქობავას** ღვაწლს, მისი სახელობის სკოლას, ასევე, **გიორგი ჩიქავას, თინათინ შარაშენიძის, გიორგი ახვლედიანის, აკაკი შანიძისა** და სხვების მოღვაწეობას, რომელთა უშუალო მონაწილეობით შეიქმნა კავკასიელი სტუდენტებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები. ჩვენმა მეცნიერებმა ძალიან ბევრი გააკეთეს იმისთვის, რათა მომზადებულიყო მეზობელი რესპუბლიკების კადრები ქართველოლოგიაში, ასევე ქართველი სპეციალისტები კავკასიის კულტურის შესწავლის მიმართულებით.

კონგრესმა დაადასტურა, რომ ხდება შემობრუნება ამ თვალსაზრისით.

— **ძველი კავშირებისა და ურთიერთობების თვალსაზრისით.**

— განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ჩეჩნეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, **შახრუდინ კაფუროვის**, გამოსვლა; ამაღელვებელი იყო დონის ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, **ბესარიონ მესხის,** ძალიან თბილი სიტყვა საქართველოს შესახებ. მას თბილისში ჩამოუყვანია თავისი შთამომავლები, რათა საკუთარი თვალით ეხილათ ისტორიული სამშობლო და არ დავიწყებოდათ მშობლიური ფესვები.

პლენარულ სხდომაზე მოვუსმინეთ **კარინა ვამლინგს,** შვედეთის უნივერსიტეტის პროფესორს; **ალექსანდრე მარია ბრუნს**, ვენეციის უნივერსიტეტის პროფესორს; **თამაზ გამყრელიძეს**, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო პრეზიდენტს, აკადემიკოსს.

სექციების მუშაობა გაგრძელდა, როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე მეცნიერებათა აკადემიაში.

წარმოდგენილი იყო რამდენიმე ათეული მოხსენება, თემატიკა — მრავალფეროვანი და მრავლის მომცველი.

სექციების მხოლოდ ჩამონათვალიც კი ადასტურებს კონგრესის მასშტაბურობას: მაგალითად, ძველი და შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიისა და რელიგიის სექცია, საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის სექცია; ლიტერატურისა და ხელოვნების სექცია და სხვ.

ქვემოთ ზოგიერთ მოხსენებასაც წარმოგიდგენთ. მანამდე კი გეტყვით, რომ **გლობალიზაციის პირობებში, როცა ჰუმანიტარული მეცნიერებების როლი მაინცდამაინც გამოკვეთილი არ არის და ეს სფერო გარკვეულად უგულველყოფილიცაა, რადგან პრაქტიციზმმა ყველაფერზე დიდი გავლენა იქონია, ხდება კომერციალიზაცია და მატერიალურ ფასეულობათა აღზევება. დღეს, როცა საზოგადო სივრცეში პოლიტიკური საკითხების ბუმია, წმინდა ჰუმანიტარული საკითხების დომინირება თბილისის კონგრესზე განსაკუთრებით ფასეულად უნდა მივიჩნიოთ.**

სოლიდურად იყო წამოდგენილი ქართული მეცნიერება.

ძალიან საინტერესო იყო **ელდარ ბუბულაშვილის** მოხსენება, რომელიც ეხებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. მან ყურადღება გაამახვილა ერთ გარემოებაზე, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის საინტერესო იქნება. კერძოდ, მან თქვა, რომ **ახლო მომავალში მოსალოდნელია ვატიკანში სრულიად უცნობი დოკუმენტის შესწავლა და წამოწევა, რომლებიც აღადგენს ამ ისტორიის ზოგიერთ ფურცელს.**

**ბორის ხარსიევის** (ინგუშეთი) მოხსენებამ „კავკასიის ავტოქტონური მოსახლეობა ძველ ქრონიკებში" ძალიან დააინტერესა კონგრესის მონაწილეები.

გამოვყოფდი **სერგო ვარდოსანიძის** მოხსენებას „ორი გზა ქართულ საისტორიო მეცნიერებაში", **ალექსანდრე დაუშვილის** მოხსენებას „ქართველი ერის კონსოლიდაციის თავისებურებები და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II", რომელშიც ბევრი მაგალითი იყო მოხმობილი იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორი სიბრძნით ცდილობს და ემსახურება ერის გამთლიანებას და ჯანსაღი ტენდენციების დამკვიდრებას სულიერ ცხოვრებაში ჩვენი მწყემსმთავარი.

დიდი ყურადღებით მოისმინეს **ინესა მერაბიშვილის** მოხსენება „ქართული პოეზიის უცხოური თარგმანების ანალიზი".

ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია.

არ მაქვს პრეტენზია, შევაფასო კონგრესის მნიშვნელობა. მხოლოდ იმაზე ვამახვილებ ყურადღებას, რის მოწმეც თავად ვიყავი.

**პირველი. წამოიწია კავკასიის თემატიკა, ხაზი გაესვა საქართველოსა და თბილისის მოთავეობას იმ ჩამტყდარი ხიდის აღდგენის საქმეში, რომელიც ერთმანეთთან გვაახლოვებდა.**

და, ამასთანავე, არ შეიძლება გაზგასმით არ აღინიშნოს, რომ **საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, რომლის როლი წინა სისხლიანი რეჟიმის წყალობით სრულად დაკნინებული იყო, ნელ-ნელა იკრებს ძალას და ისეთ აქცენტებს აკეთებს, რომლებიც სჭირდება საქართველოს.**

თუ იდენტობაზე ვლაპარაკობთ, გლობალიზაციის პირობებში თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე და ეროვნული ფენომენის განვითარებაზე, ერთ-ერთი უპირველესი ფაქტორი, ალბათ, არის ქართველოლოგიის მნიშვნელობის ხაზგასმა და იმ ხალხის მოზიდვა, რომელიც დაინტერესებულია ქართული სამყაროთი. ამასთან ერთად, ჩვენი ქართველოლოგების მხარდაჭერა, რომლებიც უცხოეთის ცენტრებში მუშაობენ, და სამშობლოში მათ დაბრუნებაზე ზრუნვა.

**მეორე** საკითხი, უფრო ფართოდ თუ შევხედავთ, არის მეცნიერების როლის წამოწევა საქართველოს დღევანდელ პირობებში, როცა მეცნიერებისა და განათლებისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები მწირია და არასაკმარისი საქართველოდან გადინებული სამეცნიერო კადრების დაბრუნებისთვის სათანადო სამუშაო პირობების შესაქმნელად, რაც, სამწუხაროდ, მხოლოდ სურვილად რჩება და თეორიულ განზომილებაში არსებობს.

მეცნიერებათა აკადემიამ, ჩემი აზრით, კიდევ ერთხელ შეახსენა საზოგადოებას და, განსაკუთრებით — ხელისუფლებას, რომ მეტი ყურადღება მიაქციონ მეცნიერებს, უფრო მეტად დაუგდონ მათ ყური.

— **მით უფრო, რომ ამის ტრადიცია ჩვენს ქვეყანაში არსებობდა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ მოვიდოდა ხელისუფლების სათავეში.**

— ასე იყო. ურთულესი პრობლემების განსჯის დროს ხელისუფალი, ვინც გინდა ყოფილიყო, რჩევას და აზრს სთხოვდა და ეკითხებოდა მეცნიერებათა აკადემიას, მწერალთა კავშირს, უნივერსიტეტს. ზოგ რამეს ითვალისწინებდა, ზოგს — ვერა, მაგრამ ეკითხებოდა, უსმენდა.

დღეს ასე არ ხდება, რაც დიდად სამწუხაროა.

მეცნიერთა აზრს ანგარიში რომ უნდა გაეწიოს, მგონი, საკამათო არ არის.

— **არადა, მოჭარბებულია დილეტანტიზმის „ყოვლისმცოდნეობა".**

— **აგრესიული დილეტანტიზმია. ჩართეთ ტელევიზორი და მარტო მეტყველების კულტურას დააკვირდით: კატასტროფაა! არ ვლაპარაკობ სიღრმისეულ ანალიზზე, რომელსაც იშვიათად მოისმენთ ჩვენს ტელესივრცეში. თემატური გადაცემების საოცარი ნაკლებობაა. იშვიათობაა საინტერესო, შემეცნებითი, მეცნიერული, ეროვნული, ამავე დროს, ზოგადსაკაცობრიო პროგრამები.**

— **არ იციან, ალბათ, რა და როგორ უნდა აკეთონ, ხოლო ე.წ. ტელესახეებმა, როგორც ჩანს, ამოწურეს საკუთარი შესაძლებლობა.**

— მეტყველების უმდაბლესი კულტურა დომინირებს. გააკეთოს ვინმემ ქრონომეტრაჟი და ჩაიწეროს, დღის განმავლობაში რამდენჯერ დაბინძურდა ეთერი გრამატიკული შეცდომებით. კატასტროფული სურათია. ასეთი მეტყველების იქით რა თემატიკა და რა პრობლემატიკაა, თქვენმა მკითხველებმა კარგად იციან.

ამ თვალსაზრისით ბეჭდური სიტყვა ნამდვილად უსწრებს ელექტრონულ პრესას.

მადლობა ბატონ ვალერის ბეჭდური მედიის ამგვარი შეფასებისთვის.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**«მეცნიერებისა და განათლებისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები მწირია და არასაკმარისი საქართველოდან გადინებული სამეცნიერო კადრების დაბრუნებისთვის სათანადო სამუშაო პირობების შესაქმნელად, რაც, სამწუხაროდ, მხოლოდ სურვილად რჩება და თეორიულ განზომილებაში არსებობს»**

**«საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, რომლის როლი წინა სისხლიანი რეჟიმის წყალობით სრულად დაკნინებული იყო, ნელ-ნელა იკრებს ძალას და ისეთ აქცენტებს აკეთებს, რომლებიც სჭირდება საქართველოს»**

PARA BELLUM
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამჟამად რუსეთი აქტიურად იყენებს მეოთხე თაობის გამანადგურებლებს, მათ შორის, МИГ 29СМТ-სა და СУ 35С-ს, ეს თვითმფრინავები ჯერჯერობით არ ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტებს. მიუხედავად ამისა, რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა 2018 წლის ივნისში უკვე შეუკვეთა 12 გამანადგურებელი СУ-57. პირველი წყვილი ამ თვითმფრინავისა უკვე 2019 წელს აიჭრება ცაში, დანარჩენებს კი რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალები 2024 წლამდე მიიღებს.**

# ბრიტანული გამოცემა მესამე მსოფლიო ომის თვითმფრინავზე წერს

## რუსულ ავიგამანადგურებელს ჰიპერბგერითი რაკეტებით აღჭურვავენ

**რუსეთს განზრახული აქვს თავისი ყველაზე მოწინავე გამანადგურებლის მოდერნიზება და აღჭურვა ახალი ჰიპერბგერითი რაკეტებით. ეს ხდება სირიის სამოქალაქო ომში რუსეთის მონაწილეობის ესკალაციის ფონზე.**



გამანადგურებელ Су-57-ს, მეხუთე თაობის რუსულ თვითმფრინავს, აღჭურვავენ P37M ტიპის რაკეტებით, რომლებსაც შეუძლია დიდი სიჩქარით მფრენი მიზნების განადგურება 300 და მეტი კმ-ის მანძილზე.

რაკეტა P37M – ეს არის განახლებული ვერსია რაკეტისა, რომელიც საბჭოთა არმიამ 1985 წელს მიიღო შეიარაღებაში. ახალ მოდელს, რომელიც დამუშავების საბოლოო სტადიაზეა, ექნება დამიზნების ახალი სისტემა, მცირე წონა და სიგრძე თითქმის მინიატურულ Су-57-ზე დასაყენებლად. წინა ვერსია „ჰაერი-ჰაერი" კლასის ერთ-ერთი დიდი რაკეტა იყო 4,2 მ სიგრძითა და 600 კგ წონით. კორპორაცია „ტაქტიკური რაკეტების შეიარაღების" ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ სექტემბრის ბოლოს Су-57-დან ახალი რაკეტები გაისროლეს. რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე **იური ბორისოვის განცხადებით,** Су-57 თავისი შესაძლებლობით უმაღლეს შეფასებას იმსახურებს. მან აღნიშნა, რომ თვითმფრინავმა თავი კარგად წარმოაჩინა სირიაში, სადაც დაამტკიცა თავისი დიდი საბრძოლო პოტენციალი. „Су-57 მსოფლიოს საუკეთესო თვითმფრინავთა შორის ერთ-ერთია", — განაცხადა ბორისოვმა.

**რაკეტა P37M – ეს არის განახლებული ვერსია რაკეტისა, რომელიც საბჭოთა არმიამ 1985 წელს მიიღო შეიარაღებაში. ახალ მოდელს, რომელიც დამუშავების საბოლოო სტადიაზეა, ექნება დამიზნების ახალი სისტემა, მცირე წონა და სიგრძე თითქმის მინიატურულ СУ-57-ზე დასაყენებლად. წინა ვერსია „ჰაერი-ჰაერი" კლასის ერთ-ერთი დიდი რაკეტა იყო 4,2 მ სიგრძითა და 600 კგ წონით... რაკეტას შეუძლია საათში 7350 კმ განავითაროს და აქვს თვითდამიზნების აქტიური რადიოსალოკაციო ქობინი, რომელიც დამიზნების ფუნქციას თვითონ შეასრულებს. აქედან გამომდინარე, ეს რაკეტები უმნიშვნელოვანესი საფრთხეა ახალი თაობის ნებისმიერი გამანადგურებლისთვის**



რაკეტები, სავარაუდოდ, კორპუსის გარეთ დამაგრდება, მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობას ანალოგიური იარაღისა განათავსებენ შიგა ნაკვეთურებში, რათა თავიდან აიცილონ თვითმფრინავის აღმოჩენა რადარებით. რაკეტას შეუძლია განავითაროს საათში 7350 კმ სიჩქარე და აქვს თვითდამიზნების აქტიური რადიოსალოკაციო ქობინი, რომელიც დამიზნების ფუნქციას თვითონ შეასრულებს. აქედან გამომდინარე, ეს რაკეტები უმნიშვნელოვანესი საფრთხეა ახალი თაობის ნებისმიერი გამანადგურებლისთვის.

სტრატეგიული ავიაცია მომართული იქნა, აგრეთვე, რადიოალმოჩენისა და დამიზნების საავიაციო კომპლექსების (AWA ES) თვითმფრინავების წინააღმდეგ, რომლებიც უზრუნველყოფენ შორ მანძილზე მოძრავი მოწინააღმდეგის თვითმფრინავების, საზღვაო ხომალდებისა და სატრანსპორტო საშუალებების რადიოლოკალურ აღმოჩენას და ასრულებენ სამეთაურო-საკონტროლო ფუნქციებს.

რუსები არ ჩქარობენ Су-57-ის სერიულ წარმოებას. **„ახლა აზრი არ აქვს მეხუთე თაობის თვითმფრინავების სერიული წარმოების სამუშაოების დაჩქარებას,** — განაცხადა ბორისოვმა. — **ეს ჩვენი კოზირია, რომლის გამოყენებაც ნებისმიერ მომენტში შეგვიძლია, როცა წინა თაობის თვითმფრინავები თავიანთი შესაძლებლობებით ჩამორჩენას დაიწყებენ სამხედრო სფეროში წამყვანი ქვეყნების ანალოგიურ თვითმფრინავებთან შედარებით".**

ამჟამად კი რუსეთი აქტიურად იყენებს მეოთხე თაობის გამანადგურებლებს, მათ შორის, МиГ 29СМТ-სა და Су 35С-ს, ეს თვითმფრინავები ჯერჯერობით არ ჩამორჩებიან საერთაშორისო სტანდარტებს. მიუხედავად ამისა, რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა 2018 წლის ივნისში უკვე შეუკვეთა 12 გამანადგურებელი Су-57. პირველი წყვილი ამ თვითმფრინავისა უკვე 2019 წელს აიჭრება ცაში, დანარჩენებს კი რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალები 2024 წლამდე მიიღებს.

**ბრიტანული გამოცემა Daily Express-ში გამოქვეყნებული მასალის მიხედვით**



# თემურ აფაქიძე — ქართველი მფრინავი, რომელმაც პირველმა დასვა СУ-27 «ადმირალ კუზნეცოვის» გემბანზე

**საქართველომ ბევრი გენიალური ადამიანი აჩუქა მსოფლიოს — პოეტი, მხატვარი, სპორტსმენი და სხვ. მათ შორის იყვნენ სამხედრო საქმის სპეციალისტებიც — რაკეტმშენებლობის ინჟინერი, აკადემიკოსი ალექსანდრე ნადირაძე; საინჟინრო ჯარების მარშალი არჩილ გელოვანი; აშშ-ის არმიის გენერალი, აშშ-ის შეიარაღებული ძალების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის ხელმძღვანელი ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი და ა.შ.**

**ამ სახელოვანი ადამიანების რიგშია თემურ აფაქიძე.**

1991 წლის სექტემბერში საჰაერო-საცეცხლე მომზადების საავიაციო პოლკის მეთაურმა, იმხანად პოლკოვნიკმა **თემურ აფაქიძემ** სამწყობრო მფრინავთა შორის პირველმა დასვა თვითმფრინავი Су-27 მძიმე ავიამზიდ კრეისერ „საბჭოთა კავშირის ადმირალ ნიკოლაი კუზნეცოვის" გემბანზე. სწორედ ამ წარმატებული დაჯდომის შემდეგ დაიწყო ახალი ერა რუსეთის საგემბანო ავიაციის ისტორიაში. მანამდე კრეისერის გემბანზე დაჯდომას ახერხებდნენ მხოლოდ ვერტიკალური აფრენა-დაშვების თვითმფრინავები.

**თემურ აფაქიძე დაიბადა 1954 წლის 4 მარტს თბილისში. 1971 წელს დაამთავრა ნახიმოვის სახელობის ლენინგრადის სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი. 1975 წელს დაამთავრა კომაროვის სახელობის ეისკის სამხედრო-საავიაციო სასწავლებელი და ლეიტენანტის წოდებით სამხედრო სამსახური განაგრძო რუსეთის ბალტიის ფლოტში საზღვაო მოიერიშე საავიაციო გვარდიული პოლკის მფრინავად (Су-17М). 1986 წელს დაამთავრა გრეჩკოს სახელობის სამედრო-საზღვაო აკადემია და დანიშნეს სახომალდე საავიაციო ცენტრის გამანადგურებელთა პოლკის (საბაზო აეროდრომი — საკი, ყირიმი) მეთაურად, მოგვიანებით — ცენტრის უფროსად.**

**2000 წელს დანიშნეს რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლის მოადგილედ. საერთო ჯამში, იფრინა 3 ათასი საათი 13 ტიპის თვითმფრინავით.**

**დაიღუპა 2001 წლის 17 ივლისს სასწავლო ფრენისას.**



# «ყაზანი» — აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყველაზე მრისხანე მეტოქე

**ამერიკულმა გამოცემამ The National Interest-მა აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყველაზე მრისხანე მტრად რუსეთის ატომური წყალქვეშა ნავი „ყაზანი" დაასახელა.**

გამოცემა აღნიშნავს, რომ ამერიკელი სამხედროები თავის დროზე აღაფრთოვანა „ყაზანის" წინამორბედმა „სევეროდვინსკმა" — პროექტ „იასენის" პირველმა წყალქვეშა ნავმა.

„სევეროდვინსკისთვის" ერთი შეხედვაც კი საკმარისია, რომ მივხვდეთ: ჩვენ შევეჯახებით სერიოზულ პოტენციურ მოწინააღმდეგეს", — მოჰყავს გამოცემას ამერიკელი კონტრადმირალის — **დეივ ჯონსონის** 2014 წელს ნათქვამი ფრაზა.



„ყაზანი" წყალში 2017 წლის მარტში ჩაუშვეს, პირველი გამოცდა კი 2018 წლის 25 სექტემბერს გაიარა. ამ სუბმარინას რუსეთის საზღვაო ფლოტი უკვე შემდეგი წლიდან მიიღებს.

ალსანიშნავია, რომ „ყაზანი" პროექტ „იასენით" გათვალისწინებული მეორე წყალქვეშა ნავია. შენდება კიდევ 5 ასეთი სუბმარინა: „ნოვოსიბირსკი", „კრასნოიარსკი", „არხანგელსკი", „პერმი" და „ულიანოვსკი". ეს წყალქვეშა ნავები აღიჭურვება „კალიბრისა" და „ონიქსის" სისტემის ფრთოსანი რაკეტებით.

# სამხრეთ კაროლინაში ყველაზე ძვირად ღირებული ამერიკული თვითმფრინავი ჩამოვარდა

**ბოფორტის ოლქში (სამხრეთ კაროლინის შტატი, აშშ) ავიაკატასტროფა განიცადა ამერიკის უახლესმა და ყველაზე ძვირად ღირებულმა თვითმფრინავმა, მეხუთე თაობის მრავალფუნქციურმა გამანადგურებელ-ბომბდამშენმა F35B-მ.** ამერიკული მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, F35B ჩამოვარდა აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსის ავიაბაზიდან რამდენიმე კმ-ის დაშორებით.



აღსანიშნავია, რომ F35B-მ კატასტროფა განიცადა ერთი დღის შემდეგ, როცა ამერიკულმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ამ მოდელის თვითმფრინავმა პირველი საბრძოლო გაფრენა განახორციელა ავღანეთში და ისლამისტური მოძრაობა „თალიბანის" პოზიციებს შეუტია.

F35B-ს ფასი 108,1 მლნ დოლარია.

**გვერდი მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

ძიურეს კატეგორიის რიკისი ყოველთვიურად 8 ათას დოლარს გამოიმუშავებს, იოკოძუნა — 20 ათას დოლარზე მეტს. თუმცა ხელფასი სულაც არ არის სახელოვანი სუმოისტების ძირითადი შემოსავლის წყარო. სპონსორების მიერ გაღებული თანხები და მხარდამჭერთა საჩუქრები შეიძლება ასიათასობით დოლარი იყოს. ზოგჯერ სპონსორები პრიზებს პირდაპირ ნატურით არიგებენ, მაგალითად, ერთი წლის სამყოფ ბრინჯს, რამდენიმე კასრ საკეს და რამდენიმე ტონა ბენზინს.

სპორტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ წარმოიშვა სუმო და როგორ ხდებიან სუმოისტები

დასასრული. დასაწყისი იხ. №34 (458)

## წონა და წონასწორობა

სუმოს მთავარი პრინციპი წონასწორობის შენარჩუნებაა. როგორი ეფექტური და ლამაზიც უნდა იყოს გდება, წონასწორობის წამიერი დაკარგვაც კი მარცხს გამოიწვევს. **სიმძიმის ცენტრის დაბლა გადასატანად და ფეხზე მყარად დასადგომად რიკისი წონას იმატებს. პროფესიონალი სუმოისტის წონა 120 კგ-ს უნდა აღემატებოდეს. ჩემპიონების იდეალური წონა 130-დან 160 კგ-მდეა. თუ სუმოისტი უფრო მჩატეა ან მძიმე, მას ბრწყინვალე კარიერის შექმნის შანსი თითქმის არ აქვს.**

ოპტიმალური წონის მიღწევა თითოეული სპორტსმენისთვის მხოლოდ გამოცდილების საფუძველზე დგინდება. ამისათვის მწვრთნელები სპორტსმენის გამოსვლების შედეგსა და ტრავმების სიხშირეს (დაჟეჟილობებითა და ჩალურჯებებით დაწყებული, სახსრების დაზიანებით დამთავრებული) ითვალისწინებენ. **მძიმეწონოსანთა საჭმელს ტიანკოს უწოდებენ და მას ასე ამზადებენ: ქვაბში იხარშება ბულიონი, რომელსაც უმატებენ პროდუქტების ვინეგრეტს — ხორცს, ბოსტნეულს, სოკოს, ზღვის პროდუქტებს, სოიოს სოუსსა და სანელებლებს. ერთი დღის განმავლობაში სუმოისტს შეუძლია შეჭამოს 3 კგ ტიანკო და 0,5 კგ ბრინჯი.**

## მავასი

პროფესიონალი და მოყვარული სუმოისტების ორთაბრძოლები თითქმის ერთი და იმავე წესებით მიმდინარეობს, თუმცა არის 3 ძირითადი განსხვავება. მოყვარულთა შეჯიბრებებში მონაწილეობა შეუძლიათ ქალებსაც, სპორტსმენებს ყოფენ კატეგორიებად, რიტუალები კი თითქმის არ არსებობს. იყო შემთხვევები, როდესაც პერსპექტიული მოყვარული სპორტსმენები, განსაკუთრებით — წამოშობით იაპონელები, გადავიდნენ უფრო პრესტიჟულ ოძუმოში.

გამარჯვების მოპოვება შეიძლება სამი გზით: მოწინააღმდეგის გაგდებით არენიდან; მეტოქის იძულებით, მიწას ხელით შეეხოს ან დალოდებით, სანამ ოპონენტს გაეხსნება **მავასი** — აბრეშუმის ან ბამბის სარტყელი, რომლითაც სუმოისტები გამოდიან არენაზე (რიკისის სხვა ტანსაცმელი არ აცვია).

## რანგები

პროფესიონალურ სუმოში უმაღლესი წოდება არის **იოკოძუნა.** უმაღლესი დივიზიონის დანარჩენ მებრძოლებს, რომლებსაც **მაკუნოუტის** ეძახიან, აქვთ შემდეგი წოდებები: **მაეგასირა, კომუსუბი, სეკივაკე, ოძეკი.** იოკოძუნას ტიტული რომ მოიპოვოს, ოძეკის ტიტულის მქონე სუმოისტმა ზედიზედ უნდა მოიგოს 2 ჩემპიონატი, ჰქონდეს უმწიკვლო რეპუტაცია და ფლობდეს ჰინკაკუს. ამ ტიტულის მინიჭების გადაწყვეტილებას იღებს სუმოს ასოციაცია. მეორე, უფრო დაბალ პროფესიონალურ დივიზიონს ეწოდება **ძიურე** და 28 სუმოისტისგან შედგება.

ყველა დანარჩენი დივიზიონი (სულ ოთხია) სამოსწავლეოა. სპორტსმენის გადასვლა დივიზიონიდან დივიზიონში (როგორც ზევით, ისე ქვევით) ხდება ტურნირებში მოპოვებული შედეგების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიონალური სუმო დახურული სპორტია, ზოგჯერ უცხოებიც აღწევენ დიდ წარმატებას.

მაგალითად, მოქმედი იოკოძუნა **ჰაკუჰო** მონღოლეთში დაიბადა და 17 წლის იყო, ამომავალი მზის ქვეყანაში როცა ჩავიდა (იმხანად, სულ რაღაც, 72 კგ-ს იწონიდა). რამდენიმე სკოლაში სცადა სწავლის დაწყება, მაგრამ ყველგან უარი უთხრეს. როდესაც სასოწარკვეთილმა ჭაბუკმა, რომელიც ოცნებობდა სუმოისტობაზე, ჩემოდნის ჩალაგება დაიწყო მონღოლეთში დასაბრუნებლად, ერთ ოიაკატას შეებრალა და სკოლაში მიიღო. 2 წლის შემდეგ მსოფლიომ ახალი დიდი ჩემპიონის შესახებ შეიტყო (ის უკვე 160 კგ-ს იწონიდა).

## ვინ შეიძლება გახდეს სუმოისტი

პროფესიონალურ სუმოში მოსახვედრად აუცილებელია, მებრძოლს ჰქონდეს საშუალო განათლება, კარგი ჯანმრთელობა, არანაკლებ 167 სმ სიმაღლე, იწონიდეს 67 კგ-ს და მეტს და მოეწონოს ოიაკატას (მასწავლებელს).

კარიერის სტარტისთვის ოპტიმალური წლოვანება 10 წელიწადია. საერთოდ კი, სუმოში 23 წლამდე პირებს იღებენ, მაგრამ, რაც უფრო ადრეულ წლებში დაიწყებს ვარჯიშს, მით მეტი შანსი აქვს, მოიპოვოს დიდი ჩემპიონის ტიტული.



1864 წლის ორთაბრძოლა, რომელიც დახატა კუნიცუმა უტაგავამ

**პროფესიონალურ სუმოში მოსახვედრად აუცილებელია, მებრძოლს ჰქონდეს საშუალო განათლება, კარგი ჯანმრთელობა, არანაკლებ 167 სმ სიმაღლე, იწონიდეს 67 კგ-ს და მეტს და მოეწონოს ოიაკატას (მასწავლებელს). კარიერის სტარტისთვის ოპტიმალური წლოვანება 10 წელიწადია. საერთოდ კი, სუმოში 23 წლამდე პირებს იღებენ, მაგრამ, რაც უფრო ადრეულ წლებში დაიწყებს ვარჯიშს, მით მეტი შანსი აქვს, მოიპოვოს დიდი ჩემპიონის ტიტული**



თუ ცალ ფეხზე დგომა არ შეგიძლიათ, მაშინ ტყუილად ჭამთ ბრინჯს.



ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)

## შემოსავლები

სუმოისტები, რომელებმაც გამარჯვებები მოიპოვეს, იღებენ არა მხოლოდ ხალხის უსაზღვრო სიყვარულსა და ავტოგრაფის დარიგების უფლებას ხელისგულის ანაბეჭდის სახით, არამედ დიდძალ თანხებს საბანკო ანგარიშებზე. ოძუმოსა და სასწავლო დივიზიონებში დამწყები სუმოისტი ბევრ დამცირებას განიცდის, ტურნირებიდან შემოსული თანხა კი მხოლოდ ჯიბის ფულად თუ ჰყოფნით. ვითარება იცვლება, თუ სპორტსმენი შეუპოვრად ვარჯიშობს და იმარჯვებს. თავდაპირველად სუმოს ასოციაცია უნიშნავს მცირე ოდენობის ხელფასს, მაგრამ სუმოისტს შეუძლია, გაცილებით მეტს მიაღწიოს. **ძიურეს კატეგორიის რიკისი ყოველთვიურად 8 ათას დოლარს გამოიმუშავებს, იოკოძუნა — 20 ათას დოლარზე მეტს.** თუმცა ხელფასი სულაც არ არის სახელოვანი სუმოისტების ძირითადი შემოსავლის წყარო. სპონსორების მიერ გაღებული თანხები და მხარდამჭერთა საჩუქრები შეიძლება ასიათასობით დოლარი იყოს. ზოგჯერ სპონსორები პრიზებს პირდაპირ ნატურით არიგებენ, მაგალითად, ერთი წლის სამყოფ ბრინჯს, რამდენიმე კასრ საკეს და რამდენიმე ტონა ბენზინს.

სუმოისტებისთვის დაწესებულია შემდეგი ხელფასები (იენებში):

* **იოკოძუნა** — 28 200000 იენი
* **ოძეკი** — 23 500000 იენი
* **სეკივაკე** — 1 640 000 იენი
* **კომოსუბი** — 1 290 000 იენი
* **ძიურე** — 1 100 000 იენი

ძიურეზე დაბალი რანგის სუმოისტებს ყოველთვიური ხელფასი არ აქვთ, სამაგიეროდ თითოეული ტურნირიდან იღებენ თანხას.

* **მაკუსიტა** — 200 000 იენი
* **სანდამა** — 150 000 იენი
* **ძიონიდანი** — 100 000 იენი
* **ძიანოკუტი** — 80 000 იენი

დაწესებულია, აგრეთვე, სხვადასხვა ფულადი პრიზი თითოეული ტურნირის შემდეგ.

## განმარტებები

**ბანზუკე** — სარეიტინგო სია, რომელსაც იყენებენ ტურნირის წინ.

**დოჰიო-მატური** — ცერემონია, რომელსაც აწყობენ ბრძოლის დაწყების წინ.

**კიმარიტე** — სუმოისტის ილეთების ნაკრები, რომლებიც ახასიათებს ბრძოლის ამა თუ იმ ტექნიკას.

**ტაიკო** — ორმხრივი დოლი, რომელსაც ცერემონიებისას იყენებენ.

**სუმოტორი** – ის, ვინც სუმოთია დაკავებული.

**ცუპორი** — დარტყმა ხელისგულით.

იუმიტორი-შიკი — ცეკვა, რომელსაც ასრულებენ შეჯიბრების დასრულების შემდეგ.

**ცნობისთვის: ერთ-ერთი ვერსიით, სპორტის ამ სახეობის სახელწოდება წამოიშვა სიტყვიდან „სუმაუ“ — იბრძოლო, იცეკვო შიშველმა“; მეორე ვერსიით — ძველი ჩინური ორთაბრძოლა სიანპუსგან. ამ ორთაბრძოლის აღმნიშვნელი იეროგლიფი იაპონურად ჟღერს, როგორც „სუმო“.**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# ფრიდონ თოდუას მორალური კრედო

**„რა აქიმი დასნეულდეს, რაზომ გინდა საქებარი, მან სხვა უხმოს მკურნალი და მაჯაშისა შემტყობარი“ (რუსთაველი).
იხმო. არაერთი. უცხოეთის სახელგანთქმულ კლინიკებშიც ჩაუტარეს გამოკვლევები. უმკურნალეს თანამედროვე მედიცინის უახლესი მიღწევების გამოყენებით. სამწუხაროდ, მთელი ეს ძალისხმევა ამაო გამოდგა — ადამიანის შესაძლებლობები შეზღუდულია. არც მედიცინაა ყოვლისშემძლე. ეს იცოდა, ეგებ, სხვებზე უკეთ ფრიდონ თოდუამ, უებარმა მკურნალმა, აკადემიკოსმა, კომპიუტერული ტომოგრაფიის ფუძემდებელმა, გულმოწყალე ადამიანმა და თვალსაჩინო მამულიშვილმა.
შეზღუდულია შესაძლებლობანი ადამიანისა, მაგრამ უსაზღვროა თანალმობა, თანადგომა, კაცთმოყვარეობა, ყველა ის თვისება, რომელთა ერთობლიობით ყალიბდება საერთო მახასიათებელი პიროვნების. და რაც სრულად ახასიათებდა ბატონ ფრიდონს.**



— თბილი დამოკიდებულება პაციენტებისადმი. დამატებითი წამალია განკურნებისთვისო, — უთქვამს ხშირად.

— ნამდვილად ასეა... მაგრამ არამხოლოდ მედიცინაში. როცა ლანძღავენ ადამიანს პრესაში, საჯაროდ, მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ვიღაცამ ამ კაცზე რაღაც თქვა, შეუმოწმებლად, ფაქტის დაუდასტურებლად, მეორე მხარესთან შეხვედრის გარეშე, არ ნიშნავს სიტყვის თავისუფლებას. მიმაჩნია, რომ სწორედ ეს არის ადამიანის უფლებათა დარღვევა, — **ასე სწამდა. ამას ქადაგებდა თავის ინტერვიუებში, ტრიბუნიდან, პირადი შეხვედრების დროს.**

**შვიდი წლის წინათ ჩამორთმეული ინტერვიუს ფრაგმენტებს წარმოგიდგენთ, თითქოს გუშინ თქვა დღევანდელ სატკივარზე.**

— ადამიანურ, თბილ დამოკიდებულებას რომ უგულებელვყოფთ, მერე გვიჩნდება პრობლემები, მათ შორის, ჯანმრთელობის პრობლემებიც. პატარა ერი ვართ, მცირერიცხოვანი, მიმტევებლები უნდა ვიყოთ ერთმანეთისადმი. ესაა მთავარი.

ბევრმა მაწყენინა ცხოვრებაში აქ, ჩვენთან, საქართველოში, მაგრამ იმათთან დღეს კარგად ვარ, რითაც ფრიად გაკვირვებულნი არიან. ეს წუთია, ჩემგან წავიდა ერთი ცნობილი პიროვნება, ვისთანაც ახლო ურთიერთობა მქონდა მოსკოვში წასვლამდე. დაბრუნების შემდეგ ყველაზე ბევრი ცუდი მან გამიკეთა — დაუფარავად გამოხატავდა ჩემ მიმართ აგრესიას: რა უნდა გვასწავლოსო, რითაა ჩვენზე უკეტესი, და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. როცა გაუჭირდა, მე აღმოვჩნდი ერთადერთი, ვინც დახმარების ხელი გაუწოდა.

ეს თვისება დედაჩემისგან გამომყვა...

* * *

**— პრაგმატული გახდა ცხოვრება. მაგრამ, პრაგმატიკა ყოველთვის ადამიანურ ურთიერთობებში გადამწყვეტი არ არის. უამრავ გაჭირვებულს უანგაროდ ეხმარებით თქვენ, ბატონო ფრიდონ. საბაზრო პრინციპებიდან გამომდინარე ეს წამგებიანია.**

**დინების წინააღმდეგ მიდიხართ?**

— აბა, როგორ უნდა მოვიქცე, როცა ადამიანს უჭირს და არავითარი საშუალება არ აქვს, გადაიხადოს ფული სამედიცინო მომსახურებისთვის?!

ჯერ ერთი, ქართული მენტალიტეტი და მხარში ამოდგომის ტრადიცია ნებისმიერ ეკონომიკურ პრინციპებზე მაღლა დგას. მაგრამ, ამასთან ერთად, ანგარიშს ვუწევთ არსებულ რეალობას და ჩვენს ბიუჯეტში გათვალისწინებული გვაქვს გარკვეული პროცენტი ქველმოქმედებისთვის. ბევრი ადამიანი მოსულა ჩემთან, რომელთაც არც ფინანსური საშუალება აქვთ, არც — დაზღვევა, არც რომელიმე პროგრამაში არიან ჩართულნი. როგორ უნდა უშველოს მან ოჯახის ავადმყოფ წევრს? რა ქნას? თვალები ცრემლით აქვს სავსე. უჭირს ლაპარაკი.

მე თვითონ მიმყავს ასეთი კაცი ან მისი ოჯახის წევრი გამოსაკვლევად და დიაგნოზის დასასმელად. ვერავინ მისაყვედურებს, რატომ ვიქცევი ასე.

ოცი წლის განმავლობაში, რაც აქ ვმუშაობ, ჩემთვის მთავარი იყო ექიმების მომზადება, გადამზადება, სამედიცინო კონგრესებში მათი მონაწილეობა, სპეციალიზაცია საზღვარგარეთ.

შეჩერება ამ გზაზე დაუშვებელია, რადგან ტექნოლოგიები განუწყვეტლივ ვითარდება და, თუ ფეხდაფეხ არ მიჰყევი, უიმედოდ ჩამორჩები.

* * *

**— მოგება-წაგების უმკაცრეს პირობებში, ზნეობრივი კრიტერიუმები შეიძლება გაეცრიცოს ექიმს. როგორ ახერხებთ ამ „ტექნოკრატული დაავადების“ თავიდან აცილებას?**

— სამედიცინო დაწესებულებაში მთავარია მაღალი სულისკვეთება: შიდა ატმოსფერო შემოქმედებითი, საქმიანი უნდა იყოს. არავითარი ენის მიტან-მოტანა, განსაკუთრებით, ხელმძღვანელობის „საქმის კურსში ჩაყენება“. თითოეულმა თანამშრომელმა უნდა იცოდეს, რომ იგი მოსულია სამუშაოდ. პაციენტს, რომელმაც გაჭირვებით იშოვა ფული, ვალდებული ხარ პროფესიულად მოემსახურო. მენტალიტეტი — „როგორ, მე ვინმეს მონა ვარ?!“ — აუცილებლად უნდა დაიძლიოს. რადგან პაციენტს გადახდილი აქვს გარკვეული თანხა, ეს ნიშნავს, რომ მან დაგიქირავა, რათა მოემსახურო მას, ანუ შენი ცოდნით, გამოცდილებით დაეხმარო, განკურნო, შეასრულო შენი პროფესიული მოვალეობა.

მაქსიმალური ყურადღება! თანაც არა მარტო ავადმყოფის მიმართ (ეს აქსიომაა!), არამედ საკუთარი გარეგნობის მიმართაც! არ გაგიკვირდეთ, პაციენტზე გავლენას ახდენს ის გარემოც, ესთეტიკა, რომელიც კლინიკაში დახვდება და ექიმის სუფთა ხალათიც, მკურნალის ყოველმხრივი მოწესრიგებულობა.

ასეთი გარემო ავადმყოფს ეხმარება სტრესის მოხსნაში, რომელიც ექიმთან მისვლას ყოველთვის თან სდევს.

* * *

**— კი ვართ ჩვენ, ყველანი პოტენციური პაციენტები, მაგრამ უმჯობესია, ეს პოტენცია რეალობად არ ვაქციოთ. ხომ ასეა?**

— რა თქმა უნდა.

**— მაშინ გვითხარით, ბატონო ფრიდონ, როგორ ვიცხოვროთ, ცხოვრების როგორი წესით?**

— სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ საზოგადოებას აკლია შინაგანი კულტურა. ამასწინათ ჩვენმა ინსტიტუტმა გამოაცხადა საქველმოქმედო აქცია, სარძევე ჯირკვლების უფასოდ გამოკვლევა დავიწყეთ. სარძევე ჯირკვლის დაავადება, გავრცელების თვალსაზრისით, პირველ სამეულში შედის, დიდი პრობლემაა. ამიტომ მისი ადრეულ სტადიაზე გამოკვლევა და მკურნალობა გამოჯანმრთელების უებარი საშუალებაა.

მაგრამ გაირკვა, რომ ონკოგინეკოლოგიური დაავადების პირველ, მეორე სტადიაზე სამკურნალოდ, პრაქტიკულად, არ მოდიან. მხოლოდ მესამე, მეოთხე სტადიის დროს მიაკითხავენ ექიმს.

**— ფული არ აქვთ...**

— ჩვენი აქცია უფასო იყო!

**— მაშ, რატომ არ მოდიან?**

— ზოგს ჰგონია, რომ არ დაემართება, სხვას — ეზარება ექიმთან მისვლა, სახვალიოდ გადადებს და ა.შ. ათას მიზეზს მოიგონებენ. მაგრამ სწორედ ეს არის იმ შინაგანი კულტურის უქონლობა, რომელიც ვახსენე: თვალს არ ვადევნებთ, უყურადღებოდ ვექცევით ჩვენს ჯანმრთელობას. ესაა პრობლემა.

ნორმალურმა ადამიანმა ნორმალურად უნდა იცხოვროს. ერთი და ორი კოლოფი სიგარეტი არ უნდა მოსწიოს ყოველ დღე, არ უნდა დათვრეს ყოველ დღე. ახალგაზრდა ორგანიზმი, ასე თუ ისე, გარკვეული პერიოდით უძლებს ასეთ „დატვირთვას“, მაგრამ შემდეგ იფეთქებს დაავადების რისკფაქტორები, ახლა უკვე ახალგაზრდულ ასაკში, და ისე ძლიერად, რომ შემდეგ კრიტიკული მდგომარეობიდან გამოსვლა ძალიან ძნელი ხდება, არცთუ იშვიათად — შეუძლებელი.

**— ესე იგი, უწინარეს ყოვლისა, ადამიანმა თვითონ უნდა მიხედოს თავის ჯანმრთელობას?**

— რა თქმა უნდა.

**— მაგრამ აქედან თვითმკურნალობამდე ხომ ერთი ნაბიჯია?**

— თვითმკურნალობა და ექიმბაშები ყოვლად დაუშვებელია! ამ დილით კონფერენციაზე ვიყავი და ერთ-ერთი მონაწილე თავდაჯერებით ამტკიცებდა, პატრიარქს ვუმკურნალებ და გამოვაჯანმრთელებო(!).

ეს კატასტროფაა. ექიმბაშებთან „მკურნალობის“ შემდეგ ჩვენთან მოდიან ავადმყოფები, რომელთა გადარჩენა უმეტესად შეუძლებელია.

* * *

**ბატონი ფრიდონი გვმოძღვრავდა, რომ ჩვენ ჩვენი ქართული მენტალიტეტით უნდა ვიცხოვროთ.**

**და სწორედ ამ ქართული მენტალიტეტის გამო იყო, რომ ინტერვიუს დამთავრების შემდეგ ეზომდე ჩამომაცილა და იქ დამემშვიდობა.**

**ამას არც ამერიკაში, არც გერმანიაში, არც შვედეთში არც ერთი მისი რანგის ხელმძღვანელი არ გააკეთებდა.**

**საუბარს ვაგრძელებდით გზადაგზა და ამ მონაკვეთსაც, ისევე, როგორც მთელ ინტერვიუს, რეფრენად გასდევდა დედააზრი: რადგან ძნელია დღეს ცხოვრება, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს.**

**არმაზ სანებლიძე**

**P.S.** პარასკევს, 7 ოქტომბერს ფრიდონ თოდუას გარდაცვალების წლისთავია.

**ა.ს.**

## სასხვათაშორისოდ



**პროფესიით ეკონომისტი რამაზ ჯაფარიძე, რომელიც ერთ დროს საქრადიოტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის ტელეცენტრის დირექტორის მოადგილედ მუშაობდა, შთამომავალია რაჭის თავადთა, დედის — ნინო გოლოვინას მხრიდან კი გრაფ გოლოვინისა, იმ გოლოვინისა, რომლის სახელსაც ერთ დროს დღევანდელი რუსთაველის პროსპექტი ატარებდა. მოცალეობის ჟამს ზოგჯერ წკიპურტების წერით ერთობა.**

როცა ბულბული გაჩუმდა,
ხმა ამოიღო ჭრიჭინამ,
სადაც „ოცნება“ დადუმდა,
ვაშაძემ თავი იჩინა.

* * *

ტაქტი ყველაფერს უხდება,
სიტყვას, სიმღერას, საქციელს,
თქვენი სიბრიყვით, ნაცებო,
ქვეყანა ნუ დააქციეთ.
პასუხი მოგეთხოვებათ
მიშას წინაშე ქლესობის,
თუ დროზე გონს არ მოეგეთ,
თქვენ იცით, სად რა გესობისთ.

* * *

ბოკერიას ნაცი სული
ყარს თუშური ყველის სუნით,
„ხერხემალი“ ციხეშია,
ციხეს ელის „კუდუსუნი“.

* * *

ადანდალი და დანდალი,
ცოტა მუხლების კანკალით
რუსეთთან ომში მივდივარ
ბაქრაძის დანა-ჩანგალით.

## «მოსკოვი საქართველოსა და რუსეთის პირველი პირების შეხვედრის შესაძლებლობას არ გამორიცხავს»

**მოსკოვი საქართველოსა და რუსეთის პირველი პირების შეხვედრის შესაძლებლობას არ გამორიცხავს, ახლა მხარეები მის მომზადებაზე მუშაობენ, — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელ ზურაბ აბაშიძესთან შეხვედრის შემდეგ.**



„ასეთი შეხვედრის ორგანიზება შესაძლებელია, მაგრამ ამისთვის მომზადება და მუშაობაა საჭირო, რათა ლიდერებს შედეგიანი შეხვედრა ჰქონდეთ. ჩვენ ახლა ამაზე ვმუშაობთ“, — განაცხადა კარასინმა.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**



საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge



სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894